

პრესომბუდსმენი A3



ფერთა ზეიმი ქარვასლაში A8



ერთი ნაბიჯი A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 30 ოქტომბერი, 2006 წელი. №241 (1393) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 30/10 | 31/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 18 |
| ბათუმი | 19 | 22 |
| სოხუმი | 18 | 22 |
| ქუთაისი | 20 | 24 |
| გორი | 13 | 17 |
| ონი | 12 | 15 |
| ზუგდიდი | 20 | 25 |
| ახმეტა | 16 | 18 |
| სამტრედია | 20 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7390 |
| ევრო | 2.2056 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2829 |
| რუბლი | 0.0649 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
ტენდერი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8


# დანის პირზე მორბენალი

### დადგება თუ არა ბოლომდე ევროპა სააკაშვილის გვერდით?

ეკა კვესიტაძე



პუტინი და მისი გარემოცვა ანტიქართული კამპანიის გასამართლებლად საჭირო არგუმენტის მოძიებაში იმაზე სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. "საქართველო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნებას ომის გზით აპირებს," - ეს არის ის ერთადერთი და სრულიად ჰიპოთეტური არგუმენტი, რომელზეც პუტინი ყველგან აპელირებდა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შეხვედრისას და მოსახლეობასთან პომპეზური სატელევიზიო გასაუბრებისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "საქართველოს და რუსეთის თანამშრომლობა გარდაუვალია"

### რუსეთი სოხუმს თავისი ხელით დაგვიბრუნებს

### ინტერვიუ სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ვიცე-პრეზიდენტთან თემურ იაკობაშვილთან

**- შეიძლება თუ არა შევაფასოთ ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხზე, რომელშიც რუსეთის პოლიტიკა ცალსახად დაგმობილია, როგორც შემობრუნება ევროპის პოლიტიკაში და საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერება?**

- თუ გადავხედავთ რუსეთის პოლიტიკას მისი ახლო მეზობლების მიმართ, ვნახავთ, რომ რუსეთმა უკვე მეორე ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა, რომელიც რუსეთ-ევროპის ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას. პირველი იყო უკრაინისთვის გაზის გადაკეტვა, მეორე - ის კამპანიები, დაუფარავად ნაციონალისტური და ხშირ შემთხვევაში ფაშისტური, რომელიც რუსეთმა განახორციელა საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ.

როდესაც ევროპელებს ესაუბრები, მაგალითად, კოდორზე, მათთვის ეს თემა გაუგებარია - ვიღაც წვერებიანი კაცები ერთმანეთს ესვრიან სადღაც უცნობ მთებში. მაგრამ როდესაც შენ ლაპარაკობ ეთნიკური ნიშნით ვიღაცების გაძევებაზე, სკოლებში სიების შედგენაზე და ა. შ. რაც მიმდინარეობს დღეს რუსეთში, ევროპელებს ეს ახსენებს 1933 წლის გერმანიას.

რა თქმა უნდა, ეს აღარ არის მარტო ქართულ-რუსული პრობლემა. გაფაშისტებული რუსეთი თავისი ბირთვული არსენალით და ენერგორესურსებით გაცილებით საშიშია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის ურთიერთობა საქართველოსთან. ამდენად, ვფიქრობ ევროპელების პოზიციის ცვლა გამოწვეულია სწორედ იმ საფრთხეებით, რომლებიც მათთვის ახალია და მომდინარეობს რუსეთიდან.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური საფრთხეები არასოდეს არ მოდიოდა საბჭოთა კავშირიდან, რომელსაც არ უსარგებლია ენერგეტიკით, როგორც იარაღით და არასოდეს არ უსარგებლია რაიმე ულტრანაციონალისტური იდეებით.

ეს საფრთხეები ევროპელებისთვის ახალია და იმავდროულად, მათთვის კარგად ნაცნობია. ახალია რუსეთის მხრიდან და ნაცნობია საკუთარი მწარე გამოცდილებიდან.

აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია პირველ რიგში იმის ნიშანია, რომ ევროპაში ძალიან სერიოზულად ხდება რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის გადახედვა. ისეთი იდეალისტი არ ვარ, ვიფიქრო, რომ პოზიციას ისინი ხვალვე შეცვლიან. თუმცა, გაზის გადაკეტვამ უკრაინაში და ანტიქართულმა კამპანიამ ევროპა სერიოზულად შეაშფოთა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# აზიური ექსპანსია და რუსული მემკვიდრის სცენარი

*სულ ერთი წლის წინ ინდური მეტალურგიული კომპანია "ტატა სტილი" 56-ე ადგილზე იმყოფებოდა მსოფლიო კლასიფიკაციაში (თავის სფეროში). ახლა, როცა კომპანიამ 8 მილიარდ დოლარად თავისი ყოფილი კონკურენტი, ანგლო-ჰოლანდიური "ქორუსი" ჩაიგდო ხელთ, უკვე სიდიდით მეექვსე ხდება პლანეტაზე. ახალი გიგანტი წელიწადში დაახლოებით 22,6 მილიონ ტონა ფოლადს გამოუშვებს (შარშანდელ მონაცემებზე დაყრდნობით). ეს უკვე ინდური მეტალურგიის მეორე დიდი გამარჯვებაა მიმდინარე წლის განმავლობაში. არც ისე დიდი ხნის წინ მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, ლაკშმი მიტალის კომპანიამ "მიტალ სტილმა", დიდი პერიპეტიების შემდეგ, ევროპული გიგანტი "არსელორი" გადაყლაპა და ამ სფეროში უპირობო ლიდერად იქცა.*




# ამერიკის 7 ნოემბრის არჩევნები

### საყურადღებო მომენტები

დევიდ ჯ. სმიტი
კრისტინა რივსი

7 ნოემბერს ამერიკის ორმოცდაათივე შტატში ხმას მისცემენ ე.წ. შუალედურ არჩევნებში. ისინი პირდაპირ არ აირჩევენ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს - ის ახლა თავისი საპრეზიდენტო ვადის შუაში იმყოფება - თუმცა, ამერიკელმა ხალხმა უნდა აირჩიოს ახალი კონგრესი და ათასობით სახელმწიფო და ადგილობრივი მოხელე, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ამ დაპირისპირების შედეგზე დამოკიდებულია მომავალი ორი წლის პოლიტიკური ტონი, სწორედ მანამდე, ვიდრე 2008 წელს გადაწყდება ბუშის მემკვიდრის ბედი. ასე რომ, მთელი მსოფლიოსთვის რაღაც დევს სასწორზე.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ვაშინგტონი ხომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ყველაზე დიდი მხარდამჭერია. ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა კი საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი ბრიგადა გაწვრთნეს. ერაყში 850 ქართველი ამერიკელთა მხარდამხარ იბრძვის. რასაკვირველია, შუალედური არჩევნები ამ ყველაფერზე პირდაპირ ზეგავლენას არ მოახდენს, მაგრამ ქართველებისთვის, რა თქმა უნდა, უკეთ გასაგები გახდება, თუ როგორ მიუდგება ამერიკა პოლიტიკურ საკითხებს მომავალი ორი წლის მანძილზე.

ამიტომაც აუცილებელია თვალის მიდევნება სხვადასხვა საარჩევნო დაპირისპირებაზე მომავალ კვირაში. მაგალითად, კალიფორნია გადაწყვეტს, დატოვოს თუ არა გუბერნატორად კინოვარსკვლავი და ათლეტი არნოლდ შვარცენეგერი. დაახლოებით 50 ათასი კანდიდატი მთელი ქვეყნის მასშტაბით იბრძოლებს სხვადასხვა პოსტისთვის - შტატების გუბერნატორის თანამდებობაზე, შტატების საკანონმდებლო ორგანოში, მუნიციპალურ საბჭოებში, სასკოლო საბჭოებში, შერიფების, ზოგიერთ შტატში მოსამართლის და ა.შ. არიზონაში, სადაც სპილენძი იყო ის, რამაც 48-ე შტატი წარმოქმნა, ჯერ კიდე ირჩევენ მაღაროთა ინსპექტორს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უმცირესობაზე აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაშიც

*მიმდინარე კვირას გაირკვევა, შეძლებს თუ არა ოპოზიცია, უმრავლესობის დახმარებით, საპარლამენტო უმცირესობის შექმნას. ყოველ შემთხვევაში, "ნაციონალური მოძრაობის" ნაწილი და თავად პარლამენტის თავმჯდომარე მაქსიმალურად ცდილობენ, საკმაოდ დაქსაქსულ საპარლამენტო ოპოზიციას უმცირესობის სტატუსი უბოძონ და, ამასთან ერთად, ოპოზიციონერებს ერთი ვიცე-სპიკერისა და რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც დაუთმონ. თუმცა ისიც ცხადია, რომ საპარლამენტო უმცირესობის დაკანონება პარლამენტში არც ისე ადვილი იქნება, რადგან ცალკე უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი და ცალკე ოპოზიციონერთა ნაწილი უმცირესობის შექმნას არარეალურად მიიჩნევს. ამ მხრივ განსაკუთრებულად სკეპტიკურად არიან განწყობილი "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ უმცირესობის შექმნის იდეა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ "მრეწველებსა" და "ნაცმოძრაობას" შორის ვაჭრობის საგანია და მეტი არაფერი.*

თამარ ასათიანი

გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის შექმნას მხარს ევროსაბჭოს წარმომადგენლები უჭერენ. ევროსაბჭოს წარმომადგენლობამ რეკომენდაციით მიმართა ხელისუფლებას და ოპოზიციური სპექტრისთვის უფლებების გაფართოება ურჩია (სხვათა შორის, ამის შესახებ მინიშნება გასულ კვირას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა).

სხვა საქმეა, რამდენად მზადაა საქართველოს პარლამენტი არსებული სტატუს-კვოს შესაცვლელად. ეს ეხება როგორც უმრავლესობას, ასევე ოპოზიციასაც, რომლის წარმომადგენლებს სულ უფრო მეტად უჭირთ ერთმანეთთან საერთო ენის გამოძებნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქრთამი - მეორე "ნაციონალი" დეპუტატის პატიმრობის მიზეზი

*გიორგი კენჭაძის შემდეგ, გია ნუცუბიძე მეორე "ნაციონალი" დეპუტატია, რომელმაც პარლამენტიდან საპყრობილეში გადაინაცვლა. ორივე შემთხვევაში ხალხის რჩეულთა დაპატიმრების მიზეზი ქრთამი გახდა.*

თუ გიორგი კენჭაძემ ფულის გამოძალვისთვის ციხეში წელიწადნახევარი გაატარა (მას ორი წლით ჰქონდა პატიმრობა მისჯილი და ვადაზე ადრე ე.წ. უდოთი გათავისუფლდა), გია ნუცუბიძეს განათლების მინისტრის მოადგილის თემურ სამადაშვილისთვის 50 ათასი ლარის ქრთამის გადაცემის დადასტურების შემთხვევაში, მაქსიმუმ შვიდწლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თუმცა, ვიდრე მართლმსაჯულება დეპუტატის ბრალეულობის საბოლოო შეფასებაზე იმსჯელებდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე მილერი ხარებავამ გია ნუცუბიძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

პარლამენტარების შემდეგ, რომლებმაც პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, გია ნუცუბიძეს სადეპუტატო იმუნიტეტი და პარლამენტარის უფლებამოსილება ერთსულოვნად შეუჩერეს, გენერალური პროკურატურის შუამდგომლობაში ეჭვი არც სასამართლოს შეუტანია.

როგორც ცნობილია, გია ნუცუბიძე სამართალდამცველებმა კომპანია "ამაღლება-98"-ს ლობირებაში დაადანაშაულეს. გამოძიების ინფორმაციით, ფირმა "ამაღლება 98"-ს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში 18 ლოტზე ჰქონდა შეტანილი განაცხადი, თუმცა მას მხოლოდ შვიდ ლოტზე მიეცა უფლებამოსილება. დადებული კონტრაქტით, ფირმას სკოლების გასარემონტებლად ოთხი მილიონი ლარის სამუშაოები უნდა შეესრულებინა. თავდაპირველად, კომპანიას 1,9 მილიონი გადაერიცხა, თუმცა სამინისტროს წარმომადგენლის მტკიცებით, დათქმული სამუშაოები არ შესრულდა. რის გამოც, განათლების სამინისტრომ კონტრაქტი შეწყვიტა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მოსკოვში მოკლული ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მოსახსენებელი ეკუმენური ლოცვა თბილისში



29 ოქტომბერს თბილისში, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის საკათედრო ტაძარში აღსრულდა მოსკოვში მოკლული ჟურნალისტის, ანა პოლიტკოვსკაიას სულის მოსახსენებელი ეკუმენური ლოცვა.

ლოცვაში მონაწილეობა მიიღეს რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ ლადო გოგიაშვილმა და დეკანოზმა ბასილ კობახიძემ.

ლადო გოგიაშვილმა ისაუბრა ანა პოლიტკოვსკაიას უშიშარ ბრძოლაზე სიმართლისა და ადამიანის უფლებებისათვის, მის მხარდაჭერაზე ქართველი და კავკასიელი ხალხებისადმი. "ჟურნალისტის და, მით უმეტეს, ქალის მკვლელობა იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის საზოგადოება ველურ მდგომარეობას უბრუნდება" - აღნიშნა მან.

"კაცის ხელიდან აღსრულებული ანას სიცოცხლე, როგორც მეფე ჰეროდეს იოანე ნათლისმცემლის თავი, ისე მიართვეს პრეზიდენტ პუტინს 7 ოქტომბერს, მის დაბადების დღეს" - თქვა თავის ქადაგებაში დეკანოზმა ბასილ კობახიძემ - " რუსეთის ხელისუფლება დევნის ქართველებს, მაგრამ საქართველოში არ არსებობს რუსებისადმი სიძულვილი. იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს სწორედ ანა პოლიტკოვსკაიას რუსეთი".

## ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტარები საქართველოს ოსთა გენოციდში ადანაშაულებენ

ჩრდილოეთ ოსეთი საქართველოს პოლიტიკას ოსი ხალხის გენოციდად მიიჩნევს - ამის შესახებ საუბარია რესპუბლიკის პარლამენტის მიმართვაში, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გაეგზავნა.

პარლამენტარები რუსეთის სათათბიროს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომის მიღებას სხოვენ, რათა "მსოფლიო საზოგადოებამ ათწლეულების განმავლობაში ქართველი ნაციონალ-ექსტრემისტების მიერ ოსი ხალხის გენოციდის შესახებ შეიტყოს".

მიმართვაში აღნიშნულია, რომ "სამხრეთ ოსეთი" თვითგამორკვევის და რუსეთთან შეერთებისათვის ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში იბრძოდა, როდესაც ათასობით ოსი ეროვნების ადამიანი განდევნეს და ამოხოცეს, დასახლებული პუნქტების უმეტესობა კი პირისაგან მიწისა აღგავეს. 1922 წელს "სამხრეთ ოსეთი, ხალხისა და რესპუბლიკის წინააღმდეგობის მიუხედავად, ავტონომიური ოლქის სტატუსით, საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს".

ოსი პარლამენტარების მტკიცებით, ქართული პოლიტიკა ოსებს გვარების ქართულად შეცვლას აიძულებდა. ოსური ანბანი კი ორჯერ შეიცვალა, ეკონომიკური განვითარების დონე "სამხრეთ ოსეთში", საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ორჯერ დაბალი იყო, მოსახლეობის რაოდენობა კი 1939 წელს დაფიქსირებული 106 ათასიდან 1989 წლისთვის 99 ათასამდე შემცირდა. ოსების დისკრიმინაცია და მუქარა შეიარაღებულ აგრესიაში გადაიზარდა, რომელსაც 3 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები შეეწირა, 300 უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 100 ოსური სოფელი გადაიწვა, 40 ათასზე მეტი ადამიანი კი რუსეთში ლტოლვილად იქცა. "დღეს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სამხრეთ ოსეთის მკვიდრნი თავს რუსეთის მოქალაქეებად მიიჩნევენ, რუსეთს კი - საკუთარი უსაფრთხოების ერთადერთ გარანტად", - ნათქვამია მიმართვაში. **მედიანიუსი**

## აშშ საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის მოხსნას ცდილობს

აშშ მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის მოხსნა აუცილებელია. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დანიელ ფრიდმა სააგენტო "Reuters"-ს განუცხადა.

ფრიდის თქმით, პრობლემის დარეგულირების მიზნით, მოსკოვსა და თბილისზე დიპლომატიური ზეწოლა იზრდება. "ამ ეტაპზე ყურადღება იმაზეა ორიენტირებული, რომ ვითარების კიდევ უფრო გამწვავება არ მოხდეს," - განაცხადა ფრიდმა.

დიპლომატის თქმით, ცოტა ხნის წინ, მოსკოვში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი იმყოფებოდა, თავად ფრიდი კი საქართველოსა და რუსეთს ეწვია. ფრიდის განცხადებით, რაისისა და მისი ერთობლივი ძალისხმევით, მათ დაძაბულობის მეტ-ნაკლებად მოხსნა სცადეს.

მისი აზრით, "ამ ეტაპზე აუცილებელია მხარეებს შორის ნდობის აღდგენა". "ყურადღების ცენტრში ე.წ. "გაყინული კონფლიქტებია" აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში", - განაცხადა ფრიდმა. მისი თქმით, საუბარია სამხრეთ ოსეთში უცხოელ დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდაზე, აფხაზეთში კი - დამატებითი საკონტროლო პუნქტების შექმნასა და პატრულირების გაძლიერებაზე. **ინტერპრესნიუსი**

## კოკოითის ბაკურიანში ჩასვლა არ სურს

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე მსჯელობისათვის, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი "სამხრეთ ოსეთის" დე-ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს ბაკურიანში იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალი ოფიციალურ თბილისთან დიალოგის დასაწყებად მზადყოფნას აცხადებს, სამხრეთ ოსეთიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძესთან საუბრისას, პრეზიდენტების შეხვედრას საქართველოს ტერიტორიაზე კატეგორიულად გამორიცხავს.

"ბაკურიანი არის ის ადგილი, საიდანაც საქართველომ 205 ოსური ოჯახი განდევნა", - აცხადებს ჩოჩიევი და შეხვედრისთვის სხვა ადგილის მოძიებას ითხოვს. იგი იმასაც ამბობს, რომ შეხვედრა აუცილებლად გაერო-ს წარმომადგენელთან ერთად უნდა გაიმართოს. **მედიანიუსი**

# უმცირესობაზე აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაშიც

პირველი გვერდიდან

ამ ფონზე "მრეწველების" აქტიურობა თვალშისაცემი ხდება. ჯერ იყო და, ისინი რეგლამენტში ძველი დებულების აღდგენას ითხოვდნენ, რომლის თანახმადაც, არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიასა თუ ბლოკს საპარლამენტო უმცირესობის შექმნის უფლება ენიჭება. თუმცა იმის გამო, რომ "ახლებმა" და "მრეწველებმა" საერთო ენა ვერ გამონახეს, "მრეწველებმა" უმცირესობის შექმნა დღეს მოქმედი რეგლამენტის ფარგლებშიც დასაშვებად მიიჩნიეს.



ასე მაგალითად, საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილემ გია ცაგარეიშვილმა ორი დღის წინ განაცხადა, რომ რეგლამენტში ცვლილების გარეშე უმცირესობის დაკანონებას მისი ფრაქცია არ შეეწინააღმდეგება.

**"ჩვენ არ გვეხალისება რეგლამენტში ცვლილებების შეტანა. სამი წელია ვიბრძვით, რომ პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღოს. მიგვაჩნია, რომ უმრავლესობის და უმცირესობის დარეგისტრირება 2003 წლის აპრილში, ჯერ კიდევ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ეს პარლამენტი შეიკრიბა,"** - ასეთია ცაგარეიშვილის პოზიცია.

ცაგარეიშვილისთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება პარლამენტის ვიცე-სპიკერი უმცირესობის დაკანონების შემთხვევაში და ვინ იქნება უმცირესობის ლიდერი. **"წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან გვარების გაცხადების შემთხვევაში, ოპოზიციაში, მათ შორის ჩემს ფრაქციაში, სერიოზული ვნებათაღელვა იქნება,"** - განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილი საპარლამენტო უმცირესობის საკითხის ირგვლივ ატეხილ ხმაურს უმრავლესობას და ოპოზიციას შორის ვაჭრობის საგნად განიხილავს. დეპუტატის განცხადებით, ის არ აპირებს ამ საკითხთან დაკავშირებით არც ვაჭრობას და არც ამგვარ კონსულტაციებში მონაწილეობის სურვილი აქვს. მისი თქმით, უმცირესობის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფრაქციის პოზიცია დამატებითი კონსულტაციების გავლის შემდეგ ეცოდინება.

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ უმცირესობის შექმნა ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის ჩვეულებრივი ნორმაა და ქვეყანა პარლამენტში უმრავლესობის და უმცირესობის შექმნის მექანიზმებს ავტომატურად უნდა არეგულირებდეს. მისივე თქმით, თუ მმართველ ძალას სურს, რომ საქართველოში პარლამენტარიზმის ინსტიტუტი განვითარდეს, ოპოზიციას ალმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის რეალური ბერკეტი უნდა ჰქონდეს. მისთვის კი რეალური ბერკეტი უმცირესობის კვოტით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეების პოსტებია. დეპუტატის განმარტებით, ამ პოსტების ოპოზიციისთვის მიცემის შემთხვევაში, არის რეალური შანსი იმისა, რომ ოპოზიციამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები აკონტროლოს.

რაც შეეხება უმრავლესობაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, თუკი ნინო ბურჯანაძე, მიხეილ მაჭავარიანი და მაია ნადირაძე საპარლამენტო უმცირესობის შესაქმნელად ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზად არიან, საწინააღმდეგოს აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომელიც პარლამენტის ბიუჯეტს უფრთხილდება.

მისი თქმით, ცვლილება ითვალისწინებს უმცირესობის ლიდერის პოსტს, ერთი ვიცე-სპიკერის, 13 საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ასევე პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებს.

დეპუტატის განცხადებით, თანამდებობების გარდა, ეს ცვლილება გულისხმობს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს, რომელიც აქამდე უკვე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. **"ნინო ბურჯანაძე ორივე ვიცე-სპიკერის წარმატებული მუშაობით კმაყოფილია და, შესაბამისად, გაუგებარი იქნება, რა მოტივით ეტყვიან ერთ-ერთ ვიცე-სპიკერს უარს,"** - აღნიშნა თევდორაძემ.

უმცირესობის შექმნის იდეით არ მოიხიბლნენ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა გვარამია და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი, რომელთა მტკიცებით, უმცირესობის შექმნის თემა უმრავლესობაში განხეთქილების ვაშლი არ უნდა იყოს, რადგან უმრავლესობა ერთიანია და ის "მრეწველების" მიერ შეთავაზებული ფორმულით უმცირესობის დაკანონებას არ დაუშვებს. გოგორიშვილის თქმით, საპარლამენტო უმცირესობის შექმნასთან დაკავშირებით უმრავლესობას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ აქვს. **"საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, რაც გამოიკვეთება გარკვეული ნაბიჯები, რომელსაც უმრავლესობა უმცირესობის დაკანონებისთვის გადადგამს,"** - აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

ერთი სიტყვით, უმრავლესობა რეგლამენტში ცვლილებების შეტანას არ აპირებს. რამდენად დათანხმდება ოპოზიცია თამაშის ამ წესს, მხოლოდ დრო და კულუარული გარიგებების შედეგი გვიჩვენებს.

# ამერიკის 7 ნოემბრის არჩევნები - საყურადღებო მომენტები

პირველი გვერდიდან

ამერიკელ ამომრჩეველს მომავალ კვირას ასამდე სარეფერენდუმო კითხვაზეც მოუწევს პასუხის გაცემა. ყველაზე საინტერესო მათ შორის იქნება შვიდ შტატში დაგეგმილი რეფერენდუმი ერთსქესიანი ქორწინების შესახებ. ხოლო შუა-დასავლეთის შტატ დასავლეთ დაკოტაში დასმული კითხვა აბორტების ამკრძალავ კანონს ეხება. უფრო ნაკლები მასშტაბების იქნება მიჩიგანის შტატის ამომრჩეველთა გადაწყვეტილება მტრედებზე ნადირობის ასწლიანი აკრძალვის გაუქმების შესახებ.

ცხადია, ყველაზე მძიმე ბრძოლა შეერთებული შტატების კონგრესში (სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში) უმრავლესობის მოსაპოვებლად წარიმართება. დღეს, ბუშის რესპუბლიკური პარტია კონგრესის ორივე პალატას აკონტროლებს. როგორც წესი, ასეთ შუალედურ არჩევნებში პრეზიდენტის ოპოზიციური პარტია იმარჯვებს ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა არჩევნები მეორე საპრეზიდენტო ვადის შუაში ტარდება.

დემოკრატიულ პარტიას 435 წევრიან წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის მოსაპოვებლად დღევანდელზე 15-ით მეტი მანადატის აღება მოუწევს, ხოლო სენატში უმრავლესობის მისაღწევად - 6-ით მეტი წარმომადგენლის გაყვანაც საკმარისი იქნება (შეგახსენებთ, სენატს ასი წევრი ჰყავს.).

კონგრესმენები (წარმომადგენელთა პალატის წევრები - რედ.) ირჩევიან ორ წელიწადში ერთხელ, რაც ნიშნავს, რომ წელს ყველა, 435-ივე მანდატისთვის გაიმართება ბრძოლა. სენატორები კი ირჩევიან ექვსი წლის ვადით და ორ წელიწადში ერთხელ მათი მხოლოდ მესამედი განიცდის განახლებას - ანუ, სინამდვილეში დღეს ყველა მანდატისთვის არ გაიმართება ბრძოლა.

ზოგიერთ შტატში უკვე ისტორიულად დამკვიდრებული პოლიტიკური ტრადიციის გამო არსებობს ე.წ. უსაფრთხო მანდატები, რომლებიც, სავაურაუდოდ, მფლობელებს არ შეიცვლიან. ამ მანდატების მფლობელების წინაშე არიან კონკურენტები, რომელთაც გამარჯვების შორეული პერსპექტივა თუ აქვთ. უფრო მეტიც, მანდატის ნებისმიერი მფლობელი უპირატესობით სარგებლობს კონკურენტთან შედარებით, მხოლოდ იმითაც კი, რომ ეს თანამდებობა უკავია - მას უკეთ იცნობს ამომრჩეველი და უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრს აკეთებდა მისთვის.

ბევრი მანდატი, რომელიც ერთი მხარიდან მეორეს შეიძლება ერგოს, მფლობელის გადადგომას უკავშირდება. მაგალითად, სენატის უმრავლესობის ლიდერი ტენესის სენატორი ბილ ფრისტი თავის პოსტს ტოვებს და თეთრ სახლში გადადის. ასე რომ, ადგილი, რომელსაც დღემდე რესპუბლიკელები უსაფრთხოდ მიიჩნევდნენ, ახლა საკამათო ხდება.

გამოკითხვები ცხადყოფენ, რომ წელს, სავარაუდოდ, მხოლოდ სენატის ხუთი მანდატისთვის გაიმართება ნამდვილი ბრძოლა. რაც შეეხება წარმომადგენელთა პალატის მანდატებს, ექსპერტების ვარაუდით, შეიძლება შეიცვალოს ოციდან ოთხმოცდაათამდე მანდატის მფლობელი. ასე რომ, მაშინაც კი, თუ დემოკრატები ორივე პალატაში მოიპოვებენ მანდატებს, არსებობს თითქმის უეჭველი მოლოდინი, რომ დიდი ცვლილებები არ იქნება. თუმცა, შესაძლოა, წელს პოლიტიკური მიწისძვრისთვისაც მომწიფდა ნიადაგი - სწორედ ისეთი, როგორც 1994 წელს მოხდა, როცა რესპუბლიკელებმა ორივე პალატაში - სენატშიც და წარმომადგენელთა პალატაშიც - მოიპოვეს უპირატესობა.

არსებობს ნიშნები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ უმრავლესობის შეცვლაზე რესპუბლიკელებიდან დემოკრატებისკენ წარმომადგენელთა პალატაში, ისევე როგორც, შესაძლოა, სენატში. ბუშის მხარდაჭერის დონე დღეს 37 პროცენტია, ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჰარი ტრუმანის პრეზიდენტობის პერიოდიდან. მოსახლეობის მიერ კონგრესის შეფასება კი კიდევ უფრო სავალალო - მხოლოდ 24 პროცენტი. რასაკვირველია, არსებობს ამის მრავალი ფაქტორი - სკანდალები, მაღალი ფასი საწვავზე, არალეგალური მიგრაცია და უამრავი ადგილობრივი მნიშვნელობის უკმაყოფილება.

თუმცა, ერაყი 2006 წელსაც უმთავრესი ფაქტორია. გაზრდილი ძალადობა და ბუშის სტრატეგიისადმი მზარდი უნდობლობა ამერიკელ ამომრჩეველთა დაახლოებით ორ-მესამედს ომის საწინააღმდეგოდ განაწყობს. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, დემოკრატებმა დაიწყეს რიტორიკული შეტევა და ბევრი რესპუბლიკელიც არ აიგივებს საკუთარ თავს პრეზიდენტის ერაყულ პოლიტიკასთან. რესპუბლიკელთა გავლენიანი ლიდერები, მაგალითად, როგორიცაა სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარე, ვირჯინიის სენატორი ჯონ უორნერი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი მიმართულების შეცვლის ინიციატივით გამოდიან.

ასე რომ, მხოლოდ ხმის დათვლის შედეგად გამოჩნდება, არის თუ არა ზემოჩამოთვლილი ფაქტორები საკმარისი ერთი ან ორივე პალატის დემოკრატთა ხელში გადასასვლელად.

და რას მივიღებთ შედეგად?

შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ძალაუფლებას შეინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, ბუშის ძალაუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი პრეზიდენტის ძალაუფლება უკანასკნელი მეორე ვადის განმავლობაში, შესუსტდება შუალედური არჩევნების მეორე დღიდანვე. ყურადღება გადატანილი იქნება იმაზე, თუ ვინ გახდება მომავალი პრეზიდენტი. შესაბამისად მოიქცევიან პოლიტიკოსებიც. კრიტიკა, განსაკუთრებით ერაყის ომთან დაკავშირებით, გაძლიერდება. კონგრესიც უფრო "ეჭვით" მიუდგება წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვას.

ერთ ან ორივე პალატაში უმრავლესობის შეცვლა ამ ტენდენციებს კიდევ უფრო დააჩქარებს და გააღრმავებს. ოფიციალურად ოპოზიცია გააკონტროლებს საკანონმდებლო დღის წესრიგს, კომიტეტებსა და აპარატს. არაოფიციალურად, კონგრესი გახდება ოპოზიციური პლატფორმა, რომელსაც გაზრდილი შესაძლებლობა ექნება, ტონის მიმცემი იყოს 2008 წლის არჩევნებში.

თუ ასეთი ცვლილება მოხდა, საეჭვოა, მან რაიმე რადიკალური ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ინტერესებზე. მიუხედავად ამისა, ქართველებმა ყურადღებით უნდა მიადევნონ თვალი ზოგიერთი პროცესების განვითარებას.

მართალია, ვაშინგტონის მხარდაჭერა საქართველოსადმი კვლავაც ძლიერი იქნება, მაგრამ ქართველებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ერაყი ბუშის ადმინისტრაციის ყურადღებას სულ უფრო მეტად მიიპყრობს. ეს მოითხოვს დახვეწილ დიპლომატიას მაშინ, როცა რუსეთი გაზრდის ზეწოლას საქართველოზე მისი ნატო-სკენ სწრაფვის დასაბლოკად.

საბედნიეროდ, საქართველოს ნატო-ში მისწრაფებებს ორივე მხრიდან (როგორც რესპუბლიკელთა, ასევე დემოკრატთა - რედ.) მხარდაჭერა ხვდება. თვალსაჩინოებისთვის, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ ლუგარმა (რესპუბლიკელი სენატორი ინდიანიდან) და გავლენიანმა დემოკრატმა ჯო ბაიდენმა ამას წინათ ერთობლივად წამოაყენეს წინადადება რეზოლუციის მისაღებად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობას და ამ მიზნით 10 მლნ დახმარების გამოყოფას.

ასეც რომ არ იყოს, დემოკრატების კონტროლქვეშ მყოფი კონგრესი შეზღუდულია იმისთვის, რომ მომავალი ექვსი წლის მანძილზე ამერიკის საერთაშორისო დღის წესრიგი შეცვალოს. და მაინც, საქართველოს ქართველმა და ამერიკელმა მეგობრებმა უნდა გაზარდონ მხარდაჭერა კონგრესის ძველ წევრებს შორის და მოიპოვონ მხარდაჭერა ახლად არჩეულ წევრებში.

თუმცა, საქართველოს დაუყოვნებელი რისკი მდგომარეობს ერაყის პოლიტიკის გადახედვაში, რაც უცილობლად მოჰყვება 7 ნოემბრის შუალედურ არჩევნებს. დემოკრატების მიერ კონტროლირებადი კონგრესი მძიმე ზეწოლას მოახდენს ბუშზე და თუ გავითვალისწინებთ უკმაყოფილო ამერიკელთა ორ-მესამედს, ისევე როგორც კურსის კორექტირების მომთხოვნ რესპულიკელებს - ცვლილებები გარდაუვალი ჩანს. ეს გავლენას მოახდენს ერაყში მყოფი ქართველი ჯარისკაცების როლსა და მისიაზე. ამიტომაც უნდა მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში ქართველმა მოხელეებმა.

რესპუბლიკელები თუ დემოკრატები? თბილისისთვის არ არსებობს განგაშის საფუძველი - საჭიროა მხოლოდ ფრთხილი დიპლომატია და დაკვირვება. მთავარია, შევძლოთ კონგრესის ახალი წევრებისთვის და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სავარაუდო კანდიდატებისთვის "საქართველოს საქმის" არტიკულაცია.

*დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი. კრისიტნა რივსი არის პოტომაკის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტის მკვლევარი.*

## მოკლედ

### ბულგარეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ტარდება

ბულგარეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. ერთმანეთს ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი გეორგ პირვანოვი და ნაციონალისტური პარტია "შეტევის" ლიდერი ვოლენ სიდეროვი დაუპირისპირდნენ.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 22 ოქტომბერს გაიმართა. პირველი ტურის შედეგად, ხმათა უმრავლესობა - 64%, ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დააგროვა.

პირვანოვის წარმატებაში ეჭვი არჩევნებამდეც არავის ეპარებოდა. წინასაარჩევნოდ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ქვეყნის ამჟამინდელმა მეთაურმა ამომრჩეველთა 50% დააგროვა.

თუმცა, არჩევნების მეორე ტური მაინც დაინიშნა. ამის მიზეზი საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 42,5%-ის გამოცხადება გახდა. პირველ ტურში კანდიდატის გასამარჯვებლად კი, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი უნდა მივიდეს.

"სოციალისტების" ლიდერი გეორგ პირვანოვი ბულგარეთის პრეზიდენტად 2001 წელს აირჩიეს. ის მხარს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი იარაღით ვაჭრობაში მსოფლიო ლიდერი გახდა

რუსეთი იარაღის გაყიდვის სფეროში მსოფლიო ლიდერი გახდა. ამის შესახებ საუბარია აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის ანგარიშში.

2005 წელს რუსეთმა განვითარებადი ქვეყნებისთვის 7 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის მიწოდების შეთანხმება დადო, რამაც ამგვარ შეთანხმებათა საერთო რაოდენობის 23,2% შეადგინა.

2005 წლის მაჩვენებლით, მეორე ადგილზე საფრანგეთი გავიდა, რომელმაც განვითარებად ქვეყნებთან 6,3 მილიარდი დოლარის იარაღის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა, მესამე ადგილზე კი აშშ იმყოფება, 6,2 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტით.

როგორც კონგრესის კვლევითი ჯგუფის ანგარიშშია აღნიშნული, 2005 წელს აშშ-მ ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, რუსეთმა კი, პირველად, 7 წლის განმავლობაში, ამ მაჩვენებლით, აშშ-ს გაასწრო.

2005 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მეტი იარაღი ინდოეთმა შეიძინა და ამისთვის 5,4 მილიარდი დოლარი დახარჯა; მეორე ადგილზეა საუდის არაბეთი - 3,4 მილიარდი დოლარით, ხოლო ჩინეთი 2,8 მილიარდი დოლარით მესამე ადგილს იკავებს. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

რუსეთისა და საქართველოს საგარეო უწყებების ხელმძღვანელები სერგეი ლავროვი და გელა ბეჟუაშვილი ერთმანეთს მოსკოვში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სხდომის ფარგლებში, 1-2 ნოემბერს შეხვდებიან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ანდრეი დენისოვის თქმით, რუსეთი კონტაქტისთვის ყოველთვის მზად იყო, თუმცა, ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ არ მომზადებულა. დენისოვის მტკიცებით, კონტაქტი არც არასოდეს შეწყვეტილა, რის დასტურადაც მინისტრის მოადგილე ახლახან მინსკში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელებთან შეხვედრას ასახელებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

კუბის ტელევიზიამ ერთთვიანი პაუზის შემდეგ კვლავ გაავრცელა კადრები ფიდელ კასტროს გამოსახულებით. ვიდეოფირზე კასტრო მისი სიკვდილის ფაქტს თავადვე უარყოფს და გავრცელებულ ჭორებს "სასაცილოს" უწოდებს. ფირზე ნათლად ჩანდა, რომ კასტრო თავს სუსტად გრძნობს და საავადმყოფოს პალატაში დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. კასტრო აცხადებს, რომ "აუცილებლად გამოჯანმრთელდება, თუმცა ამას დრო სჭირდება". ფიდელ კასტრომ საკუთარი მოვალეობები ივლისში დროებით საკუთარ ძმას, რაულ კასტროს გადააბარა. ამგვარი გადაწყვეტილება კასტროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწვეული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

ისრაელის გენერალური პროკურორი ქვეყნის პრეზიდენტს მოშე კაცავს, გამოძიების მსვლელობის პერიოდში, უფლებამოსილებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას ურჩევს. მოშე კაცავს ბრალი გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში ედება. შესაბამისი მასალები ისრაელის პოლიციამ პროკურატურას ოქტომბრის დასაწყისში წარუდგინა. ისრაელის პრესის მტკიცებით, მოშე კაცავის წინააღმდეგ საქმე 10 ქალის ჩვენების საფუძველზე აღიძრა. სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების გარდა, ისრაელის პოლიციას აქვს მასალები, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა სატელეფონო მოსმენების შესახებ კანონი დაარღვია. თავად მოშე კაცავი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ "სახალხოდ, ლინჩის წესით გასამართლების" მსხვერპლი გახდა და საკუთარი პოსტის დატოვებას არ აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# დანის პირზე მორბენალი

პირველი გვერდიდან

არც მას და არც ერთ სხვა ჩინოვნიკს ერთხელაც აღარ უხსენებია შპიონაჟში ეჭვმიტანილი ოთხი რუსი ოფიცრის დაჭერა, რამაც კრემლს სახე და გონება დააკარგვინა და დასაბამი მისცა ქართველების ეთნიკურ წმენდას რუსეთის ყველა დიდ ქალაქში.

ერთი მხრივ, ეს არგუმენტი თავისი ჰიპოთეტური ბუნებით იმდენად სუსტია, რომ სასაცილოც კია. მაგრამ, მეორე მხრივ, მასში კარგად ჩანს ის სტრატეგია, რომელიც რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აქვს არჩეული - საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერებაში იმ იდეის ჩანერგვა, რომ საქართველო აგრესორია და ომით აპირებს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას. სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ კი, პროვოკაციების გზით, საქართველოს მთავრობის გამოწვევა და საბრძოლო მოქმედებში ჩათრევა რუსეთს არცთუ ისე რთულ ამოცანად მიაჩნია.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, საკითხი ასე დგას - რამდენად მზად არიან დასავლეთში რუსეთის მიერ შეთავაზებული ამ ჰიპოთეტური არგუმენტის მისაღებად? თუ ფინეთის ქალაქ ლაჰტიში პუტინის მიერ მომარჯვებულ სხვა არგუმენტებსაც შევხედავთ - რომ რუსეთმა ნავთობმომპოვებელ საერთაშორისო ფირმებს კონტრაქტები მათ მიერ შეთავაზებული არასათანადო პირობების გამო გაუწყვიტა, რომ ჟურნალისტებს სხვა ქვეყნებშიც კლავენ, რომ მაფიის სამშობლო იტალიაა და არა რუსეთი და ასე შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტის აბსურდულობა კიდევ უფრო ნათელი უნდა გამხდარიყო ევროპელებისთვის.

ალბათ, ეს ასეც მოხდა. გასულ კვირას ევროპის პარლამენტმა, როგორც ქართველმა მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, უპრეცედენტო რეზოლუცია მიიღო, სადაც ცალსახად არის ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთში მოქმედი სამშვიდობო მანდატის შეცვლაზე ფიქრი აუცილებელია. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებას, ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტი შეიძლება ყინულის დაძვრად იქნეს აღქმული.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტის თავმჯდომარე ჟოზეფ ბორელი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც ლაჰტიში გამართულ არაოფიციალურ სადილზე პუტინის ღია კრიტიკას არ მორიდებია და კითხვები ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე დასვა - საქართველოსთან გართულებულ ურთიერთობებზე, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაზე, ჩეჩნეთში არსებულ სიტუაციასა და ენერგეტიული ქარტიის უგულებელყოფაზე, როგორც ამას ფრანგული გაზეთი "ლიბერასიონი" იუწყება. იგივე გაზეთის მტკიცებით, ამ სადილზე ევროპარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ევროკავშირი არ აპირებს ადამიანის უფლებები ენერგომატარებლებში გაცვალოს და პუტინს პირდაპირ დაუსვა კითხვა - არის თუ არა რუსეთი საკმარისად დემოკრატიული?

კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაზეთის ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ პუტინი ძალზე გაანაწყენა "მოურიდებელმა" შეკითხვებმა და, რომ არა საფრანგეთის პრეზიდენტის ძალისხმევა, არაოფიციალური სადილი სრულიად უსიამოვნო მოვლენად გადაიქცეოდა რუსეთის მეთაურისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი ხოსე მანუელ ბაროზო პირველი მაღალჩინოსანი იყო, რომელმაც ღიად დაგმო რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველების მიმართ დაწყებული დევნა და ევროპის ლიდერებს რუსეთთან "ერთი ენით" საუბრისაკენ მოუწოდა. ეს მაშინ, როდესაც ამერიკის ხელისუფლებას არც ერთი მკვეთრი განცხადება არ ჰქონდა გაკეთებული რუსეთის მისამართით.

იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირი ძალზე უფრთხის რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას, ამ ორგანიზაციის ლიდერების ცხადი პოზიციები და განცხადებები სასიამოვნო სიურპრიზად იქცა, თუმცა, რამდენად შეუქცევადი ხასიათი ექნება ამ პროცესს, ძნელი სათქმელია. გარდა ამისა, პუტინის რუსეთი, ელცინის რუსეთისაგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას არ აქცევს საერთაშორისო საზოგადოების აზრს და საკუთარი კურსის გატარებას, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე აპირებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში, ესტონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ რაც უფრო მეტ დროს ატარებს საქართველოში, მით უფრო უძლიერდება დეჟავიუ, რადგან ის პრობლემები, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, იდენტურია იმ გამოწვევებისა, რომელიც ესტონეთს 1993-94 წლებში ჰქონდა. მაშინ ესტონეთმა გადაწყვიტა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა. თუმცა ბატონი ლაარი ძალიან კარგად აცნობიერებს განსხვავებას საქართველოსა და ესტონეთის პრობლემებს შორის. ეს განსხვავება თავად რუსეთშია - პუტინის აგრესიულ, თვითდაჯერებულ და ელცინის სუსტ, ქაოტურ რუსეთს შორის.

თუ ესტონეთს, ისევე როგორც ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებს, შეტაკება სუსტ, თავის თავში ნაკლებად დარწმუნებულ რუსეთთან უწევდა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებისთვის ანგარიშის გაწევა უხდებოდა, საქართველო თვისობრივად სხვა რუსეთის პირისპირ აღმოჩნდა - კრემლი საერთაშორისო პოლიტიკაში თავის მეორედ მოსვლას აგრესიული პოლიტიკით ზეიმობს და ნავთობზე დამყარებული სიძლიერის დემონსტრირებას ცდილობს.

ასეთ რუსეთთან პირისპირ დარჩენა საქართველოს პრეზიდენტისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, ბასრი დანის პირზე სიარულს ჰგავს და ამ გზაზე მას დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების დამხარება ჰაერივით სჭირდება.

ასეთი დახმარება კი მხოლოდ მაშინ იქნება შეუქცევადი, თუ ევროპაშიც და ამერიკაშიც ერთ რამეს ბოლომდე გააცნობიერებენ - რუსეთი არ არის სანდო პარტნიორი და ის დასავლეთის თამაშს ბოლომდე არასოდეს ითამაშებს, არც ჩრდილოეთ კორეის, არც ირანის და არც ახლო აღმოსავლეთის რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგან ამ სახელმწიფოების სახით არსებული მსოფლიო მასშტაბის პრობლემები რუსეთს ყოველთვის მისცემს შანტაჟისა და ვაჭრობის საშუალებას დასავლეთის ქვეყნებთან.

რაც შეეხება ენერგომატარებლებს, ევროპამ მანამ უნდა იზრუნოს ენერგომომარაგების დივერსიფიცირებაზე, სანამ რუსეთი თავისი მუქარის შესრულებას რეალურად შეძლებს - გადაისროლოს ენერგომატარებლები აზიისაკენ, რასაც ძალზე რთული ინფრასტრუქტურის შექმნა სჭირდება. ხოლო მანამ, სანამ რუსეთის მიერ მოწოდებულ გაზს რეალური მომხმარებლის სახით მხოლოდ ევროპა ეყოლება, რუსეთი ვერნაირ ენერგოშანტაჟს ვერ განახორციელებს, რაგან მისი "საბჭოური" ეკონომიკა და ბიუჯეტი მხოლოდ და მხოლოდ ძვირ ნავთობზეა დამოკიდებული.

პოლიტიკური სატირა

## გაერო მოუწოდებს ჭუბურხინჯის მინისტერიალს

მამუკა ხერხეულიძე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალმა რეზოლუციამ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და საინფორმაციო საშუალებებში არნახული სიხარული გამოიწვია. წესისამებრ, ქართულმა პრესამ და ქართველმა პოლიტოლოგ-პოლიტიკოსებმა რუსული კაგებეშნიკური საიტებიდან ამოკენკილი ანალიტიკური ინფორმაცია თავისად გამოაცხადეს და მოსახლეობის წითელი არმიით დაშინებას შეუდგნენ.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მეორე დღესვე გამოეხმაურა ამ რეზოლუციას, გაუგებრობა უწოდა და საქართველოს ნატო-ში გაერთიანებას ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად დავუჭერთ მხარსო. რამოდენიმე დღეში მოსკოვში ჩავიდა ნატო-ს გენერალური მდივანი სხეფერი და რეზოლუციით აჟიტირებული რუსული ისტებლიშმენტი უხეშად გამოაფხიზლა: საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას თქვენ არავინ გეკითხებათ, ანუ ეს საკითხი გარიგებების ნუსხაში აღარ შედის, შეეგუეთ და მოგიწოდებთ, ჩვენს პარტნიორ ქვეყანას სანქციები მოუხსნათო.

არადა, გაერთიანებული ერების სადღეგრძელოსავით დოკუმენტში მოულოდნელიც არაფერი ყოფილა. ზემო აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია ისე აღვადგინეთ, არავისთან არ შეგვითანხმებია, და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ასევე ბუნებრივია, რომ აფხაზეთის მესამედზე კონტროლის დაკარგვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია სოხუმის მარიონეტული რეჟიმის თავზე, რუსებს სასტიკად გააღიზიანებდა. ამას თან ახლდა კრემლის მიერ დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამოაშკარავება, დივერსიულ-ტერორისტული და ჯაშუშური ჯგუფების გამოვლენა, შულავერის კომიტეტის დაპატიმრება, საბჭოთა საქართველოს რეალური მმართველი გრვზ-ს, ანუ ამიერკავკასიის მთავარი სამხედრო შტაბის გაძევება თბილისიდან, მანამდე კი ყველაზე მტკივნეული პროცესი - აჭარიდან და დანარჩენი საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანა. და, რაც მთავარია, გაირკვა, რომ შიდა დაპირისპირებას და სამოქალაქო ომს საქართველოში ველარ მოაწყობენ: ეს უკვე სხვა სახელმწიფოა. ნიშანდობლივია, საქართველოში განცდილმა და მოსალოდნელმა ფიასკოებმა აიძულა მოსკოვი თავისივე მოქალაქე ეთნიურ ქართველებზე ეძიებინა შური და ფაშიზმის თანამედროვე ვარიაციები ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის.

წლიდან წლამდე, 13 წლის მანძილზე, ანექსირებული, სისხლმდინარი საქართველო, რომელმაც ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა და ამ წართმეულ მიწებზე ეთნიკური წმენდა გამოიარა, ამაოდ ელოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებული 33-იდან ერთ-ერთი მორიგი რეზოლუციის გამოქვეყნებას. "გაერო მოუწოდებს მხარეებს, არ დაუშვან ბუტიაობა; გადაკოცნონ და შეიყვარონ ერთურთი; იცხოვრონ ბედნიერად; დაე მუდამ იყოს კარგი ამინდები საქართველოში; აქ ჩამოთვლილი საკითხების ორგანიზება კი დაევალოს რუსეთს, რომელიც მთელს მსოფლიოში ისედაც აღიარებულია, როგორც მშვიდობის მტრედი და ამავე დროს, ისტორიულად არის სრულიად ნეიტრალური საქართველოს მიმართ." დაახლოებით ასე ჟღერდა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ყოველი ახალი რეზოლუცია. ჭუბურხინჯში შეიქმნებოდა ყოველმხრივი მეგობრული ჯგუფები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის მონაწილეობით, თავჯდომარე იქნებოდა ვინმე ნეტკაჩოვი, რუსი ბოევიკი; შრილანკელი სამხედრო დამკვირვებელი რუსულად გააკეთებდა კომენტარებს გალის დაბალ ზონაში მოსალოდნელ ამინდებზე და შესაბამისად თხილის მოსავალზე...

ამავე დროს, მთელი მსოფლიოს დასანახად - რუსულ არხებზე, პირდაპირ ეთერში, რუსეთის სამხედრო გენერალურ შტაბში იგეგმებოდა სოხუმის აღება და მათივე სპეციალური დანაყოფების საკადრო ოფიცრები იბრძოდნენ ლესელიძეში, გაგრაში, სოხუმში, ტამიშში. "ბომბორაზე" დისლოცირებული რუსული სამხედრო თვითმფრინავები ბომბავდნენ სოხუმს; აკვატორიას აკონტროლებდა სამხედრო კრეისერების არმადა და საქართველოში მითად ქცეული ადმირალი შუსევი *(ადმირალი შუსევი-უკვე პენსიონერი, ქ.ტამბოვში მეუღლეს შემოაკვდა ცემის დროს, საკუთარი ხრუშჩოვკის სამზარეულოში იპოვნეს არყის ბოთლით თავგაჩეხილი. "ლენტა. რუ.")*. აჭარაში არსებობდა სამხედრო შტაბი, სადაც გადაწყვეტილებას მოსკოვიდან მოვლინებული სამხედრო გენერალი იღებდა, ისევე, როგორც საბჭოთა საქართველოს - ამიერკავკასიის შტაბის უფროსი, ჩვენთვის უცნობი ვინმე შუსევი განაგებდა და არა ცეკას ქართულგვარიანი მდივნები. იქ დისლოცირებული სამხედროები სრულ მზადყოფნაში იყვნენ, ჩოლოქზე საზღვარს აშენებდნენ, ამაგრებდნენ და აკონტროლებდნენ. სარფშიც კი, ძველსაბჭოურად, თურქეთის მხრიდან პირველი საგუშაგო რუსეთისა იყო, შემდეგი კი - სუვერენული საქართველოსი.

ჩაბნელებული და დეპრესიული ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა; ახალგახსნილი საძმო სასაფლაოებზე ადგილი აღარ იპოვნებოდა; ომებით დანგრეულ და დემორალიზებულ საქართველოში დამცირებას და სიკვდილს გამოქცეული ექვსასი ათასი დევნილი ეძებდა თავშესაფარს. და ამ დროს გაზაფხულივით სანატრელი რეზოლუციაც წამოგვეწეოდა: "გაერო მიესალმება რუსეთის პოზიტიურ როლს აფხაზეთში და მოუწოდებს საქართველოს, დაანებოს თავი იარაღის წარმოებას და სოჭი-ნოვოროსიისკის შემოერთებაზე ოცნებას. დაე კარგი ამინდები იდგეს გალის ქვემო ზონაში და ჭუბურხინჯის მინისტერიალი ჩაითვალოს უმაღლეს ორგანოდ, მის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხანაგი რუსლან ქიშმარია," - გვამცნობდა მთელი წლის ნაპიარები და ნანატრი, საქართველოს გადარჩენის ერთადერთ შანსად მიჩნეული, რიგით ოცდამეცხრე, ახალმიღებული, სრულიად ბუნდოვანი რეზოლუციის ტექსტი. ამ ჯადოსნურ ფრაზებს ასევე ბუნდოვან-მითოლოგიურად შიფრავდნენ ქართულ პრესაში საბჭოთა პოლიტექსპერტები და აფასებდნენ, როგორც მსუბუქს, ზემსუბუქს, მძიმეს ან ქვემძიმეს, სინამდვილეში კი აბსოლუტურად უწონო დოკუმენტს - შედეგიც სახეზეა.

რა მიიღო მსოფლიომ გაერო-ს ძალისხმევით?

საკუთარ ქვეყანაშივე დევნილად ქცეული ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი;

რუსული იარაღით დაჟანგებული კონფლიქტის ზონები, სადაც სეპარატისტები ატარებენ არჩევნებს, სამხედრო წვრთნებს, ადამიანის უფლებების მასიურ დარღვევებს, ეთნოწმენდებს;

უკონტროლო კრიმინალური ტერიტორიები, იარაღისა და ნარკოტიკების ტრაფიკები.

...რუსული ტანკებით დაჟანგებულ კონფლიქტის ზონებში ნიავი არ იძვროდა. დროსგამყვანი ჭუბურხინჯისა და ცხინვალის შეხვედრები პანტომიმის თეატრს ჰგავდა.

ასე იყო გაერო-ს 34-ე რეზოლუციამდე, რომელსაც ჩვენ ზემო აფხაზეთში შევხვდით. 35-ე ან 36-ე რეზოლუციას სოხუმში შევხვდებით, სადაც გაერო-ს სადღეგრძელომაც რომ ვერ მოგვისწროს, ისედაც სულ მზეა და არასდროს წვიმს.

პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი** ნამდვილად იღბლიანი და წარმატებული კაცი იყო. იღბლიანობა და წარმატებულობა ფილოსოფოსებში იმით განისაზღვრება, რამდენად ძლიერ გავლენას ახდენს რომელიმე მათგანის ნააზრევი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სინამდვილეზე. პლატონი, მაგალითად, ამ სანუკვარი ოცნების ასრულებას იმით ცდილობდა, რომ იდეალური სახელმწიფოს სათავეში ათავსებდა ფილოსოფოსს, მარქსი კი აცხადებდა, კმარა ქვეყნიერების ახსნა-განმარტება, რადგან მისი შეცვლის დრო დადგაო.

ჯონ ლოკს, პატიოსანსა და მშრომელ კაცს, თავისი ხვაშიადი ეგზომ სწორხაზოვნად არ გამოუთქვამს, მაგრამ პოლიტიკური და საზოგადოებრივი სინამდვილის ცვლილებაზე საკმაო გავლენა მოახდინა. ის რად ღირს, რომ სწორედ ლოკის სახელს უკავშირდება სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის იდეა... თუმცა დადგა დრო, უფრო გასაგებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი.

ლოკის პოლიტიკურ ფილოსოფიაში გამოთქმული ერთ-ერთი აზრი არის ის, რომ ხელისუფლებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ხელყოს კერძო საკუთრება მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ. ლოკს ეს აზრი ისეთ უკიდურესობამდე დაჰყავს, რომ ამბობს: უმჯობესია, ოფიცერმა გააწკეპლინოს დამნაშავე ჯარისკაცი, ვიდრე დააჯარიმოს, რადგან არავის აქვს უფლება კერძო საკუთრების დაუფლებისა. ასეთი გადაწყვეტა შეიძლება აბსურდულად მოგვეჩვენოს, მაგრამ, თუ დავფიქრდებით, შეიძლება დავინახოთ ერთი სასიცოცხლო აუცილებლობა, რომელსაც ემსახურება ეს აბსურდი. ეს აუცილებლობა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ღირებულებაა.

ძნელად, ძალიან ძნელად შედის შუასაუკუნეობრივი ადამიანის გონებაში, რომ ცხრა ძმის მიერ ერთი თხილის გულის გაყოფას არაფერი მოჰყვება გარდა მარადიული და დაუძლეველი საზოგადო სიღატაკისა. სწორედ ამ შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობის გამოფხეკას ცდილობდა შეგნებულად თუ შეუგნებლად ჯონ ლოკი ევროპელთა ტვინებიდან. ჩვენი ტვინიდან კი ვინ გამოფხეკს?

აი, "24 საათმაც" კი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ოპოზიციის ერთი ნაწილის ბრიფინგი, რომელიც გასული კვირის დასაწყისში გაიმართა და ეხებოდა რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებს. მოწოდების შინაარსი შემდეგი იყო: გახსნას პრეზიდენტმა თავისი ფონდი და გადაუხადოს კომპენსაცია დეპორტირებულებს, უზრუნველყოს მათი დასაქმება და ა. შ. რაც არ უნდა კეთილშობილად ჟღერდეს ამგვარი მოწოდება, მე ამ დროს სხვა ხმა და სხვა იდეები გამახსენდა — ოდესღაც **ჯაბა იოსელიანი** ამბობდა რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაღებულ ერთ დოკუმენტურ ფილმში: ვინც ფული იშოვა, ვალდებულია, ჩემს ბიჭებს წილი მისცესო.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ოპოზიციონერების მოწოდება არაა ესოდენ ტლანქი და სწორხაზოვანი, მაგრამ იქნებ ვინმემ ამიხსნას: რითი განსხვავდებიან რუსეთიდან დეპორტირებული ქართველები აქაური უმუშევრებისგან, ან მიწისძვრით დაზარალებულებისგან, ან დევნილებისგან? გასაგებია, რომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მათ სრულფასოვანი იურიდიული დახმარება მიიღონ — ხელისუფლებამ უნდა აიღოს პაუსხისმგებლობა ყველა აუცილებელ მოლაპარაკებასა თუ სასამართლო პროცესზე, მაგრამ რაც შეეხება კომპენსაციებს, უკანონოდ დეპორტირებულთა ვალი ჩვენ კი არა, რუსეთის სახელმწიფოს მართებს. ჰოდა, რუსეთმა უნდა გაუსწოროს ანგარიში და არა ჩვენმა გადასახადთა გადამხდელებმა.

ჩემს თვალსაზრისს არა აქვს მიმზიდველი და კეთილშობილი ფორმა — დავუშვათ, რომ ბევრი მიკლია **თინათინ ხიდაშელის**, **დავით ზურაბიშვილისა** და სხვათა მორალურ სიმაღლემდე. ჩემი პოზიცია მოკრძალებულია: უბრალოდ, არა მგონია, სამართლიანობა ალურიცხავი მოწყალების დამკვიდრებას ნიშნავდეს, ხოლო დემოკრატია აუცილებლად იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ ადამიანის ცხოვრებას არანაირი მარცხი არ დააჩნდება. ემიგრაცია, როგორიც არ უნდა იყოს მისი ბუნება და მოტივები, არასოდეს წარმოადგენს სუფთა იძულებას, დიდი ნაწილი მასში ადამიანის თავისუფალი არჩევანია. ამიტომაც არ იქნება სამართლიანი, თუ სახელმწიფო მთლიანად აიღებს თავის თავზე სხვათა შეცდომების გამოსწორებას, თანაც იმათ ხარჯზე, ვისაც ეს შეცდომა არ დაუშვია.

ახლა კი თემა გამოვცვალოთ. თუმცა ჩვენს მდგომარეობას ეს მაინცდამაინც არ შეამსუბუქებს: 26 ოქტომბერს გამოქვეყნდა **ნინია კაკაბაძის** სტატია *ერთი ახალი დეტალი ქართულ სატელევიზიო მედიაში*. საქმე ეხებოდა "იმედის" საინფორმაციო პროგრამა "დროებაში" 22 ოქტომბერს გასულ სიუჟეტს, სადაც აჩვენეს ქართველ მეომართა მიერ აფხაზეთის ომში ერთი სამხედრო ტყვის დახვრეტის კადრები. ამბობენ, ამ დაქირავებული მებრძოლის კისერზე 96 ქართველის სიცოცხლე ეკიდა. მოვიყვანოთ ერთი ადგილი სტატიიდან: **"სამწუხაროა, რომ სიუჟეტის ყურებისას თვალში არავის მოხვდა, ომში ან ომის დროს როგორ ტკბება ადამიანი მკვლელობით, თუმცა ამ სიუჟეტის შექმნის უმთავრესი მიზანი ალბათ სწორედ ეს იყო — წარმოედგინა ის ბოროტება, რომელიც ომს მოაქვს**". მე ვერ ვიტყოდი ასეთი დაბეჯითებით, რა იყო ხსენებული სიუჟეტის ჩვენების მიზანი — გამოუკვლეველ არიან გზანი "იმედისანი"! ვინ იცის, რა წვლილი ჰქონდა ამაში, მაგალითად, ვინმე **კირილ ლეგატს**, რომელიც ტელეკომპანიამ მოიწვია და რაღაც კონსულტანტის თუ, როგორც ახლა იტყვიან, "სუპერვაიზერის" მსგავსი ფუნქციით აღჭურვა და ვის ინსტრუქციებს ასრულებს ამჟამად ეს პატივცემული გვამი, რომელიც მანამდე რუსეთის არხებზე ქმნიდა რომელიღაცა კეთილსაიმედო პროექტებს, ჩვენი "ვიდეოპატრულის" მსგავსს, ახლა კი თბილისში ცხოვრობს და უკვე მოასწრო სავიზიტო ბარათზე ბოძებული ბინის მისამართის აღნიშვნა.

და მაინც, მთავარი ეს არაა: როგორც სიუჟეტში, ასევე სტატიაში დოკუმენტური კადრების გარშემო მთელი ეთიკურ-მორალისტური დისკუსია იმართება იმის შესახებ, რა ბოროტია ბოროტება და რა კეთილია სიკეთე, რა საძაგლობაა ომი და როგორი სასურველია მშვიდობა. დავუშვათ ერთი წამით, რომ "დროების" ეთერში განვითარებული დისკუსია "ცუდია", სტატიაში მოცემული მსჯელობა კი "კარგი" — მერე და რას გვაძლევს ეს? დავიჯეროთ, **გიორგი თარგამაძე** და ნინია კაკაბაძე უკეთესად წარმოაჩენენ ომისა და, საერთოდ, სისასტიკის ბუნებას, ვიდრე თუნდაც **როსელინი** ან **კოპოლა**? — სინამდვილეში საკითხი ძალიან მარტივია, რადგან არავის დაუსვამს მთავარი შეკითხვები: აღასრულებდნენ თუ არა კადრებზე აღბეჭდილი ადამიანები კანონიერი სასამართლოს განაჩენს? რა სამართლებრივი სტატუსი შეიძლება მივანიჭოთ ადამიანებს, რომლებიც სასამართლოს გარეშე ხვრეტენ სამხედრო ტყვეს? სანამ პასუხი არ არის გაცემული ელემენტარულ კითხვებზე, დახვრეტის ხილვის თუ მასში მონაწილეობის შედეგად მიღებული ემოციების გარშემო ყოველგვარი მსჯელობა მოკლებული იქნება მორალურ ღერძს, და ყოველთვის შექმნის ორაზროვანი მსჯელობის საფუძველს.

ჩვენ კი კვლავ გამოვცვალოთ თემა და ახლა საკონსტიტუციო ცვლილებებს შევეხოთ. შეიძლება ითქვას, ეს ერთადერთი თემაა, რომლის გაშუქებას გასული კვირის "24 საათში" ანალიზის პრეტენზია ჰქონდა. ამას **დავით დარჩიაშვილსა** და **ეკა კვესიტაძეს** უნდა ვუმადლოდეთ: 23 ოქტომბრის ნომერში ორივემ თითო სტატია მიუძღვნა საპრეზიდენტო არჩევნების გადმოტანას. ორივე ავტორი თანახმაა, რომ ლუკაშენკოსა და თურქმენბაშისთან შედარებები უსაფუძვლოა: ბევრი მიზეზის გამო, საქართველოს არ ემუქრება დიქტატურის ცალსახა საფრთხე. ყოველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილება არ შეესაბამება შესაძლო დიქტატურას ისე როგორც ცეცხლი — კვამლს, ჩხვლეტა — ტკივილს, ელვა — გრგვინვას და ა. შ. ორივე ავტორი საკონსტიტუციო ცვლილებებში მმართველი უმრავლესობის საარჩევნო ტაქტიკას ხედავს და ვერ ნახულობს პირდაპირ და შეურყეველ არგუმენტებს ამგვარი ცვლილებების საწინააღმდეგოდ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეკა კვესიტაძე (ალბათ ქალური ინტუიციის წყალობით) ერთ დამატებით ფაქტორს ამჩნევს: შიში. აი, რას ვკითხულობთ აქ: **"თეორიულად, რაც არ უნდა კარგად ესმოდეთ მიხეილ სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების მოგება თუნდაც 2-3 პროცენტის უპირატესობით ტრაგედია არ არის, განცდა, რომ მათი უპირატესობა ძალიან დიდი უნდა იყოს, ფარულ პანიკას მაინც თესავს ნაციონალურ მოძრაობასა და განსაკუთრებით მის ლიდერში, რომელიც "აბსოლუტურ გამარჯვებებს" არის მიჩვეული"**. რას იზამ, არ უყვართ ქალებს მხდალები! ჩვენი ავტორი კი ყველაფერთან ერთად იმასაც ხვდება, რომ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის დანარჩენი წევრებისათვის იგივეა, რაც ოდესღაც **ნინო ბურჯანაძე** იყო **ზურაბ ჟვანიასათვის**.

მაგრამ მიუხედავად მოვლენების არგუმენტირებული შეფასებისა და შორს მიმავალი მიგნებებისა, ორივე ავტორი მაინც ვერ აღწევს საკითხის სიღრმეს. დავით დარჩიაშვილის ტექსტში მხოლოდ ერთხელ გამოკრთება აზრი, რომ კონსტიტუცია **"საერო წმინდა წიგნია"**, ეკა კვესიტაძე კი ასევე გაკვრით იხსენებს იმას, რომ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადა სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებებით დაიწყო. ვეთანხმები ავტორებს, რომ ამჯერად ფორმალურად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წინა მაგალითებისა არ იყოს, ფორმა აქაც შეიცავს შეუმჩნეველ ხიფათს: როგორც 2004, ასევე 2006 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები (მათი საერთო რაოდენობა საგრძნობლად აღემატება იმ შესწორებებს, რაც აშშ-ს კონსტიტუციამ ორასი წლის განმავლობაში მიიღო) მეტყველებს, რომ დაწერილი კანონი დღემდე ვერ იქცა საქართველოსთვის ფუნდამენტურ ღირებულებად.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორებები შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს, იმ სიახლეებს, რომლებიც ისტორიაში პირველი თავისუფალი სახელმწიფოს ფუნქციონირებას მოჰყვა და რომელთა წინასწარი გათვალისწინება შეუძლებელი იყო. საქართველოში კი რა ვითარებაა? — ჯერ იყო და გამარჯვებული სამეული ჩაიკეტა ოთახში და იქ შეიმუშავა ცვლილებათა პირველი პაკეტი, მერე კიდევ გამარჯვებულმა ერთეულმა გვახარა უიკენდის წინ, საპრეზიდენტო არჩევნები შვიდი თუ რვა თვით ადრე გადმომაქვსო.

პრობლემა არაა — დიდსულოვნად ვიტყვით ჩვენ. უბრალოდ, მოგვეცით საშუალება, ვიმსჯელოთ ამ საკითხზე, ნუ მიგვაჩვევთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს საძირკველში ჩალაგებული აგურების გადალაგება ასე ადვილად და ჰაიჰარად შეიძლება, ისე, რომ საქმეს **ცაგარეიშვილის** ნერვიული ღიმილი და **ნადირაძის** მედიდური ყელმოღერება ეყოს.

მაინც რა აერთიანებს სამივე თემას? ამის გასაგებად ერთ ამბავსაც მოგითხრობთ: ერთხელ **ევგენი პრიმაკოვი** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, **ალექსი მეორეს** ეწვია — არის ასეთი "ძველი და კეთილი რუსული ტრადიცია", როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმ ქვეყნისთვისაც ზრუნავენ თავისებურად. ალექსიც სრული შესამოსელით შეეგება მაღალ სტუმარს — განსაკუთრებით გამოირჩეოდა სირიული ფარჩისგან შეკერილი ომოფორი. პრიმაკოვმა თვალიერება დაუწყო სალიტურგიო აქსესუარებს: აღმოსავლური ორნამენტების წნულში რაღაცამ აშკარად მიიპყრო მისი ყურადღება. ჰკითხა კიდეც უწმინდესს, ეს რა არისო. პატრიარქმა შვებით ამოისუნთქა — სამღვდელონი ყოველთვის მსუბუქ დაბნეულობას გრძნობენ ხოლმე იმ ადამიანების წინაშე, ვინც მხოლოდ ნაწილობრივ ექცევა მათი კონტროლის ქვეშ — ახლა კი უხერხულობის გასაფანტავად საბაბი მიეცა და ხალისით დაიწყო მოყოლა, თუ რა სულიერი მნიშვნელობა აქვს ომოფორს და რა ღირსებებით გამოირჩევა შესამოსელის ეს კონკრეტული ეგზემპლარი, რომელიც უკვე რამდენიმე თაობის განმავლობაში ამკობს რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლებს.

— კი მაგრამ, აქ რა აწერია? — იკითხა პრიმაკოვმა.

— არაფერიც არ აწერია, — შეშფოთდა პატრიარქი.

— როგორ არა, აწერია, — დაიჟინა ყოფილმა აღმოსავლეთმცოდნემ და იქვე წაიკითხა ორნამენტებს შორის შენიღბული არაბესკა, სირიელი მქსოველის მიერ სასოებით ამოქარგული. — **"არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მოჰამედია მოციქული მისი"**.

როგორ უნდა აღვწერო შოკი, რომელიც ალექსი მეორემ განიცადა? ან იქნებ არც არაფერი განუცდია? ეს ჩვენი საქმე არაა. ჩვენი ყურადღება ახლა სხვა რამეზე უნდა გადავიტანოთ: ქართული პოლიტიკური ცხოვრება ნელა, მაგრამ განუხრელად იხვეწება. მას მართლაც შორდება ძველი სიტლანქე და ამის შედეგად ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებისათვის უკვე კარგად შემუშავებული ნატიფი მეთოდებიც ახდენს გავლენას. ამ პირობებში კი უფრო მეტი სიფხიზლე გვმართებს, რათა არ გამოგვეპაროს უნაკლოდ შესრულებულ ფორმაზე ამოტვიფრული შეუმჩნეველი არაბესკები.

## დსთ-დან საქართველოს გამოსვლის ინიციატივას უმრავლესობა მხარს არ უჭერს

პარლამენტის მიერ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ სპეციალური დადგენილების მიღების ინიციატივას სხვა ოპოზიციური პოლიტიკური ფრაქციებიც უერთდებიან. უმრავლესობა კი ამ ეტაპზე დსთ-დან გამოსვლის საკითხის წინ წამოწევას მხარს არ უჭერს.

საკითხის ინიციატორი ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტია", რომელიც დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ დადგენილების მიღების მთავარ არგუმენტად აფხაზეთში, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეწყვეტის პროცედურების გამარტივებას ასახელებს.

"დემოკრატიულ ფრონტს" ასევე მიაჩნია, რომ პრეზიდენტი დსთ-ს სამიტზე არ უნდა გაემგზავროს, პარლამენტმა კი დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ დადგენილება დსთ-ს სამიტამდე უნდა მიიღოს.

ფრაქციამ პროექტი პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა. "დემოკრატიული ფრონტის" პოზიციას "მემარჯვენეები" და "მრეწველები" მთლიანად იზიარებენ. "მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

გამყრელიძის აზრით, ეს სააკაშვილის კონსტიტუციური მოვალეობაა და ამისთვის, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები უკვე მომწიფებულია. "მრეწველების" განცხადებით კი, დსთ-დან საქართველოს გამოსვლისთვის ისინი დიდი ხანია იბრძვიან. ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილის გია ცაგარეიშვილის განცხადებით, "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან" საქართველოს გამოსვლა მისი ოცნებაა.

რადიკალურად განსხვავებულია უმრავლესობის პოზიცია. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი მიიჩნევს, რომ დსთ-დან გამოსვლის პროცედურები ხანგრძლივია და ამ პროცესის დაწყებამდე ხელისუფლებამ, რომელიც ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ და კონომიკურ პროცესებზე ოპოზიციისგან განსხვავებით პასუხს აგებს, აქტივები და პასივები კარგად უნდა დათვალოს.

რაც შეეხება "დემოკრატიული ფრონტის" მთავარ არგუმენტს, სამშვიდობოების მანდატის გაუქმების პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს შოთა მალაშხიას მიაჩნია, რომ დსთ-დან საქართველოს გამოსვლა ამ პროცედურებს, გამარტივების ნაცვლად, გაართულებს. შოთა მალაშხიაც ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარების წინააღმდეგია და რუსეთთან დიალოგის ყველა შესაძლებლობის გამოყენების მომხრეა.

საპარლამენტო უმრავლესობა ფიქრობს, რომ ზამთრის დადგომის წინ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება არ შეიძლება, მიხეილ სააკაშვილი კი დსთ-ის სამიტზე უნდა გაემგზავროს, რათა თავის რუს კოლეგას შეხვდეს. **ინტერპრესნიუსი**



# ქალი და ჯანმრთელობა

**შესაძლებელია ახლხანს გაიგეთ, რომ ძუძუს კიბო გაქვთ, შესაძლოა უკვე დაიწყეთ მკურნალობა, ან შეიძლება შეიტყვეთ, რომ თქვენთვის ძვირფასი ადამიანია ამ სენით დაავადებული. რასაკვირველია, თქვენ უამრავი შეკითხვა გაგიჩნდებათ, გაინტერესებთ, თუ რა არჩევანი არსებობს, რათა თქვენ ან თქვენმა ახლობელმა საუკეთესო მკურნალობა მიიღოს.**

**"ვიცოდეთ, დავძლიოთ დაავადება და ვიცხოვროთ" - სწორედ ამ ეგიდით ხორციელდება "ძუძუს კიბოს დაძლევის საინფორმაციაო პროგრამა", რომლის ინიციატორია შვეიცარული კომპანია "ჰოფმან - ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში.**

**"ჰოფმან - ლა როში" უნიკალურ შესაძლებლობას გაძლევთ და თქვენი ინტერესის დაკმაყოფილებას ყოველ ორშაბათს სპეციალური რუბრიკით - "ქალი და ჯანმრთელობა" ცდილობს.**

"ძუძუს კიბო არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია, ახალი, რთული ცხოვრების დასაწყისი," - გვაიმედებენ ონკოლოგები და არცთუ უსაფუძვლოდ. ამ სენთან ბრძოლაში ყველაფერი მნიშვნელოვანია: დროული აღმოჩენა, თანამედროვე სრულყოფილი დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება და ეფექტური მკურნალობა. ამასთან გასათვალისიწნებელია, რომ ყოველწლიური კონსულტაცია ექიმ-მამოლოგთან თქვენი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გარანტი იქნება.

და მაინც, რა არჩევანი არსებობს, როგორ ხდება ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა, მისი ქირურგიული მკურნალობა, რა აუცილებელი გამოკვლევებია ჩასატარებელი ოპერაციის შემდეგ, რომელია ძუძუს კიბოს ყველაზე რთული ფორმა, შესაძლებელია თუ არა რეციდივის თავიდან აცილება და ასე შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება ონკოლოგ მამოლოგი, პროფესორი **გია ციხისელი:**

- სარძევე ჯირკვლის ყოველთვიური თვითგასინჯვა საუკეთესო გზაა კვანძოვანი წარმონაქმნის ადრეული დიაგნოსტიკისთვის. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კვანძოვანი წარმონაქმნების უმრავლესობა ავთვისებიანი არ არის, დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში პაციენტს სრული განკურნების შანსი ეძლევა. და კიდევ, ყოველწლიური კონსულტაცია ექიმ-მამოლოგთან აუცილებელია, რაც მოსალოდნელი პრობლემებისგან დაიცავს. თუ მას ადრეულ ეტაპზე აღმოაჩენს და შესაბამის გამოკვლევებზე დაყრდნობით მიზანმიმართულ მკურნალობას ჩაიტარებს, მის მართვას აუცილებლად შეძლებს.

**როგორ უნდა ვუმკურნალოთ ამ დაავადებას და რა შემთხვევაშია აუცილებელი ქირურგიული ჩარევა?**

ამ დაავდების მკურნალობის რამდენიმე ალტერნატივა არსებობს. კერძოდ, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია და ქირურგია. შესაძლებელია მკურნალობა კომპლექსური და კომბინირებულ ხასიათს ატარებდეს. იმისათვის რომ დაისვას ზუსტი დიაგნოზი და მასზე განხორციელდეს მიზანმიმართული მკურნალობა, აუცილებელია პაციენტს ჩაუტარდეს მთელი რიგი გამოკვლევები. მამოლოგმა აუცილებლად უნდა შეაფასოს დაავადების სტატუსი, რათა განსაზღვროს რა სახის სიმსივნესთან აქვს საქმე. აქედან გამომდინარე, მკურნალობაში წარმატების მიღწევა მხოლოდ შესაძლებელია კომპლექსური მიდგომით.

ქირურგია ძუძუს კიბოს მკურნალობის ერთ-ერთი შემადგენელი ეტაპია. ოპერაციის წინ აუცილებელია სრულად შეფასდეს დაავადების სტადია და ჰორმონალური სტატუსი, მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

ძუძუს კიბოს ქირურგიული მკურნალობა ორ ძირითად სახედ იყოფა, ერთია ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაცია - რადიკალური რეზექცია, როდესაც იკვეთება მხოლოდ სიმსივნე და რეგიონალური ლიმფური ჯირკვლები, და მეორე, რადიკალური მასტექტომია, როდესაც ხდება ძუძუს მოკვეთა. სახის შერჩევა დამოკიდებულია დაავადების განვითარების სტადიაზე. ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაცია ტარდება ადრეულ სტადიაზე, როდესაც სიმსივნის ზომა არ აღემატება 2 სანტიმეტრს და ლოკალიზებულია სარძევე ჯირკვლის გარეთა ნაწილში. ამ დროს ხდება სარძევე ჯირკვლის დაავადებული სექტორის ამოკვეთა და იღლიისქვეშა ლიმფური ჯირკვლების დისექცია (ამოჭრა). მაგრამ თუ სიმსივნე განვითრებულია ცენტრში, რაც არ უნდა პატარა ზომის იყოს, ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაციის ჩატარებას აზრი არ აქვს, რადგან დროთა განმავლობაში იქ აუცილებლად გაჩნდება რეციდივი. ამ დროს მისაღებია ორგანოს მოკვეთა.

ძუძუს გენერალიზირებელი კიბოს სამკურნალოდ, როგორც წესი, ქირურგია არ გამოიყენება, რადგან ამ დროს სიმსივნური პროცესი გავრცელებულია რამდენიმე ორგანოში ან მთლიანად ორგანიზმში, ასეთ შემთხვევაში ტარდება სისტემური პოლიქიმიოთერაპიის კურსები ჰორმონოთერაპიის ფონზე.

დაგვიანებულ შემთხვევებში, ე.წ. ადგილობრივად გავრცელებული სიმსივნეების შემთხვევებში, მკურნალობის პირველ ეტაპზე უპირატესობა ეძლევა ქიმიოთერაპიულ ან სხივურ თერაპიას, რომელთა ჩატარების შემდეგ სიმსივნური პროცესის რეგრესის შემთხვევაში მეორე ეტაპზე ტარდება ქირურგიული მკურნალობა. პერაციის შემდეგ პერიოდში ამ კატეგორიის პაციენტებს უგრძელდებათ ქიმიოჰორმონოთერაპიული მკურნალობა.

საქართველოში სარძევე ჯირკვლის კიბოს გამო შესრულებულ ოპერაციათა შორის ყველაზე ხშირად ტარდება რადიკალური მასტექტომია, რაც გულისხმობს ორგანოს მოკვეთას და ლავიწქვეშა, იღლიისქვეშა, ბეჭქვეშა ლიმფური ჯირკვლების ამოკვეთას.

**რა გამოკვლევები ტარდება ოპერაციის შემდეგ?**

ქირურგიული ჩარევის შემდეგ უმნიშვნელოვანესია ორგანოს და ლიმფური ჯირკვლების მორფოლოგიური შესწავლა და იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევა. ეს არის დაავადების ადეკვატური მკურნალობის ერთადერთი სწორი გზა - დაავადების განვითარების სტადიის განსაზღვრა და სიმსივნის ჰორმონალური სტატუსის დადგენა. მნიშვნელოვანია ჰორმონალური რეცეპტორების სტატუსი და ეპითელური ზრდის ფაქტორის რეცეპტორის (HER 2) განსაზღვრა, რასაც შეუძლია მოგვაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძუძუს კიბოს სავარაუდო პროგნოზის შესახებ. ამით საშუალება გვეძლევა განვსაზღვროთ სიმსივნის პროგრესირება, ალბათობა და საჭიროა დროულად ჩატარდეს პროფილაქტიუკური მკურნალობა.

**შესაძლებელია თუ არა ძუძუს კიბოს მკურნალობა ქირურგიული ჩარევის გარეშე?**

როგორც აღვნიშნე, მკურნალობის რამდენიმე ალტერნატივა არსებობს: ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია და ქირურგია.

სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევაში **სხივური თერაპია** გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, ისე კომბინაციაში ქირურგიულ ან ქიმიოთერაპიულ მკურნალობასთან. სხივური თერაპია, სარძევე ჯირკვლის არანამკურნალები კიბოს შემთხვევაში ტარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია რისკი ოპერაციისა და ნარკოზის ჩატარების თანმხლები დაავადებების გამო, ან როდესაც პაციენტი აცხადებს კატეგორიულ უარს ოპერაციულ მკურნალობაზე. უნდა აღინიშნოს რომ სხივური თერაპიის რადიკალური პროგრამით ჩატარების შემდეგ ქირურგიული ოპერაციის ჩატარება შეუძლებელი ხდება, ასევე შეუძლებელია სხივური თერაპიის კურსის გამეორება გარკვეული პერიოდის გავლის შემთხვევაშიც კი.

**ქიმიოთერაპიული მკურნალობა** ტარდება ან პროფილაქტიკური ე.წ. (ადუვანტური) ან მკურნალობის მიზნით. როფილაქტიკური (ადუვანტური) ქიმიოთერაპია ინიშნება რადიკალური მკურნალობის (ოპერაციის) ჩატარების შემდეგ და მისი მიზანია დაავადების სტაბილიზაციის დაფიქსირება.

ქიმიოთერაპია, როგორც დამოუკიდებელი მეთოდი სარძევე ჯირკვლის კიბოს მკურნალობაში, პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გამოიყენება.

**დაავადების რომელ ფორმას გამოყოფდით?**

ძუძუს კიბოს HEHeR 2 დადებითი ფორმა 3+ -ით სიმსივნის განსაკუთრებული აგრესიული ბუნების მაჩვენებელია. სიმსივნე სწრაფი პროგრესირებით ხასიათდება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, ამის გამო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია HER2 რეცეპტორი განისაზღვროს ძუძუს კიბოს დიაგნოზის დადგენისთანავე და არ უნდა გადაიდოს დაავადების რეციდივამდე ან პროგრესირებამდე.

**რამდენად ეფექტურია ასეთ დროს მონოკლონური ანტისხეულების, კერძოდ, ჰერცეპტინის გამოყენება?**

უკანასკნელ წლებში იმუნოლოგიის და ბიოტექნოლოგიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ, კერძოდ, მონოკლონური ანტისხეულების აღმოჩენამ და მისმა სინთეზმა გარდატეხა შეიტანა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. სპეციალურად სინთეზირებული მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელი გახდა ზემოაღნიშნული გენის დათრგუნვა და ორგანიზმში უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილის პროდუქციის შემცირება, რაც ამორჩევით იწვევს სიმსივნური უჯრედების ზრდის დათრგუნვასა და სიკვდილს ისე, რომ არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს და ამ პრეპარატს პერცეპტინი (ტრასტუზუმაბი) ეწოდება. ჰერცეპტინით ძუძუს კიბოს მკურნალობა ყველა შემთხვევაში შესაძლებელი არ არის. მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ პაციენტს ლაბორატორიულად უდგინდება HER-2 რეცეპტორის გაძლიერება, ხოლო სიმსივნე სწრაფად განიცდის გენერალიზაციას ან ხშირ რეციდივებს იძლევა. ამიტომ HER-2-ის ჰიპერსეკრეცია უნდა შეფასდეს სიმსივნურ ქსოვილში იმ პაციენტების გამოსავლენად, რომელთა ჰერცეპტინით მკურნალობაც ეფექტური იქნება.

Roche



# ქრთამი - მეორე "ნაციონალი" დეპუტატის პატიმრობის მიზეზი

პირველი გვერდიდან

როგორც პროკურატურა ირწმუნება, სწორედ კონტრაქტისა და დაფინანსების აღსადგენად დაუკავშირდა დეპუტატი ნუცუბიძე განათლების მინისტრის მოადგილეს თეიმურაზ სამადაშვილს და "ამაღლება-98"-ისთვის ორი მილიონი ლარის ჩარიცხვის სანაცვლოდ 500 ათასი ლარის გადახდა შესთავაზა. სამადაშვილის უარი იმაში გამოიხატა, რომ მინისტრის მოადგილემ გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და გია ნუცუბიძე წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით, სამართალდამცველებმა ფაქტზე, სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა მინისტრის მოადგილისთვის თანხის ნაწილი - 50 ათასი ლარი უნდა გადაეცა.

დეპუტატთან ერთად დაკავებულია მისი პროტეჟე - "ამაღლება-98"-ს დირექტორი დავით სიხარულიძეც, რომელსაც ბრალი თანხების მითვისებაში ედება. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, სამშენებლო ფირმა "ამაღლება-98"-ს "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიისთვის პარტიის ანგარიშზე 20 ათასი ლარი აქვს გადარიცხული, მაგრამ მაშინდელი ქველმოქმედება ფირმის დირექტორს ამჯერად ვერაფერში დაეხმარა.

გუშინდელ პროცესზე ბრალმდებლებად გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები ზაზა ქაჩიბაია და კახა მაჭავარიანი გამოვიდნენ, რომლებმაც მოსამართლეს წარუდგინეს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის შუამდგომლობა, რომელიც დაკავებულებისთვის ორი თვით წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

სასამართლო პროცესს დეპუტატი ნუცუბიძე ჯანმრთელების მდგომარეობის გაუარესების მიზეზით ვერ დაესწრო. დავით სიხარულიძე კი საკუთარი უდანაშულობის დამტკიცებას ადვოკატთან ერთად შეეცადა. მისი თქმით, ბრალდების მხარე ხელშეკრულებას არ იცნობს და დანაშაულს ხელოვნურად უმძიმებენ.



*დეპუტატი ნუცუბიძე ჯანმრთელების მდგომარეობის გაუარესების მიზეზით ვერ დაესწრო. დავით სიხარულიძე კი საკუთარი უდანაშულობის დამტკიცებას ადვოკატთან ერთად შეეცადა.*

სიხარულიძის დაპატიმრების აუცილებლობას ვერც მისი ადვოკატი ხედავდა და ამიტომ სასამართლოს გირაო შესთავაზა. დავით სიხარულიძის განცხადებით, მასზე განათლების მინისტრის მოადგილის თეიმურაზ სამადაშვილის მხრიდან ზეწოლა ხორციელდებოდა. განსასჯელის თქმით, სამადაშვილი მისგან ქრთამის გადახდას ითხოვდა, თუმცა მან ამაზე უარი განაცხადა.

თუმცა, საბოლოოდ, მოსამართლე მილერ ხარებავამ პროკურატურის არგუმენტი გაიზიარა. გენპროკურატურას მიაჩნია, რომ ნუცუბიძე და სიხარულიძე თავისუფლების შემთხვევაში მოწმეებზე ზეწოლას მოახდენენ. ამიტომ, ისინი წინასწარ პატიმრობაში უნდა იყვნენ. ბრალდების ეს მოთხოვნა მოსამართლემ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც დეპუტატი და მისი პროტეჟე წინასწარი დაკავების საკნიდან საპყრობილეში გადაიყვანეს.

გამოძიება გრძელდება. აღნიშნულ დანაშაულში სხვა ბრალდებულებიც გაჩნდებიან თუ არა, ამაზე ოფიციალურად ჯერჯერობით არავინ საუბრობს. არადა, დეპუტატების ერთ ნაწილი, მათ შორის ელენე თევდორაძეც მიიჩნევს, რომ ამ საქმეში პასუხისმგებლობა განათლების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ სამადაშვილმაც უნდა გაიზიაროს. მათი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურასთან თანამშრომლობამდე სამადაშვილი ნუცუბიძესთან გარიგებაში არ შევიდოდა, შესაძლოა, დანაშაული აღკვეთილიყო და ნუცუბიძეს დანაშაული აღარ ჩაედინა.

**"აღნიშნული ფაქტი მთელი პარლამენტის შეურაცხყოფაა, მაგრამ პროკურატურამ საკითხი ისე წარმოადგინა, თითქოს, მხოლოდ სამშენებლო ფირმა "ამაღლება-98" იყოს დამნაშავე ათეულობით სკოლის რემოტის გაჭიანურებაში. ჩნდება ეჭვი, ხომ არ იკვეთება განათლების სამინისტროს რაიმე დაინტერესება საკითხის ამგვარად წარმოჩენაში",** - განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ.

და კიდევ. გია ნუცუბიძე 1993-2004 წლებში თბილისის სარიტუალო მომსახურების მრავალდარგიან, საწარმო ფირმა "ჰერმესის" გენერალური დირექტორი იყო. აღნიშნულ ფირმას 26 სასაფლაო და საამქროები ეკუთვნის. ორი თვის წინ სარიტუალო მომსახურების ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებით მასალები თბილისის მერიის გენერალურმა ინსპექციამ შეაგროვა. არსებობს ეჭვი, რომ სარიტუალო ფირმა სასაფლაოებს უკანონოდ ყიდდა და სხვა კანონდარღვევებს ახორციელებდა. არ არის გამორიცხული, დეპუტატს აღნიშნული საქმიანობაც გაუხსენონ.

*24 საათი*

# ლუკა რამაზაშვილის საქმე სტრასბურგში გაიგზავნება

*თელავის რაიონულმა სასამართლომ "სახალხო რაზმის" ყოფილ მეთაურს და ბიზნესმენს ლუკა რამაზაშვილს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას მსჯავრდებულის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში გეგმავენ. იმ შემთხვევაში, თუ თელავის სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავ ძალაში დარჩება, ადვოკატების განცხადებით, საქმეს სტრასბურგში გაასაჩივრებენ.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ლუკა რამაზაშვილი სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის იანვრის თვეში დააპატიმრეს. მას თავდაპირველად ბეტონის ფილების მოპარვის გამო წაუყენეს ბრალდება. მოგვიანებით სამართალდამცველებმა რამაზაშვილს სხვა დანაშაულიც გაუხსენეს. სამხარეო პროკურატურის ინფორმაციით, ქურდობის გარდა, რამაზაშვილი ყაჩაღობაში, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, იძულებაში, მუქარასა და სხვისი ქონების დაზიანებაშიც იყო ეჭვმიტანილი. ახლად აღმოჩენილი ბრალდებები სამართალდამცველებმა დაზარალებულთა ჩვენებებით გაამყარეს. თუმცა, მოგვიანებით მოწმეებმა თავიანთი ნათქვამი უკან წაიღეს და გამოძიებისთვის მიცემული ცრუ ჩვენებისთვის ისინიც განსაჯელის სკამზე აღმოჩნდნენ.

**"ლუკა რამაზაშვილი არ დაგვმუქრებია და არც არაფერი ჩაუდენია. ვაღიარებ, რომ გამომძიებელს თავდაპირველად სხვა ჩვენება მივეცი, რადგან მაშინ არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ქართული კარგად არ მესმის და არც თარჯიმანი მყავდა. რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვიმეორებდი",** - ასეთი ჩვენება მისცა მოსამართლეს გამოძიების მიერ ცრუ მოწმედ მიჩნეულმა ეროვნებით აზერბაიჯანელმა შაისა მაილ მურთაზ ოღლიმ, რომლის მსგავსად, ცრუ ჩვენებისთვის კიდევ სამი პირია დაკავებული - აივენგო წიქარიძე, ბესო ქიტიძე და არსენ პავლიაშვილი.

ადვოკატი შალვა შავგულიძე, რომელიც რამაზაშვილის ინტერესებს იცავს, აცხადებს, რომ ამ ადამიანების დაპატიმრება უსამართლოდ მოხდა. მათზე პროკურატურის გამომძიებელი დავით ნეკერეული ზეწოლას ახდენდა.

**"ამ ხალხმა პროცესზე სიმართლე ილაპარაკა, რის გამოც, პროკურატურის მიერ შეკერილ საქმეში რამაზაშვილის დანაშაულებრივი ქმედებები ეჭვქვეშ დადგა. მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების დაპატიმრება უსაფუძვლოა და პროკურატურის მხრიდან მორიგ უკანონო ზეწოლას აქვს ადგილი",** - აცხადებს შავგულიძე.

ადვოკატის კომენტარებს კახეთის ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ გამოეხმაურა. იგი მისი უწყების წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს კატეგორიულად უარყოფდა.

**"მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ლუკა რამაზაშვილი კრიმინალია. მას ბიზნესთან საერთო არაფერი აქვს, მხოლოდ ამ სფეროს წარმომადგენელთა ზურგს არის ამოფარებული. ამ პიროვნებას ჰყავდა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც მოსახლეობას აწიოკებდა. მისი ზეწოლების შედეგად კახეთიდან ორი ბიზნესმენია გაქცეული და ისინი, რამაზაშვილის შიშით, დღემდე რუსეთს აფარებენ თავს. რამაზაშვილი მათ ფულს სძალავდა. ასეთია ბუქარაიძე და ერთ-ერთი ლალისყურელი ბიზნესმენი; ყარაჯალელ ფერმერ ნასრედინ ნაბიოღლის კი, სხვა პირად ნივთებთან ერთად, 750 სული ცხვარი წაართვა. მართალია, რაიონის მაშინდელი პოლიცია და ხელმძღვანელობა მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში იყო, მგრამ - უშედეგოდ. იმაზე უკვე აღარ გესაუბრებით, რაც თავდაპირველად მისი დაკავების მიზეზი გახდა. ერთს გეტყვით, რომ ჩვენ საკმაო ხანს მოგვიხდა მუშაობა, რათა რამაზაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებები მოგვეპოვებინა",** - აცხადებს ცაბუტაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა რამაზაშვილისთვის 12-წლიან პატიმრობას ითხოვდა, მოსამართლე ლია ოთარაშვილმა განსასჯელი პროკურატურის მიერ წარდგენილ ექვსი ბრალდებიდან დამნაშავედ მხოლოდ სამ ეპიზოდში ცნო და რვაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადვოკატები თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპირებენ.

**"იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო და შემდეგ უზენაესმა სასამართლოებმა ჩვენი საჩივარი არ დააკმაყოფილეს, საქმეს სტრასბურგის სასამართლოში გავასაჩივრებთ",** - აცხადებს რამაზაშვილის ადვოკატი შალვა შავგულიძე.

# სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა დასჯადია

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სახალხო დამცველის მიერ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის ალექსანდრე მუხაძის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განიხილა და, მოსამართლის გადაწყვეტილებით, "რესბალნიცის" დირექტორი სამართალდამრღვევად გამოცხადდა, რისთვისაც მას კანონით გათვალისწინებული სანქციის - ჯარიმის გადახდა მოუწევს. სახალხო დამცველის მიერ მუხაძის სამართალდამრღვევად გამოცხადების მიზეზი ის გახდა, რომ "რესბალნიცის" დირექტორმა ექიმ-ექსპერტებს არ მისცა საშუალება, შესულიყვნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარ ჯ.შ-სთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად. გარდა ამისა, ალექსანდრე მუხაძემ მომხდართან დაკავშირებით არ მისცა ახსნა-განმარტება სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველმა სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა შსს-ს ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ჰასან ყურშუბაძეს.

საქმე ისაა, რომ 2006 წლის 23 ოქტომბერს შსს-ს ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსმა ჰასან ყურშუბაძემ სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებს მონიტორინგის განხორციელების საშუალება არ მისცა.

ყურშუბაძემ განაცხადა, რომ იგი მის უშუალო უფროსს ექვემდებარება და ომბუდსმენის რწმუნებულების იზოლატორში შეშვების საკითხს დამოუკიდებლად ვერ წყვეტს. ყურშუბიძის უშუალო უფროსმა სულიკო ბერიძემ კი ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლის ნება მხოლოდ გიორგი ჩარკვიანს დართო და ამის მიზეზად პირადი ნაცნობობა დაასახელა.

საკუთარი რწმუნების წარდგენის, "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების განმარტების და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირების მიუხედავად, ხასან ყურშუბაძემ სახალხო დამცველის სხვა წარმომადგენლებს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების საშუალება მაინც არ მისცა.

სახალხო დამცველის განცხადებით, ყურშუბაძისა და ბერიძის ქმედებით უხეშად დაირღვა "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173 მე-4 პრიმა მუხლით ფორმულირდება - სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა.

2006 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ყურშუბაძეს გააცნეს სახალხო დამცველის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით ქობულეთის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა.

ამას გარდა, სახალხო დამცველმა, ქობულეთისა და ბათუმის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორების უფროსების ყურშუბაძისა და ბერაძის პასუხისმგებლობის საკითხის შესწავლისა და შესაბამისი ზომების მიღების მოთხოვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაც მიმართა.

*24 საათი*

## მოკლედ

### იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 9 თვეში 511 საქმე აღიძრა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მომხდარ დანაშაულთა გამო, 2006 წლის 9 თვეში იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 511 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მათ შორის: აღმოსავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოში გამოძიება დაიწყო 393 დანაშაულებრივ ფაქტზე, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამმართველოში - 118 ფაქტზე.

საგამოძიებო სამმართველოებში აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა დიდი ნაწილი - 220 საქმე - სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული საგნების შეგზავნისა და ნარკოტიკული დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დადგენილი წესის დარღვევის ბრალდებით, პასუხისგებაში მიეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცხრა თანამშრომელი.

2006 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დასრულდა და სასამართლოებში გაიგზავნა 168 სისხლის სამართლის საქმე. 34 სისხლის სამართლის საქმე, ქვემდებარეობის მიხედვით, გამოსაძიებლად სხვა უწყებაში გადაიგზავნა. **24 საათი**

### პოლიციელთა მიმართ გამოძიება დაიწყო

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შსს-ს ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორის მონიტორინგისას დაკავებული ზურაბ კუჭუხიძე მოინახულეს. კუჭუხიძეს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა, რომლებიც, მისი განცხადებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების შემდეგ მიაყენეს ჯერ ავტომანქანაში, შემდეგ - პოლიციის შენობაში.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში კუჭუხიძემ განაცხადა, რომ მის მიმართ ფიზიკური და მორალური ზეწოლის განხორციელებაში, უშუალოდ, მონაწილეობდნენ რიგითი თანამშრომლებიც და სამმართველოს უფროსი. დაკავებული კატეგორიულად უარყოფს მისი მხრიდან პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს. საქმის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 144 (წამების) პირველი პრიმა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

სახალხო დამცველმა შესწავლილი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს თამარ თომაშვილსა და შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს გიორგი კიკნაძეს.

გენერალურმა პროკურატურამ ზურაბ კუჭუხიძის ცემის ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო. **24 საათი**

### მომჩივანი ომბუდსმენი და მოპასუხე პარლამენტი

საკონსტიტუციო სასამართლო დღეს გამოაცხადებს, მიიღებს თუ არა იგი არსებითი განხილვისათვის სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელს აქციონერთა საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით.

საუბარია სარჩელზე, რომელიც სოზარ სუბარმა საკონსტიტუციო სასამართლოში, დაახლოებით, ერთი თვის წინათ შეიტანა.

სახალხო დამცველი "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" 53-ე მუხლის მე-3-ე პრიმა მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს. "ამ მუხლის თანახმად, თუკი სააქციო საზოგადოების აქციათა 95 ან მეტი პროცენტი ერთი პირის ხელში მოექცევა, მას უფლება ეძლევა, აქციების დარჩენილი პროცენტი სხვა აქციონერებისგან იძულების წესით გამოისყიდოს. ეს მუხლი აქციონერთა საკუთრების უფლებას არღვევს, რადგან მათი საკუთრების განკარგვა მათივე ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოხდება. შესაბამისად, ამით კონსტიტუციის 21-ე მუხლი ირღვევა, რომელიც სწორედ საკუთრების უფლებას აღიარებს", - განმარტავენ სახალხო დამცველის აპარატში. სახალხო დამცველის მოპასუხე მხარე საქართველოს პარლამენტია. **მედიანიუსი**

### ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოს ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

ტრეფიკინგის მსხვერპლი, 24 წლის უზბეკი გოგონა საქართველოს ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს. მისი ჩვენების საფუძველზე, დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს, თუმცა საქალაქო სასამართლოში პროცესი, უკვე მე-5 თვეა ჭიანურდება. როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი აცხადებს, ის ტრეფიკიორებმა დუბაიში საქართველოს გავლით ჩაიყვანეს, შემდეგ გაქცევა მოახერხა. ყალბი ქართული პასპორტის გამო კი, მისი დეპორტაცია საქართველოში განხორციელდა.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, უზბეკი გოგონას მეშვეობით გაიხსნა საკმაოდ ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებდა.

24 წლის ახალგაზრდას ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. იგი სასამართლო პროცესის დასრულებამდე საქართველოს ვერ ტოვებს. სახალხო დამცველი ამ საქმის პირად კონტროლზე აყვანას გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES
GFSIS



# "საქართველოს და რუსეთის თანამშრომლობა გარდაუვალია"

პირველი გვერდიდან

რუსეთში მიმდინარე კამპანიას მხოლოდ ანტიქართული ხასიათი არ აქვს. იქ იჭერენ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ კავკასიელებს, ცენტრალური აზიის წარმომადგენლებს. მართალია, მათ ისევ უშვებენ, მაგრამ კამპანიამ არა მხოლოდ ანტიქართული, არამედ სერიოზული ქსენოფობიური სახე მიიღო, რაც ევროპას და არა მარტო მას, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულად აშფოთებს.

უნდა ველოდოთ თუ არა ევროპისგან მნიშვნელოვან ცვლილებას? აუცილებლად უნდა ველოდოთ, არა ხისტი ნაბიჯების სახით, მაგრამ რეზოლუციის ფაქტი სახეზეა. როგორც ჩანს, ევროპა იქამდე მივიდა, რასაც ჩვენ ბოლო 7 წელია ვეუბნებით და უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს. საქართველო ამ შემთხვევაში ლაკმუსის ქაღალდია.

**- რა რეალური ბერკეტი აქვს ევროპას რუსეთის პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად? შთაბეჭდილება იქმნება, რომ ევროპელები რუსეთზე დამოკიდებულების გამო მასთან ძალზე ფრთხილები არიან.**

- ევროპელები ტრადიციულად უფრთხილდებიან ურთიერთობას რუსეთთან და ამის გამო ისინი ძალიან ხშირად მხარს არ უჭერდნენ ნებისმიერ კონფრონტაციულ ნაბიჯს, რომელიც რუსეთს გააღიზიანებდა. მაგრამ ეს სიფრთხილე მთავრდება იქ, სადაც იწყება ევროპის ინტერესები. დღევანდელ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ევროპა კი ეფერება რუსეთს, მაგრამ კაპიკს არ ადებინებს თავის ეკონომიკაში. იმ ფულს, რომელიც რუსეთმა აღარ იცის სად წაიღოს, ის ვერც ამერიკის ეკონომიკაში დებს, ვერც ევროპაში და პუტინი დადის სადღაც სამხრეთ აფრიკაში და იხვეწება, სადმე ინვესტიცია ჩაადებინონ.

რუსები ხშირად აცხადებენ, რომ მათ უფრო ეშინიათ ევროკავშირის გაფართოების, ვიდრე ნატოს გაფართოებისა. იმიტომ რომ ევროპა მათ ბაზრებს ართმევს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ევროპა რუსეთის სერიოზული პარტნიორია. და თუ ვლაპარაკობთ ენერგოდამოკიდებულებაზე, ეს ორმხრივი დამოკიდებულებაა. როგორც ევროპას სჭირდება რუსული გაზი და საწვავი, ისე სჭირდება რუსეთს ევროპა გასაღების ბაზრად. მართალია, რუსები ამბობენ, რომ მიწოდების დივერსიფიკაცია მოხდება და ენერგომატარებლებს ისინი აზიაში გაყიდიან, მაგრამ, ვფიქრობ, ყაზახები რუსეთზე უკეთ მიჰყიდიან ჩინეთს ენერგორესურსებს.

ამასთანავე, ბერკეტებს შორის არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები. სამხედრო ბერკეტებზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ რუსეთის იმიჯი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობისა თუ ზოგადად ვაჭრობის თემა - ეს არის სეროზული ბერკეტები, რომელიც რუსეთს აღელვებს.

ევროპარლამენტის პოზიცია მისი ყველა წევრის საერთო პოზიციაა და არა მისი რომელიმე წევრი სახელმწიფოსი. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი უნდა იყოს რუსეთისათვის. სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ რუსებმა ამის შესახებ, პრინციპში, არაფერი თქვეს. მათ ამ ფაქტს ოფიციალურად წაუყრუეს, რადგან ეს მათი დიპლომატიის ძალიან სერიოზული მარცხია.

რუსეთის დღევანდელი პოზიცია არა მარტო ევროპას და საქართველოს აშინებს, არამედ ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებს თავად რუსულ სახელმწიფოს, რომლის დასუსტებაც არავის ინტერესებში არ შედის და პირველ რიგში არ უნდა აწყობდეს საქართველოს. იმიტომ რომ ჩვენ მარტო, რუსეთის გარეშე, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ პრობლემებს ვერ გადავწყვეტთ, ისევე როგორც რუსეთი საქართველოს გარეშე ვერ გაართმევს თავს ამ პრობლემებს.

**- ხომ არ შეინიშნება რუსულ პოლიტიკაში სწრაფვა თვითიზოლაციისკენ? იქ არის საუბრები "სუვერენულ დემოკრატიაზე", მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზანშეუწონლობაზე და ა. შ.**

- რუსეთი ცდილობს იპოვის საკუთარი "მესამე გზა". ეს ტენდენციები ახალი არ არის. ამას თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა რუსულმა ემიგრაციამ. ე. წ. "ევრაზიანიზმის" იდეა რომელიც დღეს ძალიან მოდაშია რუსეთში, არის ხელმოცარული რუსი მოაზროვნეების ინტელექტუალური "გართობის" შედეგი. რა არის რუსული ევრაზიონიზმი? ის, რომ რუსეთი არ შეიძლება გახდეს ევროპული სახელმწიფო და ის არ არის არც აზიური სახელმწიფო. შესაბამისად, მას აქვს მესამე, განსაკუთრებული გზა. ფაქტობრივად, ეს არის "მესამე რომის" იდეის რეანიმაციის მცდელობა, რომელიც ერთხელ ძალიან ცუდად დამთავრდა რუსეთისთვის - რევოლუციებით. და შეიძლება კიდევ ერთხელ ცუდად დამთავრდეს.



ამჟამად შიგნით რუსეთში თავად მისთვის ძალიან საშიში ტენდენციები შეინიშნება. პირველ რიგში ეს დემოგრაფიული პრობლემაა. რუსეთში ახლახანს გამოქვეყნდა ოფიციალური ანგარიში მოსახლეობის ზრდის ტემპების შესახებ, რომელიც, წესით, ძალიან დიდ შეშფოთებას უნდა იწვევდეს რუსეთში. აღმოჩნდა, რომ, შესაძლოა 50 წელიწადში რუსი ეთნოსი რუსეთში დარჩეს დღევანდელის მხოლოდ 50 პროცენტი. იქ მითითებულია, რომ ზოგადად მოსახლეობა სერიოზულად იკლებს, მაგრამ არის რეგიონები, სადაც მოსახლეობა მატულობს. ეს რეგიონები ჩამოთვლილი არ არის, მაგრამ მე გეტყვით, რომ ეს არის პირველ რიგში ჩრდილო კავკასია, სხვა მუსულმანური რესპუბლიკები, და შორეული აღმოსავლეთი, სდადაც ჩინელები არიან ჩასახლებულნი. ეს მხოლოდ რუსებისთვის კი არა, ჩვენთვისაც შემაშფოთებელია. რუსეთი ფაქტობრივად დემოგრაფიულ ნაღმზე ზის.

რაც მთავარია, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის გარკვეულ და მზარდ ნაწილს, რუსული პოლიტიკისგან განსხვავებული მიდგომები აქვს - იქ უკვე ღიად საუბრობენ დიდ კავკასიურ რესპუბლიკაზე დედაქალაქით სოხუმში. საუბარი აღარაა სოხუმი რუსებისაა, აფხაზების თუ ქართველების. ისინი ამბობენ, რომ აფსუები არიან ერთ-ერთი კავკასიური ტომი, და კავკასიელებს ზღვაზე გასასვლელი სჭირდებათ. ეს ტენდენციები სულ უფრო მწვავდება, რაც მაფიქრებინებს, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი თავისი ხელით ჩაგვაბარებს სოხუმს. გარდაუვალია საქართველოს და რუსეთის თანამშრომლობა კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის. ჩვენ რუსეთი ისევე გვჭირდება, როგორც ჩვენ ვჭირდებით რუსეთს. და დღევანდელ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, სამწუხაროდ, ემოციები უფრო ჭარბობს, ვიდრე საღი აზრი.

რასაც დღეს რუსები საქართველოსთან მიმართებაში აკეთებენ, ეს თვითმკვლელობის ტოლფასია. როდესაც საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია დაგეხმაროს ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დალაგებაში, ამ ქვეყანას შეგნებულად ანტირუსულს ხდი?

**- თუ რუსეთი შეგნებულად მიდის მეზობლებთან ურთიერთობის გაუარესებაზე, საკუთარი იმიჯის შელახვაზე, უქმნის პრობლემებს საკუთარ თავს, ე. ი. მას აქვს რაღაც გეგმა? ამ მეთოდებით რის მიღწევას აპირებს?**

- ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რუსეთის პრეზიდენტს ძალიან ცუდი მრჩევლები ჰყავს. რომლებიც მას არა მარტო მცდარ ისტორიულ ფაქტებს აწვდიან, არამედ აბსოლუტურ სისულელეებს ურჩევენ ხოლმე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. სხვათაშორის ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც მრავალი და ძალზე სერიოზული დონის კადრები ჰყავთ. და ეს არ ეხება მარტო საქართველოს, არამედ უკრაინასაც, ამერიკასაც, ევროპასაც და ა. შ. ეს პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ რუსეთში გადაწყვეტილებებს ძალიან ცოტა ხალხი იღებს, ეს გუნდი ათ-თხუთმეტ ადამიანს არ აღემატება. მე ეჭვი მეპარება, ამ ათმა-თხუთმეტმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს - საგარეო, საშინაო პოლიტიკაც, ეკონომიკა, ვაჭრობა და ა. შ. ის, რასაც დღეს ვხედავთ, ასეთი ცენტრალიზებული პოლიტიკის შედეგია. ვიღაცას ეგონა, თუ ბორჯომს და ღვინოს აკრძალავდა, ქართველები დაიხოცებოდნენ. მაგრამ საქართველო არის კლასიკური მაგალითი ინგლისური გამოთქმისა "რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს". ყველაფერმა, რაც რუსეთმა სააკაშვილის წინააღმდეგ განახორციელა, გააძლიერა სააკაშვილი.

ეს ცუდი მრჩევლობა იწვევს იმას, რომ რუსეთმა სეროზული და შემაშფოთებელი შეცდომები დაუშვა. მე მეშინია, რუსეთმა საბედისწერო შეცდომები არ დაუშვას, არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში, არამედ საკუთარ თავთან მიმართებაშიც. თუ დღეს ვინმეს ჰგონია რუსეთში, რომ მათ საქართველოსთან პატარა წარმატებული ომი მათი მხრიდან შესაძლებელია, ისინი ცდებიან. რადგან ნებისმიერი კონფლიქტი ჩვენს რეგიონში აუცილებლად გადაიზრდება დიდ კავკასიურ ომში. და კიდევ საუბრები კოსოვოს სცენარზე....

**- არის საუბრები რუსეთის ოფიციალური პირების მხრიდან არა მხოლოდ კოსოვოს, არამედ ჩრდილოთ კვიპროსისი პრეცედენტზეც...**

- ამის უკვე აღარ გვეშინია. მე მაკვირვებს რუსი თანამდებობის პირების განცხადებები, რომლებიც გათვლილია სულელ ხალხზე. მათ უნდა გაიგონ, რომ აღარ არიან ჩვენთან სულელები იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც ადრე იყვნენ. ხალხმა ორი წიგნიც წაიკითხა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აზრზეც მოვიდა.

**- ანუ გამორიცხულია თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარების შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღება რუსეთის მიერ?**

- გამორიცხული არაფერია. სამწუხაროდ დიდ იმედებს ვერ დავამყარებ პუტინის განცხადებაზე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ფარგლებში უნდა დარჩნენ. ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ პუტინი ერთს ამბობს, მისი გარემოცვა კი მეორეს აკეთებს. ვფიქრობ, ძალიან კარგია თუ იგი ასე აცხადებს, და ძალიან კარგი იქნება ამის სჯეროდეს კიდეც, და მთლად უკეთესი იქნება იმის შესაბამისი პოლიტიკა გაატაროს, რასაც ლაპარაკობს.

**- 12 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში დაგეგმილია რეფერენდუმი ე. წ. დამოუკიდებლობის საკითხზე. ექნება თუ არა ამ მოვლენას რაიმე პოლიტიკური შედეგი, რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან?**

- როდესაც ვლაპარაკობთ სამხრეთ ოსეთზე, კარგი იქნება რუკას დავხედოთ ხოლმე. ჩვენ ეს პრობლემა დიდად და გლობალურად წარმოგვიდგენია. უცხოელებს როცა ველაპარაკებით, მათ უკვირთ, თუ რა მცირე მასშტაბებთან აქვთ საქმე. იგივე იყო პანკისთან დაკავშირებით. ამერიკელებმა რომ ნახეს, პანკისი რამხელაა - 12 კილომეტრი სიგრძეში და 2 სიგანეში, რაც ამერიკული სტანდარტებით ერთი სავაჭრო ცენტრის ხელაა, გაოცდნენ. რუსებმა იმდენი ილაპარაკეს პანკისზე, ყველას ეგონა ეს მინიმუმმ მილიონნახევრიანი რეგიონია.

რა არის სამხრეთ ოსეთი? ეს არის ტერიტორია, რომლის თითქმის მთელი პერიმეტრი არის დანარჩენი საქართველო, ერთი მხრიდან აქვს გაუვალი მთები და ერთი ხვრელი როკის გვირაბის სახით. ჭადრაკის დაფასავით არეული ქართულ-ოსური სოფლები და მოსახლეობა სულ 32 ათას კაცამდე.

ამას უცხოელებს რომ ვეუბნები, ძალიან გაოცებულები არიან. ამიტომ ჩვენც ნუ გავბერავთ ამ პრობლემას. რა არჩევნებზე და რა რეფერენდუმზე ვლაპარაკობთ? არ უნდა დაგვავიწყდეს, რაში მდგომარეობს სამხრეთ ოსეთის თემა როგორც ასეთი. აფხაზეთზე იგივეს ვერ ვიტყვით, იქ სულ სხვა პრობლემებია. თუმცა, დღევანდელ აფხაზეთში, მას შემდეგაც, რაც იქ ეთნიკური წმენდა მოხდა, აფხაზები არიან 30 პროცენტი. სულ მოსახლეობა იქ 150-160 ათასია. მთელი გალი ქართულია, კიდევ აფხაზეთში ცხოვრობენ სომხები და ალაგ-ალაგ აფხაზები. ეს არის მთელი აფხაზეთი.

გლობალური მასშტაბით ამ მოვლენებს აქვს რეზონანსი, მაგრამ სინამდვილეში, ახლო შეხედვით, ეს პრობლემები არც ისე უსაშველოა. და რუსეთიც უნდა მოეშვას ამ თემებით მანიპულირებას. ეს პრობლემები ჩვენთვისაა მნიშვნელოვანი, რადგან ეს ჩვენი ტერიტორიებია და ჩვენს ხალხზეა საუბარი. იტანჯებიან როგორც აფხაზეთიდან გამოყრილი ქართველები, ისევე იქ დარჩენილი აფხაზები, რომლებიც ელიან, ხვალ მოვა ქართველი და ყელს გამოჭრის, თუ ზეგ ჩაარტყამს რუსი წიხლს. გასულ არჩევნებზე მათ ძალიან კარგად დაინახეს რა "დამოუკიდებლებიც" არიან.

ჩვენ თუ რეალურად შევძელით ჩვენს ქვეყანაში ეროვნული უმცირესობების რეალური ინტეგრაცია (და არა ასიმილაცია), სეპარატიზმის პრობლემები დამთავრდება. ადრე თუ გვიან რუსეთი თვითონ დაგვეხმარება ოსეთის და აფხაზეთის დაბრუნებაში. რა არჩევანი აქვთ ოსებს? ეს არის ორ "ბ"-ს შორის არჩევანი. პირველი არის ბესლანი, და მეორე - ბრიუსელი. უნდათ რუსეთში - იქ ექნებათ ბესლანი. უნდათ საქართველოსთან - ექნებათ ბრიუსელი. სად უკეთესად დაიცავენ მათ ინტერესებს, თვითონ დაფიქრდნენ.

პრობლემა ისაა, რომ აფხაზებსაც და ოსებსაც უკრძალავენ ჩვენთან ურთიერთობას. აფხაზთან სალაპარაკოდ ამერიკაში და შვეიცარიაში რატომ უნდა მივდიოდეთ? ჩვენი პოლიტიკა ის კი არ უნდა იყოს, რომ აფხაზები და ოსები პროქართველები გავხადოთ. ეს ვერ მოხდება, იმიტომ რომ სისხლი დაიღვარა, ქართველებთან ნორმალური ურთიერთობების გარეშე იქ მთელი თაობები გაიზარდა. ჩვენ პირველ რიგში ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ ისინი გახდნენ პროდასავლელები და რეალურად დაინახონ, სად შეუძლიათ თავიანთი ეროვნული პროექტების რეალიზაცია. რუსეთს დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არაფერში სჭირდება. დემოკრატიული და ევროპაში ინტეგრირებული საქართველო არის ყველაზე კარგი გარანტია აფხაზებისთვის და ოსებისთვის თავიანთი ეთნოსების შესანარჩუნებლად.

# იდეალები და რეალობა

## რა მიმართებაშია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი გეოპოლიტიკურ ინტერესებთან

კახა გოგოლაშვილი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი, ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი

მსოფლიო ასპარეზსე მოთამაშეთა გეოპოლიტიკური ინტერესების ცვალებადობა საუკუნეების მანძილზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის აღმავლობისა და დაკნინების მიზეზი იყო. დღევანდელ სამყაროში მიმდინარე პროცესები სახესა და მამოძრავებელ ძალებს იცვლიან. - კერძოდ, პრიორიტეტი ენიჭება სავაჭრო ურთიერთობებსა და ეკონომიკურ თანამშრომლობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნების მიერ ურთიერთობებში თანაბარი და სამართლიანი წესების აღიარებას, მათ შორის (და შესაძლებელია პირველ რიგში) ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებთან დაკავშირებული ფასეულობების აღიარებას. სწორედ ამ წესებსა და პრინციპებს (როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ასპექტების ჩათვლით) უნდა დაემორჩილოს საქართველო და ეცადოს ამით დაიმკვიდროს საკუთარი თავი საერთაშორისო საზოგადოებაში. ამავე დროს ჯერ კიდევ დიდია ძგეოპოლიტიკური აზროვნების" ინერცია სამყაროში. ამ თვალსაზრისით საქართველო ურთულეს და უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ არეალშია მოქცეული. საერთაშორისო სიტუაციის განვითარების ნებისმიერი სცენარის განხორციელების შემთხვევაში ქართველი ერის არჩევანი ევროპული ინტეგრაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა და პრაქტიკულად ევროკავშირში ინტეგრაცია უნდა იყოს. გარდა ევროპული ინტეგრაციის მდორედ, მაგრამ სტაბილურად მიმდინარე პროცესისა, არსებობს გეოპოლიტიკური ინტერესის დამატებითი ინერციული იმპულსიც, რომელიც ევროპას უბიძგებს საქართველოსთან დაახლოებას და ეს იმპულსი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო ვითარების დაძაბვის შემთხვევაში. ამ ფაქტორების თანხვედრის ფონზე საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ალიანსში და შემდგომ ევროპის კავშირში გარდაუვალ აუცილებლობად გვევლინება.

### გეოპოლიტიკური ასპექტი

მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომი ისტორიას ჩაბარდა, ევროპას, და საერთოდ დასავლეთს, ჯერ კიდევ აწუხებს აღმოსავლეთიდან მუდმივად მომდინარე საფრთხეების კომპლექსი. ეს ხედვა ძალზე ორიგინალურად გამოვლინდა გეოპოლიტიკის წინა საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი თვალსაჩინო კლასიკოსის *სერ ჰალფორდ მაკინდერის* შრომებში. ევროპის განვითარება მან დაუკავშირა პასუხს იმ გამოწვევაზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან მომთაბარე ურდოების შემოსევა უქმნიდა ევროპას საუკუნეების განმავლობაში. მისივე თეორიით, ევროპის უსაფრთხოების გარანტია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უზრუნველყოფილი, თუკი მისი გავლენის სფერო მოიცავს ე.წ. *ჰართლენდის* (ინგ. Heartland - შუა მიწა, პრაქტიკულად ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებადი სივრცე) იმ ნაწილს, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას წარმოადგენს (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, დუნაის აუზის ჩათვლით) და ვიწრო ზოლად გრძელდება აღმოსავლეთისაკენ, მოიცავს კავკასიას, შუა აზიისა და ტიანშანის გავლით მონღოლეთს,). *"ის, ვინც აკონტროლებს ამ მიწებს, ბატონობს ჰართლენდზე; ის, ვინც ბატონობს ჰართლენდზე, ბატონობს უდიდეს კუნძულზე (ევრაზია); ის, ვინც აკონტროლებს უდიდეს კუნძულს, ბატონობს მთელს მსოფლიოზე"* - ამბობს მაკინდერი. რაც შეეხება *ჰართლენდის* აღმოსავლეთ ევროპულ ნაწილს, ის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მისი კონტროლი ზღვის საშუალებით შესაძლებელია და იგი ხელმისაწვდომია დიდი საზღვაო სახელმწიფოებისათვის. სივრცე კავკასიიდან მონღოლეთამდე კი ევროპასთან მხოლოდ რთული სახმელეთო გზებით არის დაკავშირებული. გასაგებია, რომ კონტინენტური სამყაროს ძალები მაკინდერის წარმოდგენებში უპირისპირდებოდნენ ე.წ. გარე სივრცეს ამ მიწებზე კონტროლისათვის. ისლამური სახელმწიფოები, რომლებიც, სამხრეთიდან ემიჯნებოდნენ კონტინენტურ ძალას იმ პერიდში განიხილებოდნენ დასავლეთის მოკავშირეებად და ამ გახსნილი სივრცის ნაწილად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გეოპოლიტიკურმა ხედვამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის *სოლ კოენის* მოდელი, რომლის შესაბამისადაც მსოფლიო ბატონობა დაყოფილია ორ გეოსტრატეგიულ სამყაროს შორის:1) *ვაჭრობაზე დამყარებული საზღვაო-სანაოსნო ზონა* (ამერიკა, დასავლეთ ევროპა, აფრიკა, ავსტრალია) და 2) *ევროაზიული კონტინენტური ზონა* (ყოფილი საბჭოთა კავშირი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის და მონღოლეთის ჩათვლით). როგორც ცნობილია, ბოლო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში დასავლეთისათვის არასასურველი სცენარით წარიმართა. განსაკუთრებული ზიანი ევროპისა და აშშ-ს გეოპოლიტიკურ ინტერესებს პალესტინა-ისრაელის კონფლიქტმა, ირანის ფუნდამენტალიზმისკენ შემობრუნებამ და ავღანეთში, შემდგომ კი ერაყშიც დამკვიდრებულმა არასტაბილურობამ და ომებმა მოუტანა. პერსპექტივაში არასანდო პარტნიორებად აღიქმებიან რეგიონის არაბულენოვანი ქვეყნებიც. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო აღმოსავლეთ აფრიკისა და აზიის ისლამური სახელმწიფოები ე.წ. გამყოფ ქამარს (ინგლ. Shatterbelts) ქმნიან. ეს ფაქტიურად ევროპას აზიაში (*ჰართლენდისგან* - ანუ რუსეთისგან) დამოუკიდებელ გასასვლელს უკეტავს.

ამ რეალობების ფონზე ძგეოპოლიტიკური ინერცია" ფარულად ვლინდება ევროკავშირის მცდელობაში, რათა ძგაჭრას" სატრანსპორტო დერეფანი ევროპიდან აზიაში სწორედ სამხრეთ კავკასიის გავლით, რომელიც მისი ხელშეწყობით სულ უფრო ძლიერ გამოეყოფა ნახევრადმისტიკურ *ჰართლენდს* - ჩაკეტილ კონტინენტურ სივრცეს. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის შემოერთება (თუკი შეიძლება ასე ითქვას) სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელსაც გეოპოლიტიკა უყენებს დასავლეთის სამყაროს. აუცილებელია ასევე სამხრეთ კავკასიის მარშრუტის გარანტირება გაფართოებული ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის. ამ კონტექსტში ევროკავშირის პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებთან. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ რუსეთის დიდი იმპერატორები თვლიდნენ, რომ იმპერიის ძლიერების გასაღები სამ ზღვაზე - ბალტიის, შავი და ინდოეთის (ოკეანე) - ბატონობაშია.

### თანამედროვე ხედვა

დღევანდელი მსოფლიოს განვითარების ტენდენციები, ჩვენი აზრით, შორდება ასეთი სახის პარადიგმებს. წინა პლანზეა წამოწეული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ახალი სამყაროს მოწყობის იდეებს ემორჩილება - ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა, ადამიანის უფლებები, ეკოლოგიური უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, თავისუფალი ვაჭრობა და ბიზნესი საზღვრებს გარეშე. ეს მიდგომები, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობაში მოდის ძველი (გეოპოლიტიკური) პარადიგმების ინერციასთან და შედეგად იწვევს მათი მკვებავი ესენციის - ერი-სახელმწიფოს შესუსტებას. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ერი-სახელმწიფოს შესუსტება არ გულისხმობს ზეეროვნული ინსტიტუტების გარშემო ცენტრალიზაციის გაძლიერებას. ევროკავშირის პოლიტიკიდან, რომელიც ინტეგრაციული პროცესის საუკეთესო მაგალითია, ნათლად ჩანს რეგიონების (იგულისხმება ადგილობრივი მთავრობები) როლის გაძლიერება. ევროკავშირის სტრუქტურული პოლიტიკა მიმართულია არა ცალკეული, შედარებით ჩამორჩენილი, წევრი სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებაზე, არამედ მათში შემავალი კონკრეტული რეგიონების ევროპის სხვა რეგიონებთან გათანასწორებაზე. ამავე დროს იზრდება რეგიონების როლიც ერთობლივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ევროკავშირის ბოლო გაფართოების შედეგად მისი საზღვრები ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესთან უშუალო შეხებაში მოვიდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო რეალურად წარმოაჩინა ამ სიახლოვიდან გამომდინარე საფრხეები. Eევროპის უსაფრთხოება კვლავ ძლერი გამოცდის წინაშე დადგა, მაგრამ ეს ახალი საფრხეები არა სამხედრო, უფრო სხვა ხასიათისაა:ტერორიზმი, არალეგალური მიგრაცია, იარაღისა და ფსიქოტროპული საშუალებების ტრანზიტი, და სხვა. ძველად არსებული უსაფრთხოების დოქტრინების შესაბამისად ევროპის კავშირს უნდა გაეძლიერებინა საზღვრებიუს დაცვა და მთელი ძალისხმევა მიემართა ამ სივრციდან მაქსიმალურად იზოლირებაზე. მაგრამ ამ საფრთხეებს გლობალურად ევროპის კავშირი სხვაგვარად პასუხობს. ის ცდილობს ე.წ. *ევროპული სამეზობლო პოლიტიკით* თავის ირგვლივ და პირველ რიგში აღმოსავლეთით გაავრცელოს ძუსაფრთხოების, კეთილდღეობისა და სამართლიანობის სივრცე". ზემოდმოყვანილი საფრთხეების აცილებას ეს ახალი პოლიტიკა მოსაზღვრე ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაშლითა და ასევე თვით ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონიმიკური განვითარების ხელშეწყობით ცდილობს. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ევროპის კავშირი ამ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებასა და ფუნქციონირებადი საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ეხმარება. ევროპის კავშირთან დაახლოებას და, შესაძლოა, მასთან მჭიდროდ ინტეგრირებას შესძლებს ის ქვეყანა, რომელიც საკმარისად წაიწევს წინ ამ თვალსაზრისით. რა თქმა უნდა ეს არის ევროპის კავშირის ის ძირითადი იდეოლოგია, რომელსაც იგი სულ უფრო ინტენსიურად მიმართავს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, და ეს ნამდვილად ყველასათვის სასარგებლო პოლიტიკაა. ამავე დროს ეს ბუნებრივად წარმოდგენს გეოპოლიტიკური ინტერესის რეალიზაციის ფორმას. ამ კონტექსტში სამხრეთ კავკასია, და კერძოდ საქართველო კარგ მაგალითს წარმოადგენს.

### ევროკავშირის ინტერესი

როგორც ბოლო ათწლეულის ისტორიული პროცესი გვაჩვენებს, ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით ჯერ კიდევ, მნიშვნელოვანწილად, გეოპოლიტიკური ხედვის ინერციით არის ნაკარნახევი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს *ჰართლენდის* ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ ნიშას აზიისკენ უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გახსნისათვის. ამიტომ, დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა ისევე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება ამ რეგიონში, მნიშვნელოვანი ამოცანაა. კავკასია საინტერესოა არა იმდენად როგორც ბაზარი, არამედ შუა აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი რეგიონისაკენ გამავალი მარშრუტების სტაბილური ალტერნატივა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ევროკავშირი იყენებს ისეთი სახის ინსტრუმენტებს, როგორიცაა *პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები* რეგიონის ქვეყნებთან და TRACECA-სა და INOGATE-ს პროექტების ფარგლებში დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებები. *ევროპის ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმება* ასევე ერთ-ერთი ინსტრუმენტია ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ენერგომატარებლების შეუფერხებელი გადაზიდვა კასპიის ზღვის აუზიდან ევროპაში. სტრატეგიული (სამხედრო-პოლიტიკური) ინტერესები ნაკლებად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირისათვის ორი მიზეზის გამო: ა) მის შემადგენლობაში არ შედის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიო გავლენის მქონე ქვეყანა; ბ) *მაასტრიხტისა* (1993) და *ამსტერდამის* (1997) შეთანხმებების საფუძველზე შექმნილი *ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა* და, ასევე, *ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა* ჯერ კიდევ განვითერბის სტადიაშია. სამაგიეროთ ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა უკვე ორმოცდაათ წელიწადს ითვლის და პრაქტიკულად მთლიანად გაერთიანების კომპეტენციას წარმოადგენს, ანუ წევრი ქვეყნები ევროკომისიას ანდობენ ამ პოლიტიკის განხორციელებას. თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებას ევროპის კავშირი თანამედროვე და დემოკრატიული მექანიზმებით ცდილობს და ხშირ შემთხვევაში ახერხებს. ეს სწორედ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებების, თანამშრომლობის, ეკონომიკური და ფინანსური დახმარებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის გზით მიიღწევა. Eევროპის კავშირის ინტერესის განხორციელება ხდება მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორის ინტერესის გათვალისწინებით. სწორედ ამით განსხვავდება ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკა რუსეთის პოლიტიკისაგან, რომელიც თავისი ინტერსების გატარებას ყველა ხერხით, და პირველ რიგში ქვეყანაზე პირდაპირი ზეწოლით ცდილობს.

### რუსეთის ფაქტორი

როგორც აღინიშნა, რუსეთის პოლიტიკა ჯერ კიდევ ძველი პარადიგმებით იკვებება. უბრალო ლოგიკით, ამ პოლიტიკის ამომავალი წერტილი გეოსტრატეგიაა, რომლის მიზანიცაა უზრუნველყოს მის მიერ კონტროლირებადი სივრცის *შეუღწევადობა*. ამ თვალსაზრისით, კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა რუსეთისათვის სტრატეგიული ინტერესების დათმობის ტოლფასია. კავკასიური დერეფნის განვითარება კი საბოლოოდ შეასუსტებს რუსეთის გავლენას ევროპულ პოლიტიკაზე, რადგანაც ამით შუა აზიის ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი რეგიონის ძგასაღებს" კარგავს. სწორედ ამავე მიზნით არ აწერს რუსეთი ხელს ევროპის ენერგეტიკულ ქარტიას, რომლის ძირითადი მიზანიც ენერგომატარებლების საერთაშორისო ტრანზიტის ყოველგვარი შეზღუდვებისაგან გათავისუფლებაა. შედეგად რუსეთი აფერხებს იაფი თურქმენული გაზისა და ყაზახური ნავთობის რუსეთის ტერიტორიის გავლით ევროპაში მოხვედრას. იგი თვითონ მოიხმარს შუა აზიიდან მოწოდებულ ნახშირწყალბადებს, თავისას კი ევროპის ბაზრებზე (რომლის დამოკიდებულებაც რუსულ ენერგორესურსზე სხვადასხვა საექსპერტო შეფასებებით 25-35%-ს ფარგლებში მერყეობს) ხუთჯერ უფრო ძვირად ყიდის. ასეთი ძენერგოჰეგემონისძ სტატუსს ასევე დიდ საფრთხეს უქმნის სამხრეთ კავკასიის ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ალტერნატიული მარშრუტები. მართალია ევროკავშირმა და აშშ-მ მოახერხეს რუსეთის გაუვნებელყოფა ბაქოს ნავთობისა და გაზის დასავლეთისაკენ ტრანსპორტირების საკითხში, მაგრამ ენერგომატარებლების ექსპორტის ამ მარშრუტებით განსაზღვრული რაოდენობები სერიოზულ კონკურენციას ვერ გაუწევს რუსეთის პოზიციებს. აი თურქმენეთის გაზისა და ყაზახეთის ნავთობის კასპიის ზღვის ფსკერის გამოყენებით ტრანსპორტირების საშუალება კი სერიოზულ ალტერნატივას შექმნიდა. ამ საფრთხის გასანეიტრალებლად რუსეთი უკვე მრავალი წელია აფერხებს კასპიის ზღვის სტატუსის საკითხის მოგვარებას, რომლის შედეგადაც ზღვის აკავატორია და ფსკერი ხუთი სახელმწიფოს კუთვნილ ექსკლუზიურ ზონად უნდა დაიყოს. საკითხის მოგვარების გარეშე ნებისმიერ მშენებლობა ზღვის ფსკერზე შეუძლებელი ხდება. ამავე კონტექსტში რუსეთის ძირითადი ძალისხმევა სწორედ სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ყოფნის შენარჩუნებაში გამოიხატება. რაც შეეხება ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას და სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, - რუსეთი ყოველნაირად შეეწინააღმდეგება ამ პროცესებს, რადგანაც მისი გეოსტრატეგიული მიზნები მას საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ეკონომიკურ-კულტურული იზოლაციისაკენ უბიძგებს. რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ბიზნესის ბოლოდროინდელი მცდელობები ხელში ჩაიგდოს ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, როგორიცაა საქართველოზე გამავალი გაზსადენი ქსელები, ამ ძველი

გაგრძელება A6 გვერდზე

# იდეალები და რეალობა

## რა მიმართებაშია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი გეოპოლიტიკურ ინტერესებთან

A5 გვერდიდან

პოლიტიკის გაგრძელებისათვის ახალი, უფრო თანამედროვე ფორმების ძიებას წარმოადგენს. რეალურად, რუსეთი ისევ ცდილობს მოიპოვოს სტრატეგიული უპირატესობა და კონკურენცია მსოფლიო ძალებს არა ეკონომიკური ეფექტიანობის, არამედ სტრატეგიული პოზიციის ფლობით გაუწიოს.

### პოლიტიკური ნება

როგორც ვხედავთ, კავკასია, და კერძოდ საქართველო, ორი უდიდესი ძალის დაპირისპირებული ინტერესების არეალში მოექცა. ევროკავშირის ამოსავალ წერტილს მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს დავა სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყდეს. საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციის პირობებში, სასწორის გადაწონვა რომელიმე მხარეს თვით რეგიონის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, მტკიცე ნებაზეა დამოკიდებული. თუკი ჩვენ ისტორიას ჩავაბარებთ ძველ მიდგომებს და ყურადღებით დავაკვირდებით დროთა დინებას, მაშინ დავინახავთ, რომ ევროკავშირის განვითარება სრულ ჰარმონიაშია მსოფლიო პროცესების ევოლუციასთან. ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია გარდაუვალია, მაგრამ თუკი ჩვენ გვინდა დავაჩქაროთ ეს პროცესი, მაშინ საჭიროა დინების მიმართულებით ცურვა. ეს კი გულისხმობს ისეთი რეფორმების გატარებას, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას ევროპასთან დააახლოვებს. არ არის საკმარისი უბრალოდ ევროკავშირთან ინტეგრაცია გსურდეს, მნიშვნელოვანია გსურდეს ისეთი სახელმწიფოს აშენება, რომელიც თავსებადი იქნება ევროპის კავშირთან. რეგიონულ დონეზე, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის მშვიდობისა და სტაბილური თანამშრომლობის კლიმატის შექმნა. ევროკავშირის ინსტიტუტებში ბოლო დრომდე ყველაზე მეტად ასეთ სცენარს უჭერდნენ მხარს:*სამხრეთ კავკასიის ქვეყნები დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების გზით ქმნიან თავსებად სახელმწიფოებს, რომლებიც (კონფლიქტების მოგვარების შემთხვევაში) აღწევენ ერთმანეთთან ინტეგრაციის მაღალ დონეს. თავის მხრივ ეს ახალი სივრცე ევროკავშირთან ინსტიტუციონალური თავსებადობის უზრუნველყოფის შემთხვევაში ამყარებს მასთან მჭიდრო კავშირს ძასოცირებული" ტიპის შეთანხმებების საფუძველზე*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას ბუნდოვანი პერსპექტივა უჩანს, რადგანაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში წარმოუდგენლად გვესახება. არ არის გამორიცხული, რომ შემდეგი სცენარი უფრო რეალისტური აღმოჩნდეს:ევროკავშირს ცალ-ცალკე უახლოვდებიან სწორედ ის ქვეყნები, რომლებმაც ამისათვის მეტი ნება და ძალისხმევა გამოავლინეს. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულებაც - *ევროპის სამეზობლო პოლიტიკა*, რომელიც უკვე ძალას იკრებს, ხომ სწორედ ქვეყნების დიფერენცირების (ანუ ინდივიდუალური მიდგომის) პრინციპზეა დაფუძნებული. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს არა პარტნიორი ქვეყნის გაწევრიანება ევროპის კავშირში, არამედ მისი მაქსიმალურად დაახლოება ეკონომიკური ინტეგრაციისა და ადამიანური კავშირების გაღრმავების შედეგად. პრაქტიკულად სამეზობლო პოლიტიკის მიზანია მოახდინოს ქვეყნის ფუნქციონალური ინტეგრაცია ევროკავშირთან. ცნობილი თეზისი: ძყველაფერი ევროკავშირის ინსტიტუტებში მონაწილეობის გარდაძ. მაგრამ, თუკი საქართველო გამოიჩენს ძლიერ ინტერესსა და ნებას, იგი მიაღწევს დასახულ მიზანს, რადგანაც ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას ვერ შეუზღუდავენ გაწევრიანების უფლებას. გაწევრიანების პროცედურის შესაბამისად რომელიმე წევრი სახელმწიფოს ძვეტოს" არ მისაღებად კი, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ შენი ინტეგრაცია არ აზიანებდეს ვინმეს ინტერსებს.

### ისლამური ფაქტორი

გლობალიზაცია დღესდღეობით, ძირითადად, ეკონომიკური ინტერესების დაახლოებით ხასიათდება. ამავე დროს, ცალკეულ რეგიონებში ინტეგრაციის განვითარება ვერ მიმდინარეობს ისევე ჰარმონიულად, როგორც ეს ევროპაში ხდება. ჯერ-ჯერობით მწვავედ დგას ცივილიზაციების თანაარსებობის საკითხი. *სამუელ ჰანთინგტონის* აზრებებით რომ ვიხელმძღვანელოთ, ევროპული ინტეგრაცია (ევროატლანტიკური თანამშრომლობის ჩათვლით) დასავლურ-ქრისტიანული ცივილიზაციის კონსოლიდაციის პროცესია. ამავე დროს ნათლად ვხედავთ ევროკავშირის მცდელობას დაუახლოვდეს სამხრეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონის არაბულ (ისლამურ) სახელმწიფოებს. ე'წ. ბარსელონის პროცესის ფარგლებში მათთან აქტიური თანამშრომლობა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების დამყარებას გულისხმობს. ამ რეგიონის ქვეყნებზე ასევე ვრცელდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც შორს მიმავალ გეგმებს სახავს, კერძოდ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე პარტნიორი სახელმწიფოების ეტაპობრივად დაშვებას. 1999 წელს *ჰელსინკის ევროპულმა საბჭომ* თურქეთი კანდიდატ ქვეყნად აღიარა და როგორც ვიცით, ამჟამად მიმდინარეობს ე.წ. გაწევრიანებისწინა მოლაპარაკევბები ამ ქვეყანასთან. მაგრამ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას არ გააჩნია აშკარად გამოხატული დამაიმედებელი პერსპექტივები; ძირითადად ორი მიზეზის გამო (ფორმალურ მიზეზებს არ შევეხებით):ა) ევროპის ქრისტიანდემოკრატიული ფრთის პარტიების წინააღმდეგობა და ბ) თვით თურქეთის შიდა პოლიტიკური პროცესები, კერძოდ ისლამიზმისა და სეკულარიზმის იდეოლოგიური ბრძოლა ერთმანეთთან. შესაძლებელია, რომ *ჰანთინგტონის* თეორიიიის "გამოცდა" სწორედ ამ საკითხის გარშემო ხდებოდეს. უკეთეს შემთხვევაში ამ ჩიხიდან გამოსავალი კვიპროსის გაერთიანების შემთხვევაში გამოჩნდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს არ მოხდა და ევროპის კავშირში ეფექტურად მხოლოდ კვიპროსის ბერძნული ნაწილი გაერთიანდა.

რაც შეეხება ირანს, ჯერ-ჯერობით მისი სურვილია საგარეო-პოლიტიკური არ დაუშვას ჩვენს რეგიონში დასავლეთის (მათ შორის თურქეთისაც) ძშემოჭრა". ამ კონტექსტში იგი გარკვეულ იმედებს ამყარებს რუსეთზე. აქ ადგილი აქვს სლავურ-ორთოდოქსული და რადიკალური ისლამური ცივილიზაციების ინტერესთა თანხვედრას. კავკასიაზე ბატონობისათვის ხომ ძირითადად ეს ძალები იბრძოდნენ. ახალ ვითარებაში კი შესაძლებელია მესამე ძალის (დასავლური ცივილიზაციის) "შემოტევამ" ისინი გააერთიანოს.

რეგიონის ისლამურ სახელმწიფოებთან საქართველოს მომავალი ურთიერთობების ბედი იმის შესაბამისად განისაზღვრება, თუ რომელი ალტერნატივა გაიმარჯვებს. უარეს შემთხვევაში კავკასია, შეიძლება ცივილიზაციათა შეჯახების ერთ-ერთ ფრონტალურ ზონად იქცეს. რა თქმა უნდა არ ვგულისხმობ ე.წ. ძკავკასიურ ომს", რომლითაც ხშირად გვაშინებენ ჩრდილოელი პოლიტიკოსები. სავარაუდოა ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვა და შესაძლოა ურთიერთიზოლაციაც (რაც ნაწილობრივ უკვე ხორციელდება). მოვლენების ასეთი განვითარების ფონზე ახალი ძალით აღმოცენებულმა "ძგეოსტრატეგიული აზროვნების" ტალღამ შესაძლებელია საქართველოს დაუბრუნოს დასავლეთის ფორპოსტის ფუნქცია.


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს "ქ.ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის და სოფელ ყვიბისის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად.

ლოტი 1. ქ. ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის დამამთავრებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (ფასადი, ინტერიერი, დარბაზი, სცენა, განათება, გახმოვანება).

ლოტი 2. ბორჯომის რაიონში, სოფ. ყვიბისში კულტურის სახლის კაპიტალური შეკეთება (შიდა რემონტი). სამუშაოს მოცულობაა 670 კვადრატული მეტრი.

შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

სამუშაოების შესრულების ვადაა 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, შედგენილი ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ნოემბრიდან 21 ნოემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული ოთახი №2, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირისათვის დეკლარაციები);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა);
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეუძლიათ 30 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: სს თიბისი ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი, კოდი 220101762, ანგ. № 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის საფინანსო სამსახური, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 მე-5 სართული, ბორჯომის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8-267) 2-20-13, 2-30-51.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს "ქ. ბორჯომში ქუჩების ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად.

ლოტი 1. ქ. ბორჯომში მესხეთის ქუჩაზე მოაჯირის მოწყობა 665 გ/მეტრი და ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება ფილებით - 2130 კვ მეტრი და ქ. ბორჯომში სტალინის ქ. №6 საცხოვრებელი ბინის ირგვლივ ბილიკის მოწყობა ფილებით - 300 კვ მეტრი.

ლოტი 2: ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე "ტექსელის" სახელობის სკვერის მიმდებარედ ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება ფილებით - 2475 კვადრატული მეტრი.

შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

სამუშაოების შესრულების ვადაა 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, შედგენილი ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ნოემბრიდან 21 ნოემბრის 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული ოთახი №2, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირისათვის დეკლარაციები);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა);
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეუძლიათ 30 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: სს თიბისი ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი, კოდი 220101762, ანგ. № 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის საფინანსო სამსახური, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 მე-5 სართული, ბორჯომის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8-267) 2-20-13, 2-30-51.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს "მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ნინოშვილის ქ. №1ა, თამარ მეფის ქ. №28ა, 36, მესხეთის ქ. №35, 43, რუსთაველის I შესახვევი №2ა, 1 ა, რუსთაველის ქ. №87, 123, ნიკოლაძის 13. სახურავის ფართობის მოცულობაა 6032 კვადრატული მეტრი.

სამუშაოების შესრულების ვადაა 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, შედგენილი ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ნოემბრიდან 21 ნოემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული ოთახი №2, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირისათვის დეკლარაციები);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა);
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეუძლიათ 30 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: სს თიბისი ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი, კოდი 220101762, ანგ. № 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის საფინანსო სამსახური, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 მე-5 სართული, ბორჯომის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8-267) 2-20-13, 2-30-51.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს "მრავალსართულიანი შენობების ფასადების შეღებვის სამუშაოების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ქ. ბორჯომში სააკაძის ქ. №2 (სამხრეთის ფასადი), რუსთაველის ქ. № 63, 57, 69, ნინოშვილის 1, 1ა, №4 საჯარო სკოლა, კოსტავას ქ. №11 და სოფ. ყვიბისში საცხოვრებელი სახლი - ფასადის ფართობის მოცულობა 14366 კვადრატული მეტრი.

რუსთაველის ქ. №51 ა, 57, 63, 69, 71, 73 საცხოვრებელ სახლებზე აივნების მოაჯირების მოწყობა პოლიკარბონატით - 470 კვადრატული მეტრი.

სამუშაოების შესრულების ვადაა 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, შედგენილი ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ნოემბრიდან 21 ნოემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული ოთახი №2, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირისათვის დეკლარაციები);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა);
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეუძლიათ 30 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: სს თიბისი ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი, კოდი 220101762, ანგ. № 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის საფინანსო სამსახური, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 მე-5 სართული, ბორჯომის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8-267) 2-20-13, 2-30-51.

**სატენდერო კომისია**

# საკონკურსო განცხადება

ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი და მისი კონტრაქტორი კომპანია CNFA-საქართველო ახორციელებენ აგრობიზნესის განვითარების პროექტს (ADA), რომლის მიზანია ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება განვითარების გზით. პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ფერმერებისათვის გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობას.

ამ მიზნების მისაღწევად, ADA გასცემს წილობრივ გრანტებს კონკურსის წესით შერჩეული აგროსექტორში მოქმედი საწარმოებისათვის, რომელიც მიმართული იქნება წარმოების სრული ჯაჭვის შექმნისაკენ.

საკონკურსო განხილვაში მონაწილეობას მიიღებს ის საპროექტო წინადადებები, რომლებიც წარმოაჩენენ დასაქმებას და ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობებს.

**ADA პროექტი აცხადებს წილობრივი გრანტების კონკურსს შემდეგი მიმართულებით:**

**n რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**
**n მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**დააფინანსდება მხოლოდ ის სიცოცხლისუნარიანი საპროექტო წინადადებები, რომლებიც სრულად შეესაბამება ADA-ს კრიტერიუმებს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან საპროექტო წინადადებების შეუსაბამობის შემთხვევაში, ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველო და აგრობიზნესის განვითარების პროექტი უფლებამოსილნი არიან, არ დააფინანსონ არცერთი პროექტი.**

საქართველოში მერძევეობისა და მეფრინველეობის დარგები სრული საწარმოო ჯაჭვის განვითარების ფართო შესაძლებლობას გვთავაზობს. ორივე სექტორის პროდუქტი ხასიათდება შიდა მოხმარებისა და მოთხოვნის ფართო მასშტაბით, რაც ქმნის ადგილობრივი წარმოების მოცულობის, ხარისხის ზრდისა და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ორივე სექტორი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და პირველადი პროდუქტის შესყიდვას გადამამუშავებელი წარმოების გაძლიერებისა და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის გზით.

ADA ელის ინოვაციურ საპროექტო წინადადებებს, რომელთა მიზანი მდგრადი და კონკურენტული სრული საწარმოო ჯაჭვის (პირველადი მწარმოებელი - გადამამუშავებელი - საბოლოო მომხმარებელი) შექმნაა. საპროექტო წინადადებების წარდგენა მიზანშეწონილია (თუმცა, არ არის შეზღუდული) შემდეგი მიმართულებით:

**რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების სექტორში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- ფერმერულ მეურნეობებში მერძევეობის მიმართულების გაძლერება (საკვები ბაზით უზრუნველყოფა, ჯიშთა გაუმჯობესება, სანიტარული და ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფა);
- ხარისხიანი ახალი რძის შეგროვების (რძის შემკრები პუნქტების ჩამოყალიბება) და გადამამუშავებელ საწარმოებზე მიწოდების ორგანიზება;
- რძის წარმოების გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება სანაშენე მეცხოველეობის, გენეტიკური გაუმჯობესების, ხელოვნური დათესვლის, საკვებწარმოების უზრუნველყოფის გზით.
- რძის გადამამუშავებელი/შემფუთავი ხაზების გაფართოება/მოდერნიზაცია, პროდუქციის უვნებლობის კონტროლის თანამედროვე სისტემების დანერგვა (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, ISO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების მიზნით წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი და მომხმარებლისათვის მიწოდების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბება.
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე შეფუთვის, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

**მეფრინველეობაში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- საინკუბაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მაღალპროდუქტიული მეხორცული და მეკვერცხული მიმართულებების ჯიშების წარმოების სტაბილური ბაზის შექმნის მიზნით;
- ხარისხის გაუმჯობესებისათვის საკვები ბაზის განვითარება, განაწილება და რეალიზაცია;
- მეხორცული და მეკვერცხული წარმოებისათვის საჭირო გადამამუშავებელი და შესაფუთი ხაზების მოდერნიზაცია (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, ISO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე შეფუთვის, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

ADA შეაფასებს წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს და შეარჩევს **არაუმეტეს ორი პროექტისა თითოეული სექტორის მიხედვით.**

შერჩევა მოხდება კონსკურსის წესით, ADA პროექტის შეფასების ფორმის საფუძველზე. საპროექტო წინადადებები გაივლის შერჩევის სტანდარტულ პროცედურებს:
- თანხმობა დამოუკიდებელი საგრანტო კომიტეტიდან;
- თანხმობა MCG-დან
- თანხმობა MCC-იდან.

**გრანტის მიმღები**: საქართველოში დარეგისტრირებული 100%-ით კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოები,

**გრანტის მოცულობა:** 50,000 - დან 300,000 ამერიკულ დოლარამდე

**თანადაფინანსების განაკვეთი:** მინიმუმ 1,5 აშშ დოლარი მოთხოვნილი თანხის 1 დოლარზე

**შერჩევის კრიტერიუმები:** საპროექტო წინადადებების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: პროქტის შინაარსი, მდგრადობა, დასაქმების პოტენციალი, ფერმერული პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობა, არაპირდაპირ ბენეფიციართა ფართო კონტინგენტი და განმცხადებლის პოტენციალი, ფინანსური შესაძლებლობისა და გამოცდილების ჩათვლით.

**განაცხადის შეტანა:** წარმოდგენილი უნდა იქნეს ADA-ს შევსებული განაცხადის ფორმა და დანართები; სრული ბიზნეს გეგმა წარსული ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით; სასურველია სხვა დამატებით ინფორმაციაც. შევსებული განაცხადი და ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე,

განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრობიზნესის განვითარების პროექტის ოფისში.

განაცხადი ასევე შესაძლებელია გამოგზავნილი იქნას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

**წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 8 დეკემბერის 18.00 საათი.**

*ფონდი ათასწლეული გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი*
*აგრობიზნესის განვითარების პროექტი (ADA),*
*თბილისი, თავისუფლების მოედანი ?4, მე-2 სართული,*
*ტელ: +995 32 920543/44 ფაქსი: +995 32 997851*
*ელექტრონული ფოსტა*: ada@cnfageorgia.org
www.ada.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს.ი.პ. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (საქართველო, 4401. ფოთი, ფიროსმანის ქუჩა N7, ტელ-ფაქსი: 8(293)7-16-49), საბანკო რეკვიზიტები ერთიანი ანგარიში არსაგადასახადო ფოთი, ა/ა 200122900, ბ/კ 220101107; საგადასახადო კოდი: 300424040 აცხადებს ტენდერს

**ლოტიN1**

ქ. ფოთში, შუქურის რესტავრაციისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობათა სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე.

2. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.
3. სამუშაოს წარმოების სასურველი ვადაა: 6 (ექვსი) თვე.
4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, ფიროსმანის ქუჩა N17 ს.ს.ი.პ. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია ოთახი N1.
4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;
**5.1 იურდიული პირებისათვის;**
5.1.1 ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
5.1.2 ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**
5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;
5.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)
5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება
5.3.4. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამონათვალი.

| № | მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით. |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2<br>. | | | | | |

5.3.5. ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | |

6. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდრში მონაწილეობის მსურველ პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 31 ოქტომბრის 9.00 საათიდან 2006 წლის 20 ნოემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, ფიროსმანის ქუჩა N17 ს.ს.ი.პ. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293)7-16-49)
9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 20 ნოემბრის 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.
11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.
13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.
14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.
15. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ: 8(99) 37-17-03; ტექნიკური მონაცემების შესახებ ტელ: 8(99) 95-00-00; 8(77) 95-00-00.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24 , ტელ: 96 91 26 ) აცხადებს ტენდერს "ტოპო-გეოდეზიური ხელსაწყო"-ს კომპლექტის შესაძენად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. საქონლის დასახელება - "ტოპო-გეოდეზიური ხელსაწყო" (სრული კომპლექტი)

| № | მისაწოდებელი საქონლის მაკომპლექტებელი ინსტრუმენტების ჩამონათვალი | პარამეტრები | რაოდენობა | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| **A** | ელექტრონული ტაქეომეტრი | | კომპლექტი | 04.12.2006 წ. |
| 1. | საველე კონტროლერი(მართვის პანელი) | წერტილოვანი მეხსიერება 128MB | 1(ერთი) ცალი | |
| 2. | ფერადი "დისპლეი" | 320X240 პიქსელი | 1(ერთი) ცალი | |
| 3. | უკაბელო კავშირების ჩამონტაჟებული ტექნოლოგია | BLUETOOTH | 1(ერთი) ცალი | |
| 4. | კვება | შიდა ან ხელსაწყოს აკუმულატორი | 1(ერთი) ცალი | |
| 5. | პორტები | მუშაობის რეჟიმის შესაბამისად | რეჟიმის შესაბამისად | |
| 6. | მუშა ტემპერატურა | -20 /+ 50 (გრადუსი) | რეჟიმის შესაბამისად | |
| 7. | წონა | 560 გრამი | - | |
| 8. | შიდა პროგრამული უზრუნველყოფა | მუშაობის რეჟიმის შესაბამისად | - | |
| 9. | შტატივი | სამფეხა | 5(ცალი) | |
| 10. | აკუმულატორი | მუშაობის რეჟიმის შესაბამისად | 3(ცალი) | |
| 11. | აკუმულატორი | საველე | 1(ერთი) ცალი | |
| 12. | ამრეკლი | მეტალის ჩარჩოთი | 5(ხუთი) ცალი | |
| 13. | მინი ამრეკლი | პრიზმული | 1(ერთი) ცალი | |
| 14. | ტელესკოპური სადგამი | სიმაღლე 2,5 მ | 1(ერთი) ცალი | |
| 15. | ტრეგერი (საველე) | ოპტიკური ცენტრით | 5(ხუთი) ცალი | |
| 16. | გადამყვანი (საველე) | ცილინდრული დონით | 1(ერთი) ცალი | |
| 17. | სადგამის სამაგრი | რეჟიმის შესაბამისად | 1(ერთი) ცალი | |
| 18. | დამტენი | რეჟიმის შესაბამისად | 1(ერთი) ცალი | |
| **B.** | ლაზერული შორსმზომი | დისტო ამრეკლის გარეშე 5**a** | კომპლექტი | 04.12.2006 წ. |
| 1. | ამრეკლის სამიზნე | რეჟიმის შესაბამისად | 1(ერთი) ცალი | |
| 2. | ოპტიკური ვიზორი | სიზუსტე(+–)1,5მმ | 1(ერთი) ცალი | |

2. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.

3. მიწოდების სასურველი ვადაა - **2006 წლის 4 დეკემბერი.**
დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ნოემბრის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.
**4.1. იურიდიული პირისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან ,რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით;
ე) პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები ) .
**4.2 ფიზიკური პირისათვის:**
ა) პრეტენდენტის პირადი და საბანკო რეკვიზიტები (მ.შ. პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები);
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;
დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;

7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადება, ღირებულებით.
8. სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტში შემდეგი აღნიშვნით:
პრეტენდენტის დასახელება, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიას. ტენდერი **N 001 /T** ;

9. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი)** ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ **ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური-ს (საიდენტიფიკაციო კოდი N 201955296 ) ანგარიშზე :**
**სს "საქართველოს ბანკი" , ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101502,**
**ა/ა N 145530800 და მიუთითონ გადახდის მიზანი;**
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება პრეტენდენტებს **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშემენლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.**
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან : **მ. ბეჟაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი და
**გ.აბაზაძე** სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია.**

# ქართველი მამაკაცების ეროტიკული "აღსარება"

## დიტო ცინცაძის ახალი ფილმი "რევერსი"

ნინია კაკაბაძე

ძალიან ძნელია დიტო ცინცაძის ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი (რომელიც ამჟამად კინოთეატრ "ამირანის" მცირე დარბაზში გადის), რომელიმე ერთ ჟანრს მივაკუთვნოთ. "რევერსი" ანუ "ჩვეულებრივი თამაში" კომედიაც არის, ფსიქოლოგიური დრამაც, მელოდრამაც, მსუბუქი ეროტიკაც, ფანტასტიკა-მისტიკაც და დეტექტივის ელემენტებსაც შეიცავს. ყველა ამ ჟანრული კატეგორიის გათვალისწინებით, ფილმი ძალიან რეალისტური, დამაჯერებელი და ნამდვილია.

ოთხი ახალგაზრდა ქართველი ბიჭი ერთ-ერთის სახლში ზის. ღვინოს წრუპავენ, კარტს თამაშობენ და საუბრობენ იდეალურ, სექსუალურ ქალზე. როგორი ქალები მოსწონთ, რა ხიბლავთ ყველაზე მეტად, როგორი წელი, მკერდი, გავა და ა.შ. ცოტა ხანში ამ იდეალური ქალის შესახებ დიდ ისტორიას შეთხზავენ, რომელშიც ეს ქალი ხან ერთის (გიორგი ნაკაშიძე) ცოლია, მეორე (კაბუ) მივლინებაში წასული ნაკაშიძის ცოლს "ბაბროვკის" მეშვეობით ჟიმავს. მერე ნაკაშიძე კაბუს კლავს. მესამე მეგობარი (გიორგი ყიფშიძე) გაქცეულ ქალს ხელთ იგდებს და ახლა ის ჟიმავს. ბოლოს ქალი ყველაზე ჩუმ, წყნარ ირაკლი ჩოლოყაშვილის გმირს უვარდება ხელში, რისთვისაც 100 ათას დოლარს უხდის ყიფშიძეს. ფილმის მოკლე შინაარსის მოყოლა არც ისე ადვილია. ფაქტია, რომ ქართველი მამაკაცები მათ მიერვე შეთხზულ ისტორიაში სუპერსექსუალურ ქალს ინაწილებენ, მისთვის ერთმანეთს კლავენ და ციხეში მიდიან. ეს ყველაფერი ძალიან რეალისტურია - საუბრები, წარმოსახვები და ქალთან დაკავშირებული ექსტრემალური სიტუაციებიც. ფილმში შემთხვევით არ მოხვდა ენიო მორიკონეს ცნობილი მუსიკალური ნაწყვეტი ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი) მამაკაცებისთვის საკულტო ფილმიდან "ერთხელ ამერიკაში".

ეს ძალიან ჩვეულებრივი სექსუალური ფანტაზიებია, რომელიც მამაკაცისთვის (განსაკუთრებით ქართველი მამაკაცისთვის) უფრო მეტად რეალურია, ვიდრე თავად სექსი და ნამდვილი სექსუალური ურთიერთობა. მათი წარმოსახვაც ზუსტად ასახავს ქართულ სექსს: მამაკაცი, რომელიც სექსუალური აქტის შემდეგ აუცილებლად სვამს კითხვას: კარგი იყო? ორგაზმი გქონდა? რამდენჯერ? ასევე ძალიან რეალისტურია ზოგადად ქალის (და განსაკუთრებით ქართველი ქალის) სახეც, რომელიც აუცილებლად იტყუება, რომ ერთი აქტის დროს ხუთჯერ, ექვსჯერ ან შვიდჯერ განიცადა ორგაზმი.



მაგიდასთან მსხდომი მეოცნებე კაცები საკუთარ წარმოსახვაშიც იმდენად გულწრფელები არიან, რომ იქაც კი ერთმანეთს უმტკიცებენ, რომელი უფრო ძლიერი სექსუალური პარტნიორია - ესეც ხომ ძალიან ბუნებრივია. მამაკაცებს უყვართ ხანგრძლივი საუბრები ქალზე და წარმატებული სექსუალური გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება.

დიტო ცინცაძის ფილმიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ: ასეთი "აღსარება" ქართველი მამაკაცების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს იმას, რომ სექსუალური რევოლუცია საქართველოში უკვე მოქმედების პროცესშია. ბუნებრივია, ასეთი დამაჯერებლობის უპირველესი მიზეზი მსახიობების, განსაკუთრებით კი გიორგი ნაკაშიძისა და გიორგი ყიფშიძის მაღალი პროფესიონალიზმია. მსახიობები საოცრად ბუნებრივები და უშუალოები არიან როგორც საუბრისას, ისე მოქმედებისას. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქალბატონებზე, განსაკუთრებით ფილმის მთავარ გმირზე, არაპროფესიონალ მსახიობ მარიშა მაისურაძეზე. თუ თანამედროვე ქართველმა ქალმა გაითავისა სექსის თავისუფლება, ამ საკითხზე არც ღიად ლაპარაკს ერიდება, არც ეკრანზე შიშვლად გამოჩენას და ინტიმურ სცენებში მონაწილეობას თაკილობს, მაგრამ ყველაზე რთული ეტაპი მაინც გადასალახი რჩება: როლის განსახიერებისას მას არ ავიწყდება მაყურებელი, რომელმაც შესაძლოა ამ ნაბიჯისთვის გაკიცხოს და მის პატიოსნებაში ეჭვი შეიტანოს. ამიტომ "იდეალური" ქალი საკმაოდ არაიდეალურად გამოიყურება.

ერთი სიტყვით, დიტო ცინცაძის ეროტიკული კომედია მთლიანობაში ძალიან რეალისტურ, ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის. ფილმის მეორე სახელწოდებაა "უბრალოდ თამაში" - ეს მართლაც კომპიუტერული თამაშივით არის, სადაც გმირები მიზნის მისაღწევად ბევრ დაბრკოლებას გადალახავენ, მათი მთავარი მიზანი კი სასურველი ქალის "გაჟიმვაა". ფილმში გამოყენებულია კომპიუტერული გრაფიკაც - გმირების წარმოსახვითი ქალი ჯერ გრაფიკულია, შემდეგ კი რეალური ხდება. "რევერსის" სინოფსისში, რომელიც ფილმს მოჰყვება, აღნიშნულია, რომ "ფილმში ორი სამყარო იკვეთება - ირეალური და რეალური, ბოლოს კი ირეალურ სამყაროს რეალობა ცვლის". ძალიან ძნელია განვსაზღვროთ, რომელია აქ ირეალური და რომელი რეალური. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ფილმი მხოლოდ რეალურ ისტორიას მოგვითხრობს, რადგან წარმოსახვა ისეთივე ნამდვილია, როგორც სინამდვილე. წარმოსახვა ადამიანის არსებობისა და აზროვნების ისეთივე ბუნებრივი პროდუქტია, როგორც სინამდვილე. ვფიქრობ, სწორედ ეს დეტალი გამოკვეთა დიტო ცინცაძემ და რეალურსა და ირეალურს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშალა. ამიტომ ფილმის უკანასკნელ ეპიზოდში მამაკაცების წარმოსახვითი ქალი მათთან ავტომატით ხელში შედის და სათითაოდ კლავს მათ. ბოლო ეპიზოდში რეჟისორი, გარდა იმისა, რომ ორ სამყაროს აერთიანებს, თითქოს კომპიუტერული თამაშის გამარჯვებულიც გამოჰყავს. ქალი, რომელიც ერთისთვის სიყვარულის ობიექტი იყო, მეორისთვის - მოხმარების საგანი, მესამისთვის - ვნების ობიექტი, მეოთხისთვის - სრულყოფილების უკანასკნელი დეტალი, ყველა მათგანს ანადგურებს. ამიტომ ფილმი ფემინისტურიც არის, სადაც ყველაზე ძლიერი და "თამაშის" გამარჯვებული ფინალისტი - მაინც ქალია. როგორც მთელი ფილმის განმავლობაში იგრძნობა რეჟისორის თვითირონია, ირონია მისი სქესის წარმომადგენლების მიმართ, ბოლო ეპიზოდში ის "ძლიერი" ქალის მიმართაც ირონიულია. უკანასკნელ კადრში მარიშა მაისურაძე მშვიდად მიირთმევს ყავას და წარმოსახვაში მისი ოთხი მსხვერპლით ტკბება, რომლებიც ჭერზე განადგურებულნი კიდიან.

ერთი სიტყვით, დიტო ცინცაძის ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი, რომლის გადაღება ზუსტად 14 დღეში დასრულდა, მსუბუქი, სასაცილო და სასიამოვნო სანახაობაა. ქართველი კრიტიკოსები თანამედროვე ქართული კინოს ანალიზისას ხშირად სვამენ კითხვას: რატომ გაქრა ქართულ კინოში იუმორი, რომელიც ასე უხვად იყო? დიტო ცინცაძე ალბათ ერთადერთი თანამედროვე ქართველი კინორეჟისორია, რომელმაც ახალ ქართულ კინოში განსხვავებული, ახლებური (და არა კუთხური) იუმორი შემოიტანა, რომელიც არაფრით არ ჰგავს ადრეულ ქართულ კომიზმს. ეს პირველად და ყველაზე მკვეთრად "დაკარგულ მკვლელებში" გამოჩნდა და ამ ბოლო ნამუშევარში კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი. დიტო ცინცაძის კინოსტილი ვუდი ალენის ასოციაციებს აღძრავს. აქ ცინცაძე ალენივით მსუბუქი, დაფიქრებული, ირონიული და მარტივია. "თუ სექსის შემდეგ სიგარეტს ეწევით, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი სექსი ძალიან ხანმოკლე და წარუმატებელი იყო", - ეს ვუდი ალენის სიტყვებია, მაგრამ არ ვიცი ვრცელდება თუ არა "რევერსის" გმირებზე, რომლებიც სექსის შემდეგ აუცილებლად სიგარეტს ეწევიან.

სპორტი

# ერთი ნაბიჯი

*ზედმეტად თავდაჯერებულმა და აშლილმა საქართველომ ალაგ-ალაგ რიგიანი თამაშითა და ღონით მაინც დაჯაბნა გულადი და სწრაფად მზარდი ესპანეთი და გავიდა მსოფლიო თასის მეექვსე შესარჩევ რაუნდში, სადაც პორტუგალიას ნოემბერში შინ და გარეთ შეებმება.*



*მსოფლიო თასამდე პორტუგალიაღა დაგვრჩა.*

ბორჯღალოსნებმა დამაჯერებლად დაამარცხეს ესპანელები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტ ფაზაში შეაბიჯეს. თუ ორი მატჩის ჯამში პორტუგალიას დავამარცხებთ, გაისად, სექტემბერში, საფრანგეთში მსოფლიო თასზე გამოვალთ. ეს რიგით მეორე მსოფლიო თასი იქნება ჩვენთვის, რაც დიდი მიღწევა და სტიმული გახდება ჩვენში რაგბის განვითარებისთვის. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ქართველი მორაგბეები ყველაფერს იღონებენ სასურველი მიზნის მისაღწევად.

კაცმა რომ თქვას, ესპანეთთან მატჩის წინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ქართველები იოლად გაუსწორდებოდნენ მეტოქეს და შესარჩევი ციკლის მეექვსე რაუნდში გავიდოდნენ. ამან ბორჯღალოსნებს ცუდი სამსახური გაუწია - მათ თავს მოდუნების უფლება მისცეს. აღმოჩნდა, რომ ესპანეთი იმაზე ძლიერია, ვიდრე გვეგონა და პირენეელებმაც გვარიანად გვანერვიულეს.

საქართველოს ნაკრებმა თამაშში საბოლოო გარდატეხა მეორე ნახევრის დასაწყისში შეიტანა, როცა მინდვრიდან ოსკარ ასტარლოა მიაბრძანეს და კოპალიანმა და ურჯუკაშვილმა ორი ლელოთი დაასაჩუქრეს სტუმრები. კარგია, რომ რიცხობრივი უპირატესობა ასე რიგიანად გამოვიყენეთ, მაგრამ ოსკარ ასტარლოას გასინბინება რომ არა, არავინ იცის, მოახერხებდნენ თუ არა ქართველი მორაგბეები ასე უმტკივნეულოდ საქმის მოგვარებას. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმე გვქონდა ესპანეთთან, ხოლო მასზე უფრო ძლიერი მეტოქე აშკარად არ გვაპატიებს იმ შეცდომებს, რამაც ჩვენი ჩათვლის მოედანში ორი ლელო გამოიწვია.

ისიც სათქმელია, რომ საქართველოს ნაკრებს სამი წამყვანი მორაგბე - ირაკლი მაჩხანელი, გია ლაბაძე და პალიკო ჯიმშელაძე აკლდა, მაგრამ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება აუცილებლად გვმართებს. მაგალითად, მინდვრის შუაგულში ხელით დაახლოებით 20-მეტრიანი გადაცემები, რომლის დროსაც სესარ სემპერემ ჩაჭრა გადაცემა და პირველი ლელო გვაგემა. პორტუგალია მსგავს შეცდომებს აუცილებლად გამოიყენებს და შეეცდება სწორედ ჩვენი უხეში შეცდომებით გავიდეს ფონს, რადგან სათამაშო კლასით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ნაკრები აშკარად აღემატება პორტუგალიას.

რუსებთან შეხვედრაში პორტუგალიელებმა - 26:23 იმარჯვეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ უფრო რუსები დამარცხდნენ, ვიდრე პორტუგალიამ მოიგო. "დათვები" მეორე ნახევრის შუაწელშიც წინ იყვნენ ანგარიშში, მაგრამ მათი დაცვის უხეში შეცდომის გამო პორტუგალიელებმა გადამწყვეტი ლელო გაიტანეს და სწორედ ამ ლელოს მეოხებით მოიპოვეს ნანატრი გამარჯვება. არადა, თამაშის ბოლო წუთზე რუსებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. კარამდე დაახლოებით 40 მეტრი იყო და კონსტანტინ რაჩკოვმა გადაწყვიტა ბურთი აუტში მოეგერიებინა, რათა სალელოვე შეტევა წამოეწყოთ, მაგრამ ეს დარტყმა აუტში უხეირო გამოდგა. შემდეგ რუსებს ბურთი წინ გადაუვარდათ და შეტევა ჩაეშალათ. არადა, ჯარიმა რომ დაერტყათ, შეიძლება სხვაგვარად წასულიყო საქმე.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ რუსებმა პორტუგალიელებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. თუ ქართველი ბორჯღალოსნები სათანადოდ მოემზადებიან და სრულ მობილიზებას შეძლებენ, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ პორტუგალიური ბარიერის დაძლევა.

ახლა მსაჯებზეც ვთქვათ. სამწუხაროდ, თბილისურ მატჩს 11 ნოემბერს იტალიელი არბიტრი დამასკო გაუძღვება. პორტუგალიაში კი უელსელი ჰეისი იმსაჯებს. "სამწუხაროდ" კი იმიტომ, რომ იტალიელებს პორტუგალიელების უფრო ესმით, ვიდრე ქართველების.

### საქართველო - ესპანეთი 37:23

**საქართველო:** 15 მახო ურჯუკაშვილი, 14 გიორგი შკინინი, 11 ბესიკ ხამაშურიძე; 13 რევაზ გიგაური (21 დავით კაჭარავა 75'), 12 ირაკლი გიორგაძე, 10 ოთარ ბარკალაია (22 გიორგი ელიზბარაშვილი 66'); 9 ბიძინა სამხარაძე (20 ირაკლი აბუსერიძე 55').
1 გოდერძი შველიძე (16 დავით ხინჩაგიშვილი 55'), 2 აქვსენტი გიორგაძე, 3 დავით ზირაქაშვილი (17 ავთო კოპალიანი 41'); 4 ილია ზედგინიძე [კაპ], 5 მამუკა გორგოძე; 6 რატი ურუშაძე (სბ 76'), 7 ზვიად მაისურაძე (სბ 64'), 8 ბესო უდესიანი
**4 ლელო:** უდესიანი, ზირაქაშვილი, კოპალიანი, ურჯუკაშვილი;
**4 გარდასახვა, 2 საჯარიმო:** ურჯუკაშვილი;
**არეკნი:** ი.გიორგაძე
**ესპანეთი**: 15 სესარ სემპერე, 14 დავიდ მოტა (20 ფაკუნდო ლავინო 65', 9), 13 ალვარ ენსისო (კაპ.), 12 ხავიერ კანოსა, 11 რაფაელ ალვარესი (22 იგნასიო მარტინი 55'); 10 ესტებან როკე (21 ანდრეი კოვალენკო 41'), 9 პაბლო ფეიხო 65'.
1 მიგელ ბურგალეტა (17 იონ ინსაუსტი 55'), 2 მატიო სიდრი, 3 ხავიერ სალასარი; 4 ენდრიუ ებეთი (18 სერხიო სოუტო 55'), 5 სესარ ბერნასკონი; 6 რაფაელ კამაჩო, 7 ალფონსო მატა, 8 ოსკარ ასტარლოა (სბ 47', 19 ხუან გონსალესი 61')
**2 ლელო:** სემპერე, გონსალესი
**2 გარდასახვა:** სემპერე, კოვალენკო
**3 საჯარიმო:** როკე
**რეფერი:** პიტერ ალენი **კიდეებზე:** გრემ ჰენა და ჯიმ იუილი (შოტლანდია)

### პორტუგალია რუსეთი 26:23

**11 ნოემბერი: საქართველო - პორტუგალია (თბილისი)**
**25 ნოემბერი: პორტუგალია საქართველო (ლისაბონი)**

**ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს საქართველოში, მის აღმატებულებას ჯონ ტეფტს**

თქვენო აღმატებულებავ!

გვსურს გამოვხატოთ უღრმესი პატივისცემა და მადლიერება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რომელიც ყველაზე რთულ ვითარებაში უწევდა და ამჟამადაც უწევს უანგარო დახმარებას საქართველოს, რომლის მოსახლეობას ძალიან კარგად ესმის ამგვარი მეგობრული დამოკიდებულების განსაკუთრებულობა და დიდად აფასებს მას.

მოგეხსენებათ, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა უმძიმესი განსაცდელის წინაშე დგას, ვინაიდან დიდი მეზობლის უკიდურესი აგრესიულობით გამოხატული და მთელი ცივილიზირებული სამყაროსათვის ძალზე სახიფათო ნეოიმპერიალისტური ზრახვები უაღრესად რეალურ საშიშროებას უქმნის ქვეყნის დღევანდელობასა და მომავალს.

შეგახსენებთ, რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) კონსტიტუცია ეფუძნებოდა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას, რაც ძალზე საგულისხმო ფურცელია ჩვენი ისტორიისთვის.

დარწმუნებული ვართ, რომ დასავლური ცივილიზაციისკენ, მისი დემოკრატიული ფასეულობებისაკენ მსოფლმხედველობრივად და კულტურულად ყოველთვის ორიენტირებული საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატები თავის ევროპელ მოკავშირეებთან ერთად, კვლავაც არ დაიშურებს მრავალგზის დადასტურებულ მტკიცე თანადგომას, რასაც უდავოდ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

| | |
|---|---|
| გია ბუღაძე | მხატვარი |
| გია გუგუშვილი | მხატვარი |
| სამსონ ლეჟავა | ხელოვნებათმცოდნე |
| დავით ხოშტრია | ხელოვნებათმცოდნე |
| გიორგი ჭეიშვილი | ფსიქიატრი |

# ფერთა ზეიმი ქარვასლაში

## ამოუცნობი, უსაზღვრო და მრავალგანზომილებიანი სამყარო

მზევინარ ხუციშვილი

ახალგაზრდა მხატვრის პაატა ყუფარაძის ნახატების მხილველი აღიქვამს უცნობი ნათებით აღსავსე ფერებს ერთგვარ კოსმიურ-საკრალურ ჰარმონიასთან ერთად, რაც თითქოს შემოქმედის სულის კარს ხსნის. მაგრამ მხოლოდ თითქოს, რადგან ერთადერთი, რისი დანახვაც ამ ზღურბლს მიღმაა შესაძლებელი, მხოლოდ შემოქმედებითი ძიებაა. სწორედ ამ ძიების გამოა, რომ ჭირს გადაჭრით განსაზღვრო, რომელ მიმდინარეობასთან გვაქვს საქმე. მეტიც, ეს ერთი შეხედვით საერთო ნიშნის მატარებელი სურათები საოცრად განსხვავებულია და იქნებ გაჭირდეს კიდეც ერთი მხატვრისთვის მიკუთვნება.



სწორედ ესაა ის მრავალფეროვნება, რომელიც პაატა ყუფარაძეს სრულიად განსაკუთრებულ, განსხვავებულად მოაზროვნე მხატვრად წარმოგვიდგენს. მის ნახატებში გადმოცემული უსაზღვრო და მრავალგანზომილებიანი სამყარო უჩვეულო ნათების შეგრძნებას იწვევს. ასეთი სამყაროს ხილვა სიხარულს ანიჭებს მნახველს და ჩააფიქრებს ამოუცნობი მარადიული სამყაროს შესახებ. საბოლოოდ კი ენერგეტიკულად ავსებს და უზენაესი ჭეშმარიტების შეცნობისკენ მიაქანებს.

თუ მრავალგანზომილებიანი სამყარო მართლა არსებობს, მისი ერთ-ერთი ადგილი ის ტილოებია, რომელთაც პაატა ყუფარაძე ქმნიდა.

ამ შემოქმედების ხილვისა და შეფასების საშუალება ქართველ საზოგადოებას 28 ოქტომბერს მიეცა "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში, სადაც პაატა ყუფარაძის მეგობრებისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით მხატვრის პერსონალური გამოფენა მოეწყო.

...შემოქმედება მუსიკით დაიწყო და არქიტექტურით გრძელდებოდა, თუმცა მოსკოვში მივლინებით გამგზავრება საბედისწერო აღმოჩნდა. გამოფენაზე მოსულმა საზოგადოებამ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა, მათ შორის მისმა მეგობრებმა, კიდევ ერთხელ გაიხსენეს ახალგაზრდა შემოქმედი.

**მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გია ჯანბერიძე:** "სიმართლე რომ ვთქვათ, მაინცდამაინც არ მიყვარს მემორიალური გამოფენების გახსნა, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა შემოქმედს ეხება. 12 ნოემბერს ერთი წელი გახდება, რაც ის ჩვენთან აღარ არის. ძალინ ემოციური დღე გვაქვს, რადგან ასეთი ახალგაზრდა და ნიჭიერი შემოქმედი დაკარგა საქართველომ. მე მოხიბლული ვარ მისი ნამუშევრებით, აკვარელით შესრულებული პეიზაჟებით და გრაფიკული ნამუშევრებით, რომლებიც საოცრად იუმორისტულია. ეს ალბათ მისი ცხოვრებისეული ხედვაა. დღევანდელი გამოფენა დიდხანს ემახსოვრება ქართველ საზოგადოებას".

**მხატვარი მურმან გელენიძე:** "გილოცავთ დღევანდელ დღეს, რომელიც პაატამ გვაჩუქა. ალბათ ეს იყო ღმერთის ნება, რომ ჩვენ ამ ნამუშევრებით უნდა გვეცოცხლა. ეს საქართველოს სიამაყეა."

**კონსტანტინე გამსახურდია:** "ეს, რასაც დღეს აქ ვხედავთ, არის ქართული ნიჭიერების ზეიმი. პაატა ყუფარაძემ ცოტა ხანს იცოცხლა, თუმცა სერიოზული შედეგი დაგვიტოვა. ვამაყობ, რომ ასეთი ქართველი გვყავდა. ვფიქრობ, ეს ნამუშევრები საერთაშორისო გამოფენებზე უნდა გავიდეს".

**არქიტექტორი გიორგი ფირცხალავა:** "სიცოცხლეში მას რამდენიმე გამოფენა ჰქონდა, თუმცა ასეთი მასშტაბური - არც ერთი. ვეცადეთ მისი საუკეთესო ნამუშევრები წარმოგვედგინა. მას ბევრი რამის გაკეთება სურდა, მაგრამ განხორციელება ვერ მოასწრო. პაატას თავისებური მსოფლმხედველობა ჰქონდა. არ უყვარდა სტანდარტები, სულ ძიებაში იყო. თუ მის ნამუშევრებს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა საერთო ხელწერა აერთიანებთ. მისი ნამუშევრები სხვადასხვა სტილის მხატვრობაა, რომელსაც თვითონ იგონებდა. დღეს, როცა ის ჩვენთან აღარ არის, მისი შემოქმედება ათმაგად ძვირფასია. მისი გარდაცვალების შემდეგ სხვანაირად შევხედე ამ შემოქმედებას. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ მან ვერ შეძლო თავისი პოტენციალის ბოლომდე გამომჟღავნება. ჩვენ კიდევ ვეცდებით მისი ნამუშევრების გამოფენას, რათა ქართველმა საზოგადოებამ კიდევ უფრო კარგად გაიცნოს ეს შემოქმედება. ის ამას ნამდვილად იმსახურებს".

# შესუსტებულმა საქართველომ რუსები გააჭეჭილა

*ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა, სამეულისთვის ვიბრძოლებთ, რადგან მეორე შემადგენლობა მიმყავს ბელგრადშიო. ხაბარელმა ზუსტად შეაფასა გუნდის შესაძლებლობები - დღეს ევროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე ადგილით ბრუნდებიან შინ.*

ბიბა ბურასაშვილი

ის, რომ ხაბარელმა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ნაკრების მეორე შემადგენლობა წაიყვანა, იმით არის გამოწვეული, რომ ძირითადმა ბირთვმა წლეულს ყველგან იასპარეზა, სადაც კი შესაძლებელი იყო - ევროპის ჩემპიონატზე, მსოფლიოს გუნდურ თუ ევროპის საკლუბო ჩემპიონატებზე. ბუნებრივია, მათ დასვენება სჭირდებოდათ. თანაც, იანვრიდან პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიების გათამაშება იწყება.

ერთი სიტყვით, მეორე შემადგენლობით ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის მესამე გუნდის სახელის მოსაპოვებლად პირველი შეხვედრა მოიგეს ბელორუსის ნაკრებთან და შემდეგ ფრანგებთან დამარცხდნენ. რაკი საფრანგეთის ნაკრები ფინალში გავიდა, ქართველებმა მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელეს. აქ საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო ისრაელის გუნდი, რომელიც დაამარცხა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

მართალია, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ზურაბ ზვიადაურმაც იჭიდავა, მაგრამ ძიუდოს გულშემატკივრებმა იციან, რომ ათენის ოლიმპიურ ჩემპიონს წლეულს მუხლის ტრავმის გამო თითქმის არ უასპარეზია. ხაბარელმა ისიც კი თქვა, ზვიადაური ყველაფერს ახლა იწყებსო. როგორც არ უნდა იყოს, მეორე შემადგენლობით ევროპის მესამე საუკეთესო ნაკრების სტატუსის მოპოვებაც შთამბეჭდავი წარმატებაა, რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი ფაქტორებისა თუ მიზეზების გათვალისწინებით.

მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე პირველობა კი იმით იყო აღსანიშნავი, რომ ჩვენებმა ფინალში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს. ამჯერად რუსებმა, შეიძლება ითქვას, გაიჯეჯილეს და ფინალში ფრანგებს მოუგეს.

### საქართველოს ნაკრები

ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ.); მინდია ხომიზური (66 კგ.); ნესტორ ხერგიანი (73 კგ.); გიორგი ბაინდურაშვილი (81 კგ.); ზურაბ ზვიადაური (90 კგ.); ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ.); გიორგი ყიზილაშვილი (+100 კგ.); ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ.).


სს "ერისიმედი" აცხადებს ვაკანსიას

გვესაჭიროება 35 წლამდე ასაკის გამოცდილი მარკეტინგის მენეჯერები. მაღალი ანაზღაურებით.
საკონტაქტო პირი გიორგი
ჩილაძავე (ოფისის მენეჯერი). 895 58-21-25.

ბრიტანული ენის დარბაზი გთავაზობთ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.
■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)
■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის. სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერატურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს.

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**

(24) საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი



თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## მილერი ყველაზე გავლენიანი რუსი ოლიგარქია

ეკონომიკური სიახლეების სააგენტომ და გაზეთმა "ნეზავისიმაია როსიამ" ჩაატარეს გამოკითხვა, რომლის მიზანიც უმდიდრეს რუს ბიზნესმენთაგან ყველაზე გავლენიანთა გამოვლენა გახლდათ. გამოკითხვის შედეგად, რომელშიც 62 ექსპერტი მონაწილეობდა, გავლენიან რუს ოლიგარქთა რეიტინგში პირველ ადგილზე "გაზპრომის" თავკაცი ალექსეი მილერი გავიდა, მეორე ადგილი კი ჩუკოტკის გუბერნატორმა, უმდიდრესმა რუსმა რომან აბრამოვიჩმა დაიკავა.

მესამე ადგილზე "რაო ეი-ეს"-ის თავკაცი ანატოლი ჩუბაისი გავიდა, მეოთხე - "ლუკოილის" შეფი ვადიმ ალეკპეროვი გახლავთ, ხოლო მეხუთე ადგილი "მეჟპრომბანკის" თავკაცმა სერგეი პუგაჩოვმა დაიკავა.

## გერმანია EADS-ის წილს პირდაპირ არ შეიძენს

გერმანიის მთავრობა და კომპანია DaimlerChrysler შეთანხმდნენ, რომ ბერლინი აეროკონსორციუმ EADS-ის წილს სახელმწიფო ბანკის KFW-ის მეშვეობით არ შეიძენს. ამ დათმობის სანაცვლოდ, მთავრობა კერძო საინვესტიციო კონსორციუმში წილს იყიდის. მოგეხსენებათ, EADS-ის ერთ-ერთმა უმსხვილესმა, 30 პროცენტის მფლობელმა აქციონერმა DaimlerChrysler-მა აქციების 7,5 პროცენტის გაყიდვის სურვილი გამოთქვა. აღნიშნული წილის ხელში ჩაგდება გერმანიის მთავრობამ მოიწადინა, რომელმაც განაცხადა, რომ ამგვარად სურს აეროკონსორციუმში ქვეყნის ინტერესები დაიცვას. როგორც ცნობილია, EADS-ის აქციების 15 პროცენტი საფრანგეთის მთავრობას, ხოლო 30 პროცენტი ფრანგულ მედიაჯგუფ Lagardere-ს ეკუთვნის.




## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3276 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9908 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4735 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7390 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8120 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1279 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2959 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3036 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2056 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4099 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3344 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,2018 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1468 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2829 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1889 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2565 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4055 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5469 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1277 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3700 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3174 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2658 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5705 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6286 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1108 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4578 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5126 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4115 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4483 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8454 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0140 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1362 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4453 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2391 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3870 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2205 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2234 |




# 864 მილიონი ლარის დაფარვის სქემა გამოჩნდა

## პარლამენტში მთავრობის პროექტი დაიწუნეს

თინა შავაძე

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კერძო და სახელმწიფო საწარმოების დავალიანება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ. მთავრობის მეორე უფრო დიდი თავის ტკივილი ისაა, რომ იმ კომპანიებში, სადაც სახელმწიფო საკონტროლო პაკეტს ფლობს, დღემდე ვერ ახერხებს კუთვნილი ვალების ამოღებას, ან პირიქით, დაფარვას. საერთო ჯამში, ბოლო მონაცემებით, საწარმოების დავალიანება 864 მილიონი ლარია. არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი "ელექტროენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის შესახებ" და საკანონმდებლო ორგანოში გასულ კვირას პრეზენტაციაც გამართა. დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება ენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის იურიდიული ფორმები. მათ შორისაა: დავალიანების გადახდა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, რესტრუქტურიზაცია, ვალის პატიება, რედაფინანსება და სხვა. პროექტის თანახმად, ამ საკითხებზე გადაწყვეტილებას სპეციალური კომპეტენციის სუბიექტი - დავალიანებათა მართვის სახელმწიფო კომისია მიიღებს, რომელიც საწარმოების და კრედიტორების მონაწილეობით უზრუნველყოფს დავალიანებათა მართვის გეგმისა და დავალიანებათა დაფარვის ზემოხსენებული ფორმების გამოყენებას. როგორც ხედავთ, განმარტებით ბარათში ჩამოყალიბებულ წინადადებებს, გასაგები რომ გახდეს, "გადათარგმნა" სჭირდება და ამ სამუშაოს მეტ ნაკლებად კანონპროექტი ასრულებს, რომელშიც დეტალურად გაწერილია, ვალების დაფარვის დროს მეწარმე-სუბიექტმა როდის რა უნდა გააკეთოს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ის შეიძლება ენერგოკომპანიებისთვის ერთგვარი სახელმძღვანელოც გახდეს და დეპუტატების მხრიდან საკამათო აღარ იქნება ის, თუ რაში დაიხარჯა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გადახდილი 3 მილიონი ევრო.

B2

# აზიური ექსპანსია და რუსული მემკვიდრის სცენარი

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### ინდური კორპორაციები შეტევაზე გადადიან

*სულ ერთი წლის წინ ინდური მეტალურგიული კომპანია "ტატა სტილი" 56-ე ადგილზე იმყოფებოდა მსოფლიო კლასიფიკაციაში (თავის სფეროში). ახლა, როცა კომპანიამ 8 მილიარდ დოლარად თავისი ყოფილი კონკურენტი, ანგლო-ჰოლანდიური "ქორუსი" ჩაიგდო ხელთ, უკვე სიდიდით მეექვსე ხდება პლანეტაზე. ახალი გიგანტი წელიწადში დაახლოებით 22,6 მილიონ ტონა ფოლადს გამოუშვებს (შარშანდელ მონაცემებზე დაყრდნობით). ეს უკვე ინდური მეტალურგიის მეორე დიდი გამარჯვებაა მიმდინარე წლის განმავლობაში. არც ისე დიდი ხნის წინ მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, ლაკშმი მიტალის კომპანიამ "მიტალ სტილმა", დიდი პერიპეტიების შემდეგ, ევროპული გიგანტი "არსელორი" გადაყლაპა და ამ სფეროში უპირობო ლიდერად იქცა.*

**პუტინის ხელისუფლებაში დარჩენის ვარიანტები:**

- "გაზპრომის" ხელმძღვანელი
- პრემიერ-მინისტრი
- მმართველი პარტიის გენერალური მდივანი

**ფრანგული პარადოქსი**



B3

# "ფორდი" არნახულ ზარალს განიცდის

მერაბ ლორთქიფანიძე

*მიმდინარე წლის მესამე კვარტალი მეტად წამგებიანი გამოდგა "ფორდისთვის", რომელმაც გამოაცხადა, რომ ამ პერიოდში მისმა ზარალმა 5,8 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს კომპანიისთვის ბოლო 14 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური დანაკარგია. ყოველივე კი განაპირობა პიკაპებისა და უგზოობის კლასის ავტომობილების გაყიდვების მნიშვნელოვანმა შემცირებამ, სამუშაოდან დათხოვნილი თანამშრომლებისათვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდამ და ზოგიერთი აქტივის ჩამოწერამ.*

*კომპანიამ ასევე გამოაცხადა, რომ 2001 წლიდან მოყოლებული, მთლიანად გადახედავს თავისი ბიზნესის სტატისტიკურ მონაცემებს და არ გამორიცხა, რომ შესაძლოა, ზარალი ბოლო კვარტალში უფრო შთამბეჭდავიც კი გახდეს. ამასთან, სიდიდით ნომერ მეორე ამერიკული ავტოკომპანია მთლიანად გამოიყენებს თავის დარჩენილ აქტივებს იმისათვის, რომ გაისტუმროს ის ვალდებულებანი, რომლებიც 45 000 სამუშაო ადგილის შემცირებას და 16 ქარხნის დახურვას მოჰყვება.*

**პიკაპებისა და უგზოობის ავტომობილების გაყიდვების შემცირება, პირველ რიგში, საწვავის გაძვირებამ გამოიწვია - მყიდველს აღარ სურს დიდი ზომის, არაეკონომიური ავტომობილების შეძენა. არადა, აშშ-ს ბაზარზე ეს კლასი "ფორდისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანია და დიდად განაპირობებს მის კეთილდღეობას.**




B4

### ერთი წლის განმავლობაში საფინანსო სექტორი 75 პროცენტით გაძლიერდა

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საფინანსო სექტორი 75 პროცენტით გაძლიერდა და საბანკო აქტივები 63 მილიარდი ლარით გაიზარდა. გაიზარდა, აგრეთვე, საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობა, 57 პროცენტით. ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა განაცხადა. მისივე თქმით, საზოგადოების საბანკო სექტორისადმი გაზრდილი ნდობა ეკონომიკური პროცესების ლეგალიზაციამ და საბანკო სფეროში ჯანსაღმა კონკურენციამ გამოიწვია. ამაღლობელის განცხადებით, 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 1 ივლისამდე საბანკო სფეროში არსებულ მდგომარეობას თუ ციფრებში გამოვხატავთ, მართლაც შთამბეჭდავია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### 2007 წლისათვის აზერბაიჯანული გაზის ღირებულება, შესაძლოა, გაიზარდოს

2007 წლისათვის აზერბაიჯანული გაზის ღირებულება შესაძლოა გაიზარდოს, ამის შეასახებ "Azeriqaz"-ის წარმომადგენელმა ალიხან მელიკავმა განაცხადა.

"დღეისათვის აზერბაიჯანული გაზის ფასი 2-ჯერ იაფია იმპორტირებული რუსული გაზის ფასთან შედარებით. მომავალი წლისათვის რუსეთი გაზის საფასურის გაზრდას გეგმავს და, შესაძლოა, აზერბაიჯანული გაზის ფასიც გაიზარდოს," - აცხადებს მელიკოვი.

მელიკოვის თქმით, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლისაგან გაზის ღირებულების ამოღების მაჩვენებელი. თუკი 2006 წლის იანვარში მოსახლეობიდან თანხის ამოღება მოხმარებული ბუნებრივი აირის 16%-ს შეადგენდა, სექტემბერში აღნიშნულმა 72,4% შეადგინა.

კომპანია ასევე განაგრძობს კერძო სექტორში გამრიცხველიანების მოწესრიგებას და მის სრულ დასრულებას 2007 წლისთვის გეგმავს.

2007 წლისთვის კომპანია აპირებს აგჯაბედინისა და ბეილაგანის რაიონების გაზიფიცირებას, რის შემდგომაც ქვეყნის გაზიფიკაცია, ფაქტობრივად, დასრულდება.

ცნობისათვის, გაზის ღირებულება აზერბაიჯანში ერთ კუბურ მეტრზე 55 აშშ დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრის 35-40 პროცენტია ათვისებული

დსთ-ს ქვეყნების სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, საქართველო ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობით მეექვსე ადგილზეა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ათვისებულია მომხმარებელთა ბაზრის მხოლოდ 35-40%. მათი თქმით, აღნიშნული ძირითადად წუთობრივი სასაუბრო დროისა და SMS შეტყობინებების ტარიფის მაღალი ღირებულებით, როუმინგული მომსახურების გართულებული სერვისითა და "არასამართლიანი" წუთობრივი დამრგვალებითაა გაპირობებული. თუმცა უმთავრეს მიზეზად ჯერაც დაბალი სოციალური ფონი სახელდება.

ამავე დროს, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე მძლავრ ექსპანსიას გეგმავს რუსული კომპანია "ვიმპელკომი" (სავაჭრო მარკა - "ბილაინი"). არსებული ინფორმაციით, "ვიმპელკომი" ამჟამად ბაზრის ინტენსიურ კვლევას აწარმოებს და მომხმარებელს სრულიად ახალ სერვისს და მომსახურების მისაღებ ტარიფებს შესთავაზებს. 20012 წლისთვის კომპანია ქართული ბაზრის 25 - 30 პროცენტის ათვისებას გეგმავს.

"ვიმპელკომის" "დასახვედრად" აქტიურად ემზადებიან ქართულ ბაზარზე დამკვიდრებული კომპანიები "მაგთი" და "ჯეოსელი", თუმცა მათი სტრატეგია ძვირადღირებულ სარეკლამო კომპანიასა და მასისათვის ხელმიუწვდომელ ელიტარულ თუ ნახევრადელიტარული ღონისძიებების დაფინანსებას არ სცდება. სხვა მხრივ, ის, თუ რას შესთავაზებენ უახლოეს პერიოდში ქართული ფიჭური კომპანიები მომხმარებლებს და როგორ დახვდებიან ახალი ოპერეტორის - "ვიმპელკომის" შემოსვლას ქართულ ბაზარზე, ამ ეტაპზე უცნობია.

საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებელთა რაოდენობა 1,9 მილიონ აბონენტს შეადგენს.

ყველაზე მეტი მომხმარებელი და ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი რუსეთს ჰყავს. რუსეთში აბონენტების რაოდენობა 140,3 მილიონია. მეორე ადგილზეა უკრაინა -35,9 მილიონი აბონენტი, მესამე ადგილზე ყაზახეთი - 6,6 მილიონი აბონენტი. შემდეგ მოდიან: ბელორუსი - 5,0 მილიონი, აზერბაიჯანი - 2,9 მილიონი, საქართველო - 1,9 მილიონი, უზბეკეთი - 1,7 მილიონი, მოლდოვა - 1,2 მილიონი, ყირგიზეთი - და სომხეთი - 700 ათასი, ტაჯიკეთი - 600 ათასი, თურქმენეთი - 100 ათასი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კომპანია "ეიტსკი" 1 მილიონ აშშ დოლარად იყიდება

სამეცნიერო-საწარმოო კომპანია "ეიტსკი" იყიდება. 9 900 კვ. მ.ეტრი ფართის მქონე საპრივატიზაციო ობიექტი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 1 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა. კომპანია ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის შექმნასა და დამზადებაში, საწარმოებში მათ დანერგვასა და მაღალი ძაბვის ნახევრადგამტარული კვების წყაროების დამუშავებაშია სპეციალიზებული. "ეიტსკის" გასაყიდად აუქციონი 30 ნოემბერს სამინისტროში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

### თენგიზ შერგელაშვილი: საქართველოს მთავრობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას არ დაუშვებს

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები, ექსპერტთა აზრით, საკმაოდ მძიმედ აისახება საქართველოს ბაზარზე, კერძოდ, ფასებზე. სურსათზე ფასი კი მანამდე გაიზრდება, ვიდრე არ მოხდება რუსული პროდუქციის სხვა, იმპორტირებული საქონლით ჩანაცვლება. თუმცა, მათივე ვარაუდით, ზამთრის პერიოდში საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდა, ფასების მატება და საახალწლოდ მოსახლეობის მიერ დიდი ოდენობით თანხის ხარჯვა ლარის კურსზე ვერ იმოქმედებს.

რუსეთიდან იმპორტის შეჩერება, ფასების ზრდა და მოსახლეობაში დაგროვილი თანხები, რომელთა დიდი ნაწილი საახალწლოდ იხარჯება, ვერ იმოქმედებს ლარის კურსზე უარყოფითად, რადგან საქართველოს მთავრობა არ დაუშვებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას. აუცილებლად მოხდება რუსეთის ჩანაცვლება სხვა იმპორტიორი ქვეყნით და ფასები დარეგულირდება," - განუცხადა "მედიანიუსს" ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თენგიზ შერგელაშვილმა. **მედიანიუსი**

# 864 მილიონ ლარის დაფარვის სქემა გამოჩნდა

პირველი გვერდიდან

მოკლედ, საინტერესოა, რას ამბობს პროექტი? პროექტის მიხედვით, კანონი ენერგეტიკის სექტორში მოქმედ იმ საწარმოებზე ვრცელდება, რომელთა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ეკუთვნის. მიმართვა კომისიის სახელზე იწერება, რომლის კომპეტენციაც იქნება: შეისწავლოს საწარმოთა ფინანსური და სამართლებრივი მდგომარეობა; მოახდინოს საწარმოთა ვალების კლასიფიკაცია; შეისწავლოს კრედიტორთა მოთხოვნების საფუძვლიანობა; უზრუნველყოს მოლაპარაკებები კრედიტორსა და მოვალეს შორის; შეარჩიოს დავალიანებათა მართვის ფორმა; დაამტკიცოს და თვალყური ადევნოს მის განხორციელებას; მოიწონოს საწარმოს მიერ წარდგენილი სახელმწიფო დახმარების გეგმის პროექტი, ან ის უშუალოდ შეადგინოს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის განმარტებით, კომისიის ფუნქციას სამინისტროში მოქმედი საგადასახადო დავალიანებისა და სესხის დაფარვის დეპარტამენტი შეასრულებს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო სიაში აღმოჩნდა, მაშინ მას გარკვეული შეზღუდვები ექნება. კომისია გახდება კომპანიის ფინანსური მმართველი და ამიტომაც მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება ჩამოერთმევა. პრაქტიკულად, მოხდება ისე, რომ ფინანსთა სამინისტროში მოქმედი დეპარტამენტი, აღნიშნული პროექტით, კომისიაც იქნება და ფინანსური მმართველიც.

პარლამენტში პროექტის პრეზენტაციის შემდეგ დეპუტატებს გაუჩნდათ კითხვა: საჭიროა თუ არა საერთოდ მთავრობის აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა. უკვე გარკვეულია, რომ პროექტის მიმართ კომიტეტებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. დეპუტატი ირაკლი იაშვილი ამბობს: "მთავრობის მხრიდან ენერგეტიკის სფეროში დაგროვილი ვალების დაფარვის პათოსს ვიზიარებ, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებას მთავრობა ადმინისტრაციული გზით ცდილობს და ეს თავიდანვე უტოპიაა, თუ ბიზნესელემენტების შეტანით პროექტის გამოცოცხლება არ მოხდა. ვფიქრობ, ვალების მენეჯმენტის საკითხი სხვანაირად უნდა გადაწყდეს. ვალები აუდიტორულმა კომპანიებმა უნდა შეისწავლოს. საეჭოა, ენერგეტიკის სფეროს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია კომისიამ შეძლოს."

ყველამ კარგად იცის, რომ ბიზნესში სესხისა და ვალის გარეშე საქმის წარმართვა წარმოუდგენელია. მთავარია, ვალებმა საწარმო გაკოტრებამდე არ მიიყვანოს, და ეს თუ მართლაც ასე მოხდა, კრიტიკული მდგომარეობიდან შესანიშნავი გამოსავალია საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება, ან კიდევ გაკოტრების რეჟიმში ინვესტიციების მოზიდვა და ამ გზით საწარმოსთვის ახალი სისხლის გადასხმა. საქართველოში ასეთი ქმედებების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ყველა მეწარმე-სუბიექტს შეუძლია. მაგრამ, კომპანიები გაკოტრების რთული პროცედურისა და სხვა მიზეზთა გამო, არსებულ შესაძლებლობას, ფაქტობრივად, არ იყენებენ.

ვისაც ერთხელ წაუკითხავს "გაკოტრების კანონი", ის მასსა და აღნიშნულ კანონპროექტს შორის ბევრ მსგავსებას აღმოაჩენს. ორივე შემთხვევაში, მარტივად რომ ვთქვათ, ვალების დაფარვის მექანიზმზეა საუბარი. ალბათ ამიტომაც, აღნიშნული კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის კანონებთან "მეწარმეობის შესახებ" და "გაკოტრების შესახებ", რომელთა გამოყენებაც, დეპუტატთა აზრით, არსებულ მდგომარეობაში ყველაზე კარგი საშუალებაა. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ამბობს, რომ თამაშის წესები ქვეყანაში მოქმედი ყველა კომპანიისთვის უნდა იყოს ერთნაირი და უპირატეს მდგომარეობაში არ შეიძლება თუნდაც ის კომპანია აღმოჩნდეს, რომლის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელშია, ვინაიდან 49 პროცენტი ასეთ შემთხვევაში კერძო პირს ეკუთვნის. კომიტეტის აპარატის უფროსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ამბობს, რომ მთავრობა ცდილობს, ამ საკანონმდებლო ინიციატივით სასამართლოს ფუნქცია ჩამოართვას, რადგან ორ სამართლებრივ სუბიექტს (მევალე და მოვალე) შორის როცა დავა წარმოიშობა, ის უკვე სასამართლოს, ან არბიტრაჟის განხილვის საგანი ხდება.

არსებული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, პროცედურულად კომიტეტები ვალდებულები არიან, აღნიშნულ კანონპროექტზე იმსჯელონ და პარლამენტის სასესიო სხდომაზე წარადგინონ, სადაც პროექტის ბედი კენჭისყრით გადაწყდება. სხვა შემთხვევაში კომიტეტებს მხოლოდ კანონპროექტის მიმართ უარყოფითი დასკვნის დაწერა შეუძლიათ. ლეკიშვილის პროგნოზით, კანონპროექტის დამტკიცება მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.

# "ემ-სი-ჯი" საქართველოში გრანტების გაცემის მეცნიერულ მეთოდს ნერგავს



ლიკა ჯობაძე

27 ოქტომბერს "ემ-სი-ჯიმ", აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში, პირველადი წარმოების კომპონენტებისათვის გრანტის პოტენციურ მიმღებთა ჯგუფი გამოავლინა. წვრილი, არაეფექტური ფერმერული მეურნეობიდან კომერციულ, მომგებიან აგრობიზნესზე, ამ ეტაპზე, ექვსი ორგანიზაცია გადავა, რომლებმაც გრანტი საქართველოსთვის სრულიად ახალი - მეცნიერული მეთოდის გამოყენებით მიიღეს.

შემთხვევითი შერჩევის მეთოდი, იგივე რანდომიზაცია, თანამედროვე სტატისტიკის ადრინდელი პერიოდიდან დღემდე, მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილი და აპრობირებული მეთოდი გახლავთ. ამერიკელი მეცნიერების დახმარებით კი "ემ-სი-ჯი" შემთხვევითი შერჩევის მეთოდს უკვე ქართულ სინამდვილეში გამოიყენებს. რანდომიზაციის პრინციპი ამა თუ იმ პროექტის შერჩევისას მაქსიმალურად გამორიცხავს პოტენციურ მიკერძოებას, კორუფციულ გარიგებას და ყველა მონაწილეს შერჩევის პროცესში გამარჯვების თანაბარ შანსს აძლევს.

"ემ-სი-ჯიმ" აღმოსავლეთ საქართველოდან 130-ზე მეტი განაცხადი მიიღო, აქედან მათ მიერ წაყენებული პირობები მხოლოდ 20-მა განაცხადმა დააკმაყოფილა. ორმა პროექტმა შეფასების მაქსიმალური ქულა მიიღო და პირველი ეტაპი კონკურსს გარეშე გადალახა, დანარჩენმა თვრამეტმა ორგანიზაციამ კი შემთხვევით შერჩევის კონკურსი გაიარა. კონკურსანტებმა თავიანთი განაცხადების სარეგისტრაციო ნომრები გამჭვირვალე ყუთში საჯაროდ მოათავსეს და მათ ამორჩევაშიც თავად მიიღეს მონაწილეობა. პირველი საფეხური ამ ეტაპზე მხოლოდ ექვსმა ორგანიზაციამ გადალახა. დანარჩენი თორმეტი კი შერჩევის მომდევნო პროცესში ავტომატურად მიიღებს მონაწილეობას. გრანტების რანდომიზაციული პრონციპით გაცემის პირველ პროცედურას ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერი დაესწრო.

"ემ-სი-ჯის" აღმასრულებელი დირექტორის ლაშა შანიძის თქმით, შერჩევის მეცნიერული მეთოდი გრანტის გაცემის სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე საშუალებაა. "ის პროცესი, რომელიც დღეს ჩვენ გამოვიყენეთ, საქართველოს საგრანტო სექტორისთვის პირველი შემთხვევაა. ამ მეთოდს "ემ-სი-ჯი" აგრობიზნესის განვითარებისთვის გრანტებს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, გამჭვირვალედ და ობიექტურად გასცემს. ჩვენ დღეს ექვსი პროექტი გამოვავლინეთ. მეორე ეტაპზე კი ამ პროექტებს ადგილზე შევისწავლით და საგრანტო თანხებსაც განვსაზღვრავთ. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, მოგახსენებთ, რომ საკმაოდ მკაცრია. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა, საქმიანობის განვითარებისა და არსებული წარმოების მომგებიან ბიზნესად ქცევის პერსპექტივა - ეს ის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებებია, რომლესაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ," - განაცხადა ლაშა შანიძემ.

შერჩევით კონკურსში ექვსი გამარჯვებულიდან ერთ-ერთი - შპს "ჯი-ეს-ენ"-ია. აღნიშნული ორგანიზაცია შიდა ქართლში, მარნეულის რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული. "კონკურსში სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი მქონდა წარდგენილი. ჩვენი საწარმო მეფრინველეობის დარგში, უკვე ოთხი წელია, მოღვაწეობს. ვაწარმოებთ ქათმისა და ინდაურის ხორცს. დაფინანსების შემთხვევაში მეურნეობა კიდევ უფრო გაიზრდება და წარმოება წელიწადში 10 ათასი ქათმისა და 15 ათასი ინდაურის ხორცს აწარმოებს," - აცხადებს შპს-ს დირექტორი ალექსანდრე ჯოხაძე.

მეორე გამარჯვებული თელავის რაიონში მცხოვრები ინდმეწარმე ზვიად ხატიაშვილი გახლავთ. ის 5 წელია, თაფლის წარმოებით არის დაკავებული და აცხადებს, რომ ეს ბიზნესი ძალიან მომგებიანია. "დღეს 50 სკა მაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს პროექტს "ემ-სი-ჯი" დააფინანსებს, წარმოება გაიზრდება. ამ სკებს ჩვენ კიდევ 150 სკას დავამატებთ. დღეს მე კონკურსში გავიმარჯვე და მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი ძალიან ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდა," - აცხადებს ზვიად ხატიაშვილი.

აგრობიზნესის განვითარების თითოეულ ღირსეულ პროექტს "ემ-სი-ჯი" 5-დან 50 ათას დოლარამდე გრანტს გამოუყოფს. კონკურსი წელიწადში ოთხჯერ გამოცხადდება და თითოეულ ეტაპზე 24-მდე პროექტის დაფინანსება იგეგმება. სულ, აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 300-მდე გრანტის გაცემაა დაგეგმილი. აღნიშნული პროექტი 4-წლიანია და მისი ღირებულება 15 000 აშშ დოლარია.

# საგარეო ვალი ყოველწლიურად 150 მილიონი აშშ დოლარით იზრდება

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველომ საგარეო ვალდებულებების აღება დაიწყო, საგარეო ვალის მოცულობა დღემდე ყოველწლიურად 150 მილიონი აშშ დოლარით იზრდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა 1 მილიარდ 748,600 მილიონი აშშ დოლარია, რაც თითქმის ერთი მილიარდით მეტია 12 წლის წინ აღებულ ფინანსურ ვალდებულებებზე. 1994 წელს საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდ 3,9 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყველაზე მსხვილი კრედიტორი, 738 მილიონ 102 ათასი დოლარით, მსოფლიო ბანკია. აღსანიშნავია, რომ 1994 წელს ამ ორგანიზაციის მხოლოდ 1 მილიონი დოლარი გვმართებდა.

ხუთჯერ გაიზარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებები. თუ 1994 წელს ვალის მოცულობა 40,5 მილიონი დოლარი იყო, 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 227 მილიონ 795 ათასი დოლარს მიაღწია. სადებეტო მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა ევროკავშირთან. 1994-2005 წლებში დავალიანების მოცულობა 151,7 მილიონიდან 101,3 მილიონ დოლარამდე შემცირდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რობერტ კრისტიანსენი: ინფლაციის შესამცირებლად მთავრობამ ხარჯები და მიმოქცევაში ფულის მასა უნდა შეზღუდოს

- საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის ორი თვის წინ იყო, - ამის შესახებ სააგენტო GBC-ის სსფ-ის წარმომადგენელმა საქართველოში რობერტ კრისტიანსენმა განუცხადა.

როგორც კრისტიანსენი სააგენტო GBC-თან საუბრისას განმარტავს, ინფლაციის მაჩვენებელი, 12 თვის მონაცემებით, თითქმის 11%-ს შეადგენს. "იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შეამციროს, საჭიროა, მთავრობამ შეამციროს ხარჯები, რაც შედეგად გამოიწვევს მიმოქცევაში ფულის მასის შემცირებას," - განმარტავს კრისტიანსენი. სსფ-ს წარმომადგენელი საქართველოში მიიჩნევს, რომ ამ ყოველივესთან კომერციულმა ბანკებმა უნდა შეზღუდონ კრედიტების გაცემა.

კრისტიანსენი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში ინფლაციის მაჩვენებლის შეჩერება არ გაუჭირდება. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობებს, კრისტიანსენი აცხადებს, რომ ეს ფაქტორი გარკვეულ რისკებს შეიცავს, თუმცა ეს შედეგად მშპ-ს 2-3%-ით შემცირებას გამოიწვევს. **(GBC)**

### ბაქო-თბილისი-ერზერუმის აზერბაიჯანის და საქართველოს მონაკვეთებზე ტესტირების მიზნით გაზის გატარება მოხდა

აზერბაიჯანის "შაჰ-დენიზის" საბადოდან გაზის პირველი ნაკადის ტრანსპორტირება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენით უახლოეს 2 კვირაში დაიწყება, - ამის შესახებ კომპანია BP Azerbaijan-ის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა ბაქოში განაცხადა. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე დასრულებულია გაზსადენის აზერბაიჯანის და საქართველოს მონაკვეთების ტესტირება. ვუდვორდის ინფორმაციით, მიმდინარე წლის განმავლობაში "შაჰ-დენიზის" საბადოდან 300 მლნ კუბ/მეტრი გაზის მოპოვება მოხდება, რაც აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს შორის განაწილდება.

"ჯერჯერობით უცნობია, რა ოდენობით განაწილდება მოპოვებული გაზი ამ 3 ქვეყანას შორის, რადგან ეს დამოკიდებული იქნება, თუ რამდენად მზად იქნებიან ქვეყნები გაზის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ტექნიკური მიზეზების გამო გაზის მიღებას ვერ შეძლებს, გაზი დანარჩენ 2 ქვეყანაზე გადანაწილდება," - განაცხადა დევიდ ვუდვორდმა.

მისივე თქმით, BP Azerbaijan-ს ჯერ არ მიუღია განაცხადი გაზსადენის თურქეთის მონაკვეთის მშენებლობის ოპერატორი თურქული კომპანია Bota_-გან, გაზსადენის ტესტირების მიზნით გაზის მიღების შესახებ. 2007 წელს "შაჰ-დენიზის" საბადოდან 5-6 მლრდ კუბ/მეტრი გაზის მოპოვება იგეგმება. **GBC**

### საქართველოში პლასტიკური ბარათების მომხმარებელთა რიცხვი სწრაფად იზრდება

საქართველოში პლასტიკური ბარათების რაოდენობა ბოლო ერთ წელიწადში გაორმაგდა.

სებ-ის ცნობით, 2006 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში ემიტირებული VISA პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 500 ათასს გადააჭარბა, მაშინ, როცა 2005 წელს მათი რაოდენობა 254 ათასს შეადგენდა.

"საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა VISA-სგან მიიღო წერილი, რომელიც საქართველოში პლასტიკური ბარათების და, ზოგადად, უნაღდო ანგარიშსწორების განვითარების საქმეში მიღწეულ წარმატებებს შეეხება," - განაცხადეს ეროვნულ ბანკში. საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 2009 წლის ბოლოს 950 000 უნდა შეადგინოს, თუმცა არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ამ პარამეტრების მიღწევა 2007 წელს იქნება შესაძლებელი. **GBC**

# აზიური ექსპანსია და რუსული მემკვიდრის სცენარი

პირველი გვერდიდან

როცა ახალ მზარდ სახელმწიფოზე საუბრობენ, ეს, როგორც წესი, ჩინეთია (ისე, როგორც იაპონია იყო 1980-იანების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში). მაგრამ ჩინეთის ეკონომიკას, ცოტა არ იყოს, ზოგადი, ერთიანი იმიჯი აქვს. ყველამ კარგად იცის, რომ ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი არნახული სისწრაფით იზრდება და ჩინურ საქონელს მსოფლიო ბაზრები “მიაქვს”. თავიდან ეს საქონელი მანუფაქტურა იყო, რომელიც მყიდველს სიიაფით იზიდავდა. ახლა, მანუფაქტურასთან ერთად, მაღალი ტექნოლოგიებიც გამოჩნდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ ჩინური კორპორაციების წარმატებას არ უკავშირდება. ჩინური საქონელი, ძირითადად, დასავლური კომპანიების ბრენდებით იწარმოება (რომლებმაც ჩინეთში ინვესტიციები განახორციელეს). ჩინური ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება, მაგრამ ჩინური კომპანიები თითქმის არ ჩანს, თუკი არ ჩავთვლით ნავთობკომპანიებს, რომლებიც ყაზახეთში ახორციელებენ ინვესტიციებს (ამასაც ჩინეთის სახელმწიფო კომპანიები აკეთებენ, გამომდინარე იქიდან, რომ პეკინი ყაზახური ენერგორესურსების ათვისებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს).

ამ დროს კი ინდური კორპორაციების გარშემო უზარმაზარი აჟიოტაჟია ატეხილი. მეტალურგიაზე უკვე ვისაუბრეთ. მთლიანობაში კი ინდურმა კომპანიებმა წელს უკვე 131 შესყიდვა განახორციელეს. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე იმ საზღვარგარეთულ კომპანიათა რიცხვი, რომლებმაც ინდოეთში განახორციელეს ინვესტიცია. ტენდენცია ნათელია - ინდური კორპორაციები არნახულ ექსპანსიას ეწევიან. "ვიპრომ," საინფორმაციო ტექნოლოგიის ინდურმა გიგანტმა, ამ წლის განმავლობაში ინვესტიციები განახორციელა პორტუგალიაში, ფინეთსა და კალიფორნიაში. ინდურმა ფარმაცევტულმა გიგანტმა "რანბაქსმა" ბელგიური "ეტიმედი" და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფარმაცევტული კომპანიის, "გლაქსოსმიტკლაინის" ესპანური შტო შეისყიდა. ექსპანსიას ეწევიან ძრავებისა და ტურბინების მწარმოებელი, ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანიები.

ექსპანსიის საიდუმლო ინდური კომპანიების მაღალ ეფექტიანობაშია. "ტატა სტილი" მსოფლიოში ცნობილია თავისი მინიმალური დანახარჯებით. ეს 90-იან წლებში გატარებული რეფორმების დამსახურებაცაა, რომლის წყალობითაც ბიუროკრატიული კონტროლი შემცირდა და კომპანიებს მეტი თავისუფლება მიეცათ. ინდოელთა უპირატესობას აღარ წარმოადგენს მხოლოდ იაფი მუშახელი. ამას ემატება კვალიფიციური ხელმძღვანელობა (ინდოელები სწავლობენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და მიღებული ცოდნის უტილიზაცია კორპორაციებსა და სახელმწიფო მართვაში ხდება) და შრომის მაღალი კულტურა.

ყოველივე ამის შედეგად მსოფლიო კიდევ ერთ მზარდ გიგანტს იღებს. ეს გიგანტი, ჩინეთისგან განსხვავებით, დემოკრატიული სახელმწიფოა. როგორც ამბობენ, დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ, ანუ დასავლეთს ინდოეთის აღმავლობის არ უნდა ეშინოდეს. პირიქით, ეს სახელმწიფო ხელშეწყობას საჭიროებს და ინდური კაპიტალის ექსპანსია დადებით მოვლენად უნდა აღიქმებოდეს. მიმდინარე წლის დასაწყისში, როცა "მიტალ სტილმა" "არსელორით" დაინტერესება პირველად გამოხატა, დასავლური პრესა ისტერიულმა და ინდოეთის მიმართ ერთობ არაკორექტულმა გამონათქვამებმა აავსო. შემდეგ წავიდა საუბარი იმაზე, რომ "მიტალ სტილისგან" თავის დასახსნელად "არსელორი" რუსი ოლიგარქისათვის მიეყიდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერს ისევ პრაგმატულმა ინტერესებმა გადასძალა. სხვა თუ არაფერი, ინდური ინვესტიცია - ეს საბოლოო ჯამში ისევ კომერციაა, ხოლო რუსული ინვესტიციების უკან კი, როგორც წესი, კრემლი დგას. როცა "არსელორმა" რუსულ "სევერსტალთან" წამოიწყო მოლაპარაკებები, ყველასთვის ნათელი იყო, რომ "სევერსტალის" მეპატრონეს ალექსეი მორდაშოვს ამისათვის პუტინისგან ნებართვა და კურთხევა სჭირდებოდა, რომელიც უკვე მიღებული ჰქონდა. ამან დასავლურ პრესაში კიდევ უფრო მკვეთრი და უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, ვიდრე ეს "მიტალ სტილის" ასპარეზზე გამოჩენისას იყო.



## პუტინის ხელისუფლებაში დარჩენის ვარიანტები

დასავლური პრესა რამდენიმე დღის განმავლობაში აანალიზებდა პუტინის დიალოგს რუსეთის მოსახლეობასთან. ყველაზე მეტად მიმომხილველები მოსახლეობის აპოლიტიკურობას აღნიშნავდნენ. შეკითხვათა დიდი უმრავლესობა უფრო ყოფით საკითხებს ეხებოდა. ცხადია, დემოკრატიისა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით, პრაქტიკულად, არავინ დაინტერესებულა. თუმცა ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ შეკითხვებს აშკარად არჩევდნენ. ერთადერთი, რის გამოც პუტინის პირდაპირ ეთერში საუბარმა ყურადღება მიიპყრო, 2008 წლის შემდგომ რუსეთის ბედი იყო. პუტინი სამშობლოს მომავლით შეწუხებულ თანამოქალაქეებს შეჰპირდა, რომ სახელმწიფოს მართვაზე გავლენას 2008 წლის შემდეგაც შეინარჩუნებს. ამ ნათქვამმა ყველას თავსატეხი გაუჩინა: რა უნდა პუტინს, როგორ მოახერხებს ამას, ვინ სურს, რომ იყოს? ვარიანტები რამდენიმეა:

**"გაზპრომის" ხელმძღვანელი:** ეს კომპანია რუსეთის საგარეო პოლიტიკას ემსახურება და, ზოგჯერ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაც ემსახურება მას. იქ პუტინს მისი მეგობარი, გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ელის, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე მილსადენის გაყვანის პროექტს ხელმძღვანელობს. მართალია, შრიოდერი იქ პუტინის ქვეშემრდომი იქნება, მაგრამ რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტისათვის ეს, ალბათ, არც ისე დიდი პრივილეგიაა. კომპანიის (თუნდაც "გაზპრომის") ხელმძღვანელობა ცოტაა პუტინისათვის, რომელსაც აქვს იმის ამბიცია, რომ ისტორიაში რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მმართველად შევიდეს. მით უმეტეს, არ არსებობს იმის გარანტია, რომ "გაზპრომი" მომავალშიც ასეთი მონსტრი იქნება - ევროპაში უკვე იწყებენ ფიქრს შუა აზიიდან რუსეთის გვერდის ავლით გაზის იმპორტირებაზე. თავად შუააზიელებიც თავიანთი გაზის სხვა მიმართულებით (თუნდაც ჩინეთის) ექსპორტირებაზე ფიქრობენ, რადგან "გაზპრომი" მათ ამ სიმდიდრეში ძალიან დაბალ ფასს უხდის.

**პრემიერ-მინისტრი:** პუტინი აცხადებს, რომ მესამე ვადით პრეზიდენტად გახდომა კონსტიტუციის დარღვევა იქნება, მისი გაპრეზიდენტებისათვის კონსტიტუციის შეცვლა კი არ ღირს. იმისათვის, რომ პუტინი კვლავაც "პირველ კაცად" დარჩეს, ოღონდ პრემიერ-მინისტრის რანგში, კონსტიტუციური ცვლილება საჭირო მაინც იქნება, მაგრამ ეს სხვა ცვლილება უნდა იყოს და იგი მესამედ გაპრეზიდენტებას არ ითვალისწინებს. ამ ცვლილების მიხედვით რუსეთი საპარლამენტო მოწყობის სახელმწიფოდ უნდა იქცეს და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის მიერ უნდა იმართოს. სხვა საქმეა, რამდენად არის მზად რუსეთი საპარლამენტო მოდელისათვის? ამ ქვეყანას, სამწუხაროდ, დღემდე მაგარი ხელი და "კარგი მეფე" სჭირდება. თუმცა, საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მაინც პუტინის პარტიას მისცემს ხმას. პუტინიც უპრობლემოდ გახდება პრემიერ-მინისტრი და "ცარობასაც" გააგრძელებს.

**მმართველი პარტიის გენერალური მდივანი:** ეს რაღაცით წინა ვარიანტს ჰგავს. არჩევნებში ხმების უმრავლესობას "ედინაია როსია" მოაგროვებს. ამ პარტიას რუსეთის ყველა პროვინციაში გააჩნია ფილიალები, რომლებმაც, თავისუფლად შეიძლება, იგივე ფუნქცია აიღონ, რაც საბჭოთა კავშირში რაიკომებს ჰქონდათ. პარტიას ექნება თავისი ცენტრალური კომიტეტი, ამ უკანასკნელს კი - პოლიტბიურო. მოკლედ, ამ ვარიანტის მიხედვით რუსეთს მმართველი პარტია ჰყავს, პარტიას კი ჰყავს ლიდერი. ეს წინა ვარიანტს იმით სჯობია, რომ კონსტიტუციის შეცვლა საჭირო არ იქნება.

## ფრანგული პარადოქსი

სანამ რუსეთის მოსახლეობა 2008 წლის გამო ნერვიულობს, ევროპა ზამთარს ელის. როგორც ერთ-ერთმა ცნობილმა მიმომხილველმა იხუმრა, ევროპას "ცივი ომის" ეშინია. "ცივი ომის" პირდაპირი გაგებით, რადგან ზამთარში რუსულ გაზზე დამოკიდებულება გაზის გარეშე დარჩენას და გაყინვას არ გამორიცხავს. თუკი ადრე ევროპაში რუსული ბირთვული რაკეტების ეშინოდათ, ახლა მისი მილსადენების ეშინიათ. კრემლი ჯერჯერობით უარს აცხადებს ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირებაზე. ევროპა ცდილობს, კრემლს ამ საკითხში მაინც ერთიანი ფრონტით შეუტიოს, მაგრამ სწორედ ამ მხრივ კრემლზე ზემოქმედებისათვის არც ისე ბევრი ბერკეტი არსებობს. რევანშისტულად განწყობილი რუსი პოლიტოლოგები კი უკვე საზეიმოდ აცხადებენ, რომ "რუსეთი თამაშში ბრუნდება," რომ "რუსეთი გეოპოლიტიკურ კონტრშეტევაზე გადადის," რომ "ევროპა დაბერდა და იხრწნება და ახლა რუსეთის ჯერია."

"გახრწნილი ევროპისა და გახრწნილი დასავლეთის" კონცეფცია ახალი არ არის, მაგრამ ამ კონცეფციას, რუსეთის გარდა (იქ ამაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ალაპარაკდნენ), სერიოზულად არავინ აღიქვამს. თუკი ევროპის დღევანდელ პრობლემებს სერიოზულად მივუდგებით, მაშინ აქ პირველ რიგში საფრანგეთი გვეცემა თვალში.

70-იანი წლები ბრიტანეთისათვის ჩავარდნის ხანად იქცა. ქვეყანა ეკონომიკურმა ვარდნამ მოიცვა. გაფიცვები, პარტიული კინკლაობები... პოლიტიკოსები, სიმდიდრის შექმნის ნაცვლად, მისი გადანაწილებით იყვნენ დაკავებულნი. მეწარმეებს მაღალი გადასახადები ახრჩობდათ. შედეგად, მრეწველობა იაფმუშახელიან სახელმწიფოებში ინაცვლებდა, ინტელექტი კი ამერიკაში ჟონავდა. ბრიტანეთმა თავისი ადგილი დაკარგა. ერთ დროს მსოფლიოს უდიდეს იმპერიას თვითიდენტიფიკაციის პრობლემა გაუჩნდა.

ახლა კი საფრანგეთის ჯერია. ეს ქვეყანა საკუთარ თავს გლობალიზაციის მსხვერპლად მოიაზრებს, თავისუფალი ბაზარი მას საფრთხედ მიაჩნია, კომერციულ მოგებას კი ეჭვის თვალით უყურებს. საფრანგეთში მეტად მოკლე სამუშაო დღეა, პროფკავშირები მეტისმეტად აქტიურები არიან, უმუშევრობა კი მაღალია. გამოსავალი არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლაში და მემარჯვენე რეფორმების გატარებაშია? ოპოზიციაში მყოფი სოციალისტური პარტიის პროგრამა ელექტროსექტორის ნაციონალიზაციისა და გადასახადების შემცირების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს. ანუ, თუკი ბრიტანეთს ხელისუფლებაში მემარჯვენეების (ტეტჩერის კაბინეტის) მოსვლამ უშველა, საფრანგეთს ეს პერსპექტივა არ ელის. ანტიგლობალიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო განწყობა მყარადაა გამჯდარი მემარცხენეებშიც და მემარჯვენეებშიც. ყველაფერი ეკონომიკური ჩავარდნით არ ამოიწურება. ქვეყანას გასულ წელს ემიგრანტთა საპროტესტო ტალღამ გადაუარა, რომელმაც ლამის შეიწირა საფრანგეთის რამდენიმე ქალაქი. სტუდენტთა და პროფკავშირების გამოსვლები და არეულობა უკვე ჩვეულებრივი ამბავია. ფრანგებმა თავად ჩააგდეს ევროკავშირის კონსტიტუცია - არადა, გაერთიანებული ევროპის პროექტის ძირითადი ავტორი ხომ სწორედ საფრანგეთია. აქაც იგივე პრობლემასთან გვაქვს საქმე, რასაც ადგილი ჰქონდა 70-იანი წლების ბრიტანეთში - საფრანგეთი თავის ადგილს ბოლომდე ვერ ხედავს. 2002 წელს ულტრამემარჯვენე ჟან-მარი ლე პენმა საპრეზიდენტო არჩევნებზე იმდენი ხმა მოაგროვა, რომ ევროპა საფრანგეთში რასიზმის გაღვივებაზე შეშფოთებული ალაპარაკდა. მართალია, ეს შიში ნაადრევი გამოდგა, მაგრამ სხვა პრობლემები გადაუჭრელი ჩანს.

1978 წლიდან მოყოლებული, ფრანგებს ხელმეორედ ერთი და იგივე მთავრობა ერთხელაც არ აურჩევიათ. მათ 12 პრემიერ-მინისტრი გამოიცვალეს. მაშინ, როცა იმავე პერიოდში გერმანიასა და ბრიტანეთს მთავრობის ოთხი მეთაური ჰყავდა. რა ხდება ასეთი საფრანგეთში? ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, მაგრამ იგი, ალბათ, მაინც ეკონომიკას უკავშირდება: ქვეყანა თანდათანობით სულ უფრო და უფრო ჩამორჩება. 70-იანების ბოლოს ბრიტანეთის ეკონომიკა ფრანგული ეკონომიკის სამ მეოთხედს შეადგენდა, ახლა კი ბრიტანეთის ეკონომიკა 5%-ით სჭარბობს ფრანგულს. ბოლო 25 წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ქვეყანა მე-6-დან მე-17 ადგილზე დაეშვა. ადამიანური განვითარების ინდექსით კი მე-16 ადგილზეა, მაშინ, როცა 1990 წელს მე-8 ადგილი ეჭირა. რა არის ყველაფერ ამის მიზეზი? ალბათ, მხოლოდ ის, რომ სოციალისტურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა. 80-იან წლებში ბრიტანეთი კრიზისიდან მემარჯვენე რეფორმებმა გამოიყვანა. ასეთი რეფორმების აუცილებლობა საფრანგეთის დღის წესრიგშიც უნდა დადგეს..

## ჩინეთი და ერაყი ადჰაბის ამუშავების შესახებ მოლაპარაკებებს გააგრძელებენ

ნოემბერში ჩინეთი და ერაყი მოლაპარაკებებს დაიწყებენ ნავთობის საბადო ადჰაბში ერთობლივი სამუშაოების განახლების შესახებ. ეს დაადასტურა პეკინში ვიზიტით მყოფმა ერაყის ნავთობის მინისტრმა ჰუსეინ ალ-შაჰრისტანმა ნაციონალური განვითარებისა და რეფორმების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან მა კაისთან შეხვედრის შემდეგ. ერაყელმა მინისტრმა მოლაპარაკებები გამართა, აგრეთვე, ოთხი უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანიის ხელმძღვანელებთან.

"ერაყის ნავთობის სამინისტროსა და კომპანია "ალ ვაჰას" (რომელიც ნაწილობრივ ჩინურ ნავთობკომპანიას CNPC-ს ეკუთვნის) წარმომადგენლები მოლაპარაკებებს დაუყოვნებლივ დაიწყებენ," - აცხადებს ჰუსეინ ალ-შაჰრისტანი.

CNPC-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია მზად არის ერაყში სამუშაოების გასაახლებლად, თუმცა ეს ერთგვარი რისკიცაა, ერაყში უსაფრთხოების მყარი გარანტიების უქონლობის გამო. საბადო ადჰაბი ერაყის ცენტრალურ ნაწილშია და, ექსპერტების შეფასებით, იქ დღეში 90 ბარელი ნავთის მოპოვებაა შესაძლებელი. საბადოს დამუშავების შესახებ კონტრაქტი ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის მმართველობის წლებში იქნა ხელმოწერილი ერაყსა და ჩინეთს შორის.

ერაყის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ჰუსეინის დროს დადებული ყველა სანავთობო კონტრაქტი ერაყის ახალ მთავრობასთან შეთანხმებით უნდა ამოქმედდეს.

ჩინეთში ვიზიტამდე ერაყელი მინისტრი იაპონიას ესტუმრა, სადაც ფინანსური დახმარება - 3,5 მლრდ დოლარი - მიიღო საომარი ოპერაციის დროს განადგურებული სანავთობო სფეროს აღსადგენად.

## მოსკოვში "ქართულ" კაზინოებს ხურავენ

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტმა, "ქართულ მაფიასთან" ბრძოლის ფარგლებში, მოსკოვში სამი "ქართული" კაზინო Golden Palace, Golden Palace Weekend და "კრისტალი" დახურა, მართალია, მხოლოდ ერთი - "სანიტარიული" - დღით. მეორე დღეს კაზინოები ისევ ამუშავდა. კაზინოებში ირწმუნებიან, რომ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მათ უკვე აქვთ მუშაობის უფლება. საპირისპიროს აცხადებენ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. მათი თქმით, კაზინოები თვითნებურად გაიხსნა და უახლოეს მომავალში კვლავ დაიხურება.

## "ჰიტაჩის" ყოფილმა თანამშრომელმა გამოგონებისათვის კომპენსაცია მოითხოვა

იაპონური კომპანია "ჰიტაჩის" ყოფილმა თანამშრომელმა, 55 წლის იოსიხიკო ოკამოტომ ტოკიოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მისთვის კომპენსაციის სახით 200 მლნ იენის (1,7 მლნ დოლარი) გადახდის მოთხოვნით. კომპენსაციას ის კომპიუტერის ერთ-ერთი ელემენტის გამოგონებისათვის ითხოვს.

ოკამოტოს ადვოკატების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მან ეს ელემენტი 1988 წელს გამოიგონა და იაპონიაში, შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეაში დააპატენტა.

"ჰიტაჩიმ" მას მხოლოდ ოცი მილიონი იენი (დაახლოებით 170 ათასი დოლარი) გადაუხადა, თუმცა ამ გამოგონებით თავად, ყველაზე მცირე, 8 მლრდ იენი გამოიმუშავა.

## ალუმინის მარაგი დასავლეთში 2,89 მლნ ტონამდე შემცირდა

ევროპის ქვეყნებში 2006 წლის სექტემბერში ალუმინის საერთო მარაგი, მზა პროდუქტების გამოკლებით, აგვისტოში დაფიქსირებული 2,927 მლნ და 2005 წლის სექტემბერში 3,233 მლნ ტონიდან 2,886 მლნ ტონამდე შემცირდა, ამას ალუმინის ინსტიტუტის წინასწარი მონაცემები მოწმობენ. დაუმუშავებელი ლითონის მარაგი სექტემბერში 1,614 მლნ ტონიდან 1,6 მლნ ტონამდე შემცირდა.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა




პარასკევს აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა შეშფოთება დოლარის კურსის შესუსტებამ და ქვეყნის ეკონომიკის ზრდის შენელებამ გამოიწვია. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მესამე კვარტალში წლიური ასახვით 1,6 პროცენტამდე შემცირდა. არადა, ეს მაჩვენებელი მეორე კვარტალში 2,6 პროცენტი იყო და მესამე კვარტალში დაახლოებით 2 პროცენტს ვარაუდობდნენ. ანალიტიკოსთა აზრით, ეს შემცირება ამერიკული კომპანიების კომერციული მარაგის შემცირებამ და საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე შექმნილმა სიტუაციამ განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,6 პროცენტით, 12.090,26 პუნქტამდე შემცირდა. 1,2 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.350,62 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,85 პროცენტით, 1.377,34 პუნქტამდე მოიკლო. სულ, გასული კვირის განმავლობაში Dow Jones Index 0,8 პროცენტით გაიზარდა, Nasdaq Index 0,4 პროცენტით გამყარდა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,7 პროცენტით მოიმატა.

## ნავთობი ოდნავ გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 61,08 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,75 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. სულ გასული კვირის განმავლობაში Brent-ის მარკის ნავთობი 2,3 პროცენტით, Light-ის მარკის ნავთობი კი 2,4 პროცენტით გაძვირდა.

მოიკლო ბუნებრივი აირის ფასმაც და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,153 დოლარი შეადგინა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ბუნებრივი აირის ფასმა 1,2 პროცენტით მოიკლო. ამის მიზეზი, მიუხედავად აცივებისა და ამ საწვავზე მოთხოვნილების ზრდისა, მოგების ფიქსაცია და მარაგის გაზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ.

კვირის განმავლობაში "შავი ოქროს" გაძვირება 1 ნოემბრიდან ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების მოახლოებამ განაპირობა. რაც შეეხება პარასკევს დაფიქსირებულ გაიაფებას, მისი მიზეზი წინა დღეს გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია და აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის ზრდა იყო.

## ოქროს ფასი 600 დოლარი/უნციას ასცდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნციის ღირებულებამ 0,2 პროცენტით მოიმატა და 601 დოლარი შეადგინა, რაც ბოლო თვენახევრის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. სხვა ძვირფასი ლითონების ფასმა კი, პირიქით, მოიკლო. კერძოდ, ვერცხლი 1,3 პროცენტით, 12,08 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,3 პროცენტით, 1079,7 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 1 პროცენტით, 323 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. სულ, გასული კვრის განმავლობაში ოქრო 0,8 პროცენტით, ვერცხლი კი 1 პროცენტით გაძვირდა, ხოლო პლატინა და პალადიუმი, შესაბამისად, 0,2 და 2,3 პროცენტით გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროს გაძვირების მიზეზი არადამაიმედებელი მაკროეკონომიკური ინფორმაციებისაგან განპირობებული დოლარის კურსის შესუსტება იყო. რომ არა ნავთობის ფასის შემცირება, ოქრო კიდევ უფრო გაძვირდებოდა. ხოლო სხვა ძვირფასი ლითონების გაიაფება წმინდა ტექნიკურმა მიზეზმა, კერძოდ, მოგების ფიქსაციამ განაპირობა.

## ლუდის ნაცვლად, გამაგრილებელი სასმელები

კომპანია “ობოლონის" კუთვნილმა სევასტოპოლის ლუდსახარშმა ქარხანამ ლუდის წარმოებაზე უარის თქმა გადაწყვიტა. ამის მიზეზი ლუდის რეალიზაციის შემცირება და ქარხნის მოდერნიზაციის აუცილებლობა გახდა, რომელიც 1,5 მილიონი ევრო დაჯდება. საბოლოოდ, სევასტოპოლის ქარხნის ორიენტაცია გამაგრილებელი გაზიანი წყლებისა და ბურახის წარმოებისაკენ შეიცვლება. სავარაუდოდ, 2007 წელს ეს სასმელები 1,8 მილიონი დეკალიტრის ოდენობით ჩამოისხმება.

## Volkswagen-ს MAN-ში თავისი წილის გაზრდა სურს

ევროპის უმსხვილესმა ავტომწარმოებელმა Volkswagen-მა გერმანულ ანტიმონოპოლიურ ორგანოებს აცნობა, რომ სატვირთო ავტომობილების მწარმოებელ კომპანია MAN-ის კაპიტალში თავისი წილის 30 პროცენტამდე გაზრდას აპირებს.

ამ დროისათვის Volkswagen უკვე ფლობს MAN-ის აქციების 15,1 პროცენტს და მას სატვირთო ავტომობილების შვედურ მწარმოებელ Scania-სთან შერწყმისაკენ უბიძგებს, რომლის ასევე უმსხვილესი აქციონერია და 18,7 პროცენტს ფლობს. ასე რომ, თუ ანტიმონოპოლიური ორგანოებისაგან თანხმობა მიიღო, სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების ბაზარზე Volkswagen-ის პოზიციები ერთობ სერიოზული გახდება.

ზემოთთქმულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კონცერნ Volkswagen-ს ეკუთვნის ისეთი საქვეყნოდ განთქმული ბრენდები, როგორებიცაა Audi, Seat, Skoda და Bentley. მიმდინარე წლის პირველი ცხრა თვის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, Volkswagen-ის შემოსავალმა 1,21 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 76,6 პროცენტით მეტია.




# "ფორდი" არნახულ ზარალს განიცდის

პირველი გვერდიდან

ანალიტიკოსები "ფორდის" მთავარ აღმასრულებელ ალან მიულელის, ვინც ამ თანამდებობაზე ახლახან დაინიშნა, კომპანიის ზოგიერთი საავტომობილო შტოს გაყიდვას ურჩევენ, რათა ამით მან შეძლოს "ცისფერი ოვალის" ნაღდი ფულის რეზერვების დაცვა.

მთლიანობაში, პირველი 9 თვის განმავლობაში კომპანიის ზარალმა უკვე 7,24 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს მაშინ, როცა შარშან, ამავე პერიოდის განმავლობაში მოგება 1,87 მილიარდი დოლარი იყო. რესტრუქტურიზაციაზე გაწეული ხარჯების გაუთვალისწინებლად, "ფორდის" ზარალი 1,2 მილიარდი დოლარია.



არსებობს მოსაზრება, რომ კომპანია ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას კიდევ კარგა ხანს (2009 წლამდე) ვერ შეძლებს. ეს კი საფრთხის ქვეშ აყენებს "ფორდის" ნაღდი ფულის რეზერვებს. თუმცა, მიულელი ირწმუნება, რომ ამ მხრივ მის კომპანიას ყველაფერი რიგზე აქვს - მარაგში ჯერაც მოიპოვება 23,6 მილიარდი დოლარი, რაც რესტრუქტურიზაციის ბოლომდე მისაყვანად სრულიად საკმარისია. ყოველივეს მიუხედავად, ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, "ფორდი" სახსრების გარედან მოზიდვასაც ეცდება.

თუმცა, ფულადი სახსრების მოზიდვა ძალიან გაძნელდება, რადგან სააგენტო "მუდიმ" ცოტა ხნის წინ "ფორდს" საკრედიტო ნდობის ინდიკატორად B3 დაუწერა, რაც საინვესტიციო დონეზე 6 პუნქტით ნაკლებია.

და მაინც, მიულელი გარეგნულად აბსოლუტურ სიმშვიდეს ინარჩუნებს და იგივეს ურჩევს ინვესტორებსაც: "რა თქმა უნდა, ძნელი პერიოდი გვაქვს. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ყველა პრობლემას, რომელთა გადალახვაც მოგვიწევს. სრულიად ნათელია, რომ რადიკალური ცვლილების განხორციელება მოგვიწევს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. მყიდველს უფრო ეკონომიური და მცირეგაბარიტიანი ავტომობილების ყიდვა სურს. ჰოდა, ჩვენც სულ მალე, უმეტესად ასეთ ავტომობილებს გამოვუშვებთ," - ამბობს მიულელი.

მის ოპტიმიზმს სულაც არ იზიარებს ანალიტიკური სააგენტო "ფიტჩი", რომლის მოხსენებაშიც ნათქვამია: "ეკონომიკა ნელდება, წარმოება მცირდება, "ფორდისთვის" ყველაზე მნიშვნელოვან, პიკაპების კლასში მოთხოვნა კლებულობს და, თანაც, ამავე კლასში არნახულად გაიზარდა კონკურენციის დონე. კომპანია კი მერმის მყიდველს ვერ შესთავაზებს ახალ, ეკონომიურ ავტომობილებს, რომლებსაც კრიზისის დაძლევაში დიდი როლის თამაში შეუძლია. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენია, კრიზისი გაისად მაინც გამოსწორდეს".

პიკაპებისა და უგზოობის ავტომობილების გაყიდვების შემცირება, პირველ რიგში, საწვავის გაძვირებამ გამოიწვია - მყიდველს აღარ სურს დიდი ზომის, არაეკონომიური ავტომობილების შეძენა და არჩევანს საშუალო კლასის ავტომობილებზე აკეთებს. არადა, აშშ-ს ბაზარზე ეს კლასი "ფორდისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანია და დიდად განაპირობებს მის კეთილდღეობას.

პიკაპების და უგზოობის მოდელების კლასის ავტომობილებს "ფორდის" მთლიან გაყიდვებში 60-პროცენტიანი წილი უკავია. ჰოდა, მათზე მოთხოვნის შემცირებას მოჰყვა ის, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი 4,1 მილიარდი დოლარით შემცირდა და 36,7 მილიარდი დოლარი შეადგინა. ყოველივეს გამო, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ "ფორდის" ნაღდი ფულის რეზერვი წლის ბოლოსთვის 20 მილიარდ დოლარამდე შემცირდება. "ფიტჩის" მონაცემებით, კომპანიამ თავისი რეზერვი დაახლოებით 15 მილიარდ დოლარამდე მაინც უნდა შეინარჩუნოს, რათა მიმწოდებელთა და პარტნიორთა ნდობა არ დაკარგოს.

ფინანსური სიტუაციის შესამსუბუქებლად "ფორდი", ალბათ, გაყიდის თავის ინგლისურ კომპანია "ასტონ მარტინს". ამერიკული კომპანია უკვე აჯერებს პოტენციურ მყიდველთა სიას, თუმცა წლის ბოლოსთვის გაყიდვა მაინც ვერ მოესწრება.

მთავარ აღმასრულებლად მოწვევის შემდეგ მიულელი აცხადებდა, რომ "ფორდი" არ აპირებდა ლუქსის კლასის სხვა ბრენდების - "იაგუარის", "ლენდ როვერისა" და "ვოლვოს" გაყიდვას. თუმცა ახლა ამბობს, რომ გამორიცხული არაფერია და ხელსაყრელი შეთავაზების შემთხვევაში შეიძლება, სამივე კომპანია გაიყიდოს.

ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც მიულელი აპირებს, "ფორდის" საწარმოო პროგრამის გადახედვაა. სამომავლოდ აქცენტი აუცილებლად ეკონომიურ ავტომობილებზე გაკეთდება. გარდა ამისა, აუცილებელია "ფორდში" გაერთიანებული კომპანიების ერთი კლასის მოდელების მეტი ინტეგრაცია, რათა ამით შემცირდეს საწარმოო ხარჯები და, შესაბამისად, გაიზარდოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

ბევრი ანალიტიკოსი "ფორდს" ურჩევს, გააუქმოს ბრენდი "მერკური" და გაყიდოს ინგლისური კომპანია "იაგუარი", რომელიც ყიდვის მომენტიდან წამგებიანია. მაგრამ მიულელი არ ჩქარობს და თვლის, რომ რესტრუქტურიზაციის გეგმა ქმედითუნარიანი იქნება.

მიულელის თქმით, რესტრუქტურიზაციის გეგმის მეორე ნაწილი სწორედ საწარმოო პროგრამის ორიენტირების შეცვლას ითვალისწინებს. "მყიდველს ის პროდუქტი უნდა მივაწოდოთ, რაც მას სურს და არა ის, რომელიც ჩვენ გვინდა, რომ მას სურდეს. მხოლოდ ასე თუ შევძლებით წინსვლას," - ამბობს "ფორდის" ახალი შეფი, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ, კრიზისიდან "ბოინგის" გამოყვანით გაითქვა სახელი.

## ჯიპი ახალი მოდელის წარმოებას იწყებს

მომავალი წლიდან კომპანია "ჯიპი" ახალი მოდელის სერიულ წარმოებას დაიწყებს. საქმე ეხება პიკაპის გამოშვებას, რომელიც "ვრანგლერის" ბაზაზე იქნება აწყობილი. მისი გამოცდა უკე დამამთავრებელ ფაზაში შედის და ვარაუდობენ, რომ მოდელი საკმაოდ პოპულარული გახდება აშშ-ში. "ჯიპის" პიკაპის პრეზენტაცია მომავალი წლის იანვარში იგეგმება დეტროიტის ავტოსალონში, ხოლო მისი ყიდვა უკვე შემოდგომიდან გახდება შესაძლებელი. **მედიანიუსი**

## "Sotheby s" აუქციონზე უნიკალურ ხელნაწერებს გაყიდიან

დეკემბერში "Sotheby's" აუქციონზე 30 იშვიათ დოკუმენტს წარმოადგენენ. მათ შორისაა მიქელანჯელოს, დოსტოევსკის, სტალინისა და სხვა ცნობილი მოღვაწეების ავტოგრაფები.

ყველაზე ძველი ლოტი - მიქელანჯელოს ავტოგრაფი 1521 წლით არის დათარიღებული. ეს არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დასტურდება მიქელანჯელოს მიერ თავისი დამხმარე მოქანდაკეებისთვის რომის სანტა მარია სპორა მინერვას ეკლესიაში ქრისტეს ქანდაკების დადგმაში გაწეული დახმარებისათვის გასამრჯელოს გადახდის ფაქტი.

უდიდეს ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს ეკატერინე არაგონელის მიერ 1534 წელს თავისი ძმიშვილისთვის, იმპერატორ კარლ V-სთვის მიწერილი წერილი, რომელშიც იგი ადრესატს მიმართავს თხოვნით, ხელი შეუწყოს მისი ქორწინების შენარჩუნებას ჰენრიხ VIII-სთან და ამისათვის რომის პაპის გავლენა გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის მეფემ მაინც მიაღწია განქორწინებას და აღნიშნულის მიზნით დააფუძნა რომის ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ანგლიკანური ეკლესია, შემდგომ კი მან კიდევ ხუთჯერ მოასწრო დაქორწინება. სპეციალისტები ამ წერილის ღირებულებად, მისი ისტორიული მნიშვნელობის გამო, მინიმუმ 150 ათას აშშ დოლარს ასახელებენ.

აუცქიონზე ასევე გამოტანილი იქნება ლოტები კერძო კოლექციებიდან: სტალინის მიერ ხელმოწერილი შეწყალების დოკუმენტი; დოსტოევსკის წერილი მისი ხელოვნების თაყვანისმცემლისადმი; ლევ ტოლსტოის, ალბერტ აინშტაინის, ფრედერიკ შოპენის, სიგმუნდ ფროიდის, მერლინ მონროს ხელნაწერები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლონდონში გამართულ ორდღიან მსოფლიო სასურსათო ბაზრობაზე ქართული კომპანიები 15%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ

მსოფლიო სასურსათო ბაზრობა World Food Market ლონდონში ექსელ ცენტრში ხვალ გაიხსნება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სასურსათო ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნება: ბრინჯი, მზა საჭმელები, ხორცი, ყველი, სასმელები, საკონდიტრო ნაწარმი, გაყინული პროდუქტები, სუნელები, ვეგეტარიანული საკვები პროდუქტეები, დესერტი, ფრინველი, ზეთები, რძის პროდუქტები და ბევრი სხვა სახის პროდუქტი.

ბაზრობაზე სტენდის ღირებულება: 26 მ2 ფართობის ფასი არის 10 224 ფუნტი + დღგ.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, ქართველი მეწარმეები ლონდონში გამართულ მსოფლიო სასურსათო ბაზრობაზე World Food Market 15%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. "ეს აქცია ქართული კომპანიების სტიმულირებას ემსახურება, თუმცა, როგორც წესი, ფასდაკლება მხოლოდ 5%-იანია," - აცხადებენ სამინისტროში.

აქციის შესაბამისად, ქართული კომპანიებისთვის სტენდის ღირებულება 8 690 ფუნტია + დღგ.

ლონდონში მსოფლიო სასურსათო ბაზრობა World Food Market 30 ნოემბერს დასრულდება. **GBC**

## Dow Chemical-ის მოგება 512 მილიონამდე შემცირდა

2006 წლის მესამე კვარტალში, რიგი საწარმოების დახურვის შემდეგ რესტრუქტურიზაციაზე გაწეული ხარჯების გამო, შეერთებულ შტატებში უმსხვილესი ქიმიური კომპანიის Dow Chemical Co.-ს მოგება შემცირდა. კომპანიის სუფთა მოგებამ 512 მლნ დოლარი შეადგინა, ანუ 0,53 დოლარი თითოეული აქციისთვის. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მოგება 801 მილიონს შეადგენდა, ანუ 0,82 დოლარი აქციაზე.

## ბე ემ ვე-ს მომავალი თაობის საბარგულები ასო F-ით გამოვა

ბეემვე-ს საბარგულის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდიფიკაცია გახდა E36. "ბე ემ ვე"-ს მოდელების საბარგულები კოდით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან შემოვიდა. E ასო გერმანული სიტყვის Entwicklung -ის დასაწყისია, რაც განვითარებას ნიშნავს.

ჟურნალი "motorTrend"-ის ცნობით, "ბე ემ ვე"-ს მომავალი თაობის საბარგულები ასო F-ით გამოვა. მაგალითისთვის, მე-7 სერიის ახალი თაობის მოდელები ცნობილები გახდებიან F 10-ის სახელით, რომელთა გამოშვებაც 2009 წლისთვისაა დაგეგმილი **მედიანიუსი**

## ამინდი

| | 30/10 | 31/10 | 1/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | -2 | 6 | 6 |
| რიგა | 0 | -6 | -9 |
| ვილნიუსი | 2 | -10 | -2 |
| მოსკოვი | 1 | 0 | 0 |
| მინსკი | -2 | -2 | 3 |
| პარიზი | 18 | 17 | 11 |
| რომი | 23 | 20 | 18 |
| ლონდონი | 16 | 17 | 16 |
| მადრიდი | 24 | 22 | 21 |
| ბონი | 14 | 16 | 8 |
| ვარშავა | 3 | 3 | 5 |
| ათენი | 18 | 14 | 17 |
| ბერნი | 17 | 18 | 9 |
| ამსტერდამი | 15 | 13 | 6 |
| ოსლო | 6 | 2 | -8 |
| ანკარა | 17 | 13 | 3 |
| ვარნა | 15 | 13 | 10 |
| დელი | 33 | 33 | 32 |
| ტოკიო | 19 | 21 | 20 |
| კოპენჰაგენი | 9 | 5 | -2 |
| ბაქო | 13 | 20 | 20 |
| ერევანი | 16 | 18 | 19 |
| ასტანა | 6 | 7 | 6 |
| ჰელსინკი | -4 | -7 | -14 |
| დუბლინი | 12 | 12 | 7 |
| ლისაბონი | 25 | 24 | 23 |
| პრაღა | 13 | 8 | 5 |
| სოფია | 5 | 15 | 15 |
| ბუდაპეშტი | 7 | 9 | 13 |
| ბუხარესტი | 10 | 8 | 15 |




